კომპოზიციის ინდექსი არის რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც წარმოგვიდგენს სიტყვებში ძირთა საშუალო რაოდენობას. ეს ინდექსი გამოითვლება ტექსტში არსებული ყველა ძირის რაოდენობის შეფარდებით სიტყვაფორმების საერთო რაოდენობასთან. მაღალი ინდექსი მიუთითებს ენის რთულ მორფოლოგიურ სტრუქტურაზე კომპოზიციის თვალსაზრისით. კომპოზიციის ინდექსს აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა ტიპოლოგიური კვლევებისთვის, რადგან იძლევა ენების მორფოლოგიური სტრუქტურის ობიექტური შედარების საშუალებას, წარმოადგენს ენის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს და შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ ენის მორფოლოგიური ტიპი.

ქართული ენის დიაქრონიული კვლევისთვის კომპოზიციის ინდექსის გამოთვლა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელი ხდება, დავადგინოთ, რა ცვლილებები განიცადა ენის მორფოლოგიურმა სტრუქტურამ. ამასთან, იგი იძლევა დიალექტებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავებების რაოდენობრივ შეფასებას და საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ენობრივი კონტაქტების გავლენა მორფოლოგიურ სტრუქტურაზე. კომპოზიციის ინდექსის დიაქრონიული კვლევისთვის ქართულ ენაში საჭიროა რეპრეზენტატიული კორპუსის შექმნა სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ტექსტებისგან, ძირების იდენტიფიკაციის მკაფიო კრიტერიუმების შემუშავება, დიალექტური მონაცემების სისტემური ანალიზი. კომპოზიციის ინდექსის კვლევა ქართულ ენაში დიაქრონიულ ჭრილში წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ენის განვითარების ტენდენციების დასადგენად. ამ ინდექსის გამოთვლა და ანალიზი საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავიგოთ ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის ევოლუცია და მისი ადგილი ენათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში. ასეთი კვლევა არა მხოლოდ თეორიული ღირებულების მატარებელია, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს ქართული ენის ისტორიის შესწავლისა და მისი ტიპოლოგიური მახასიათებლების დადგენისთვის.

One of the most important issues in typological language studies is the quantitative analysis of morphological structures across languages. Joseph Greenberg's Index of Composition is a key instrument that allows us to measure and compare the morphological complexity of different languages. The purpose of this paper is to review the essence of the composition index and its calculation methodology, analyze its significance in typological studies, and explore its application prospects in diachronic research of the Georgian language.

The Index of Composition is a quantitative indicator that shows the average number of roots in a word. This index is calculated by dividing the total number of roots in a text by the total number of word forms. A high index indicates a complex morphological structure from a compositional perspective. The composition index has fundamental importance for typological studies because it provides an objective means of comparing morphological structures across languages, represents one of the main criteria for typological classification of languages, and allows us to determine a language's morphological type.

Calculating the composition index for diachronic research of the Georgian language is important for several reasons. First and foremost, it becomes possible to determine what changes the morphological structure of the language has undergone. Additionally, it provides a quantitative assessment of structural differences between dialects and allows us to study the influence of language contacts on morphological structure. For diachronic research of the composition index in Georgian, it is necessary to create a representative corpus of texts from different historical periods, develop clear criteria for root identification, and conduct systematic analysis of dialectal data.

Research on the composition index in Georgian from a diachronic perspective represents an important tool for determining language development trends. Calculating and analyzing this index will allow us to better understand the evolution of the morphological structure of the Georgian language and its place in the typological classification of languages. Such research not only carries theoretical value but also has practical significance for studying the history of the Georgian language and determining its typological characteristics.

**ზანური კომპოზიციური გეოგრაფიული სახელების სტრუქტურულ-
სემანტიკური ანალიზი**

**Structural and Semantic Analysis of Compound Geographical Names
in Zan**

**ნარგიზ ახვლედიანი
Nargiz Akhvlediani**

ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული
ლიტერატურის კვლევის განყოფილება

Niko Berdzenishvili Institute of Shota Rustaveli State University,
Department of Folklore, Dialectology, and
Emigrant Literature

საკვანძო სიტყვები: კომპოზიტი, თხზვა, გეოგრაფიული სახელები.

Keywords: Composite, composition, geographical names.

თხზული სახელი (კომპოზიტი) ქართულში უმთავრესად მიიღება ერთი და იმავე ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით. გეოგრაფიულ სახელთა თხზვა ძირითადად ემორჩილება ისეთივე წესს, როგორც დამახასიათებელია საზოგადო სახელებისთვის.

კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელებში, სადაც მთელი შესიტყვება გვაქვს, უკეთ ჩანს ამა თუ იმ პუნქტის ტერიტორიული დახასიათება, დასახლებისა თუ წარმოშობის სიძველე-სიახლე. ნაშრომში გამოყოფილია სიტყვათშეერთების შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

I. არსებითი სახელი + არსებითი სახელი: /ჩამური ღელე / – „საცეხვი“ (სოფ. კეჭიეთი, ქობულეთის რაიონი);

II. არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი: /კორეჭი / – „ქვიანი მთა“ – საძოვარი (სოფ. ოლადაური, შუახევის რაიონი);

III. ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი: /ტრინკა სერი / – „ამობურცული გორაკი“ – ტყე (სოფ. ტბეთი, შუახევის რაიონი).

The formation of a composite name (composition) in Georgian mainly occurs through the combination of the same or different roots. The creation of geographical names primarily follows the same principles that characterize the formation of common names. In composite geographical names, where the entire phrase is used, the territorial description of a point, the age or novelty of a settlement or origin, is more evident compared to regular derivative names. In this paper, after word combination, the main groups are outlined:

I. Noun + Noun: /čamuri yele/ – "pestle" (vil. Kechieti, Kobuleti region);

II. Noun + Adjective: /koreçi/ – "A stony mountain" – pasture (vil. Oladauri, Shuaxevi region);

III. Adjective + Noun: /trinka seri/ – "bulging hill" – forest (vil. Tbeti, Shuaxevi region).

საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკა და
ფრანგული ენის გამოყენება საერთაშორისო ასპარეზზე

Language Policy of France and the International Use of the French
Language

ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი
Tsiuri Akhvlediani, Maria Burchak-Abramovichi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ენობრივი პოლიტიკა, ფრანგული ენა, ფრანკოფონია.

Keywords: Language policies, the French language, francophonie.

ფრანგული ენა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ჩვენს პლანეტაზე, თუმცა ამჟამად არსებობს მისი შესუსტების ტენდენცია საერთაშორისო ურთიერთობათა ენის სახით, ამიტომაც საფრანგეთი მიისწრაფვის ფრანგული ენის პოზიციების გაძლიერებისაკენ, ასევე ცდილობს შემუშავდეს და რეალიზდეს ისეთი ენობრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მის გასაძლიერებლად და იქცეს მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ენად. ამ მიზნის განსახორციელებლად შექმნილია ისეთი ძლიერი ორგანიზაციები, როგორებიცაა: ფრანგული ენისა და საფრანგეთის ენების გენერალური დელეგაცია, ფრანგული ენის უმაღლესი საბჭო, ფრანგული ალიანსი, ფრანგულენოვანი ქვეყნების საუნივერსიტეტო სააგენტო, ფრანგულენოვანი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა მთავარი მიზანია ფრანგული ენის განმტკიცების როლი საერთაშორისო ურთიერთობათა ენის სახით.

საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკის მთავარი მიზანია ფრანგული ენის პოზიციების დამკვიდრება მსოფლიოში, მისი სტატუსის გაძლიერება საერთაშორისო ურთიერთობათა და კულტურათშორისი კომუნიკაციების ენად. ფრანგული ენის ავტორიტეტის მხარდაჭერა წარმოადგენს ტრადიციულ პრიორიტეტს საფრანგეთის სახელმწიფოსათვის, რადგან ენა განუყოფელია სახელმწიფოსა და ერისაგან. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ენის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ამ მიზნით საფრანგეთის პრეზიდენტი, სამინისტრო დეპარტამენტები, მთავრობათშორისი ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები, კომისიები, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელები და მეცნიერები ქმნიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საერთაშორისო პარტნიორ-ორგანიზაციების, ალიანსების, საელჩოების მუდმივი წარმომადგენლების ფართო ქსელს, რათა რეალიზდეს ისეთი ენობრივი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ფრანგული ენის პროგრესსა და განვითარებას.

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილია საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკის ძირითადი მიზნები და ამოცანები XXI საუკუნეში, ასევე დემონსტრირებულია პრეზიდენტის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც აამაღლებს ფრანგული ენის სტატუსს საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით.

საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკის შესახებ მრავალი პუბლიკაცია ქვეყნდება ფრანგული გამოცემის ელექტრონულით “Le Figaro”, ასევე – მასალები ისეთი ორგანიზაციებისა, როგორებიცაა: ფრანგული ენისა და საფრანგეთის ენების გენერალური დელეგაცია, ფრანგული ენის უმაღლესი საბჭო, ფრანგული ალიანსი, ფრანკოენობრივი ქვეყნების საუნივერსიტეტო სააგენტო, ფრანკოენობრივი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა მოღვაწეობა მიმართულია ფრანგულის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ენის, როლის ამაღლებისა და მისი ფართოდ გავრცელებისაკენ სხვადასხვა ქვეყანაში.

ფრანგული ენა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის სამუშაო ენაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, აფრიკული კავშირის, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, ნატოსი და სხვ.

XXI საუკუნის საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფრანგული ენის გამოყენების გაფართოება მსოფლიოში, მისი როლის გაძლიერება ევროპაში და აფრიკის ქვეყნებში.

ცხადია, რომ ფრანგული ენის მომავალი მეტად იქნება დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა მისი უნარიანობის წარმოჩენა ტექნოლოგიური და სამრეწველო განვითარების ენად, ასევე ბიზნესის, სპორტისა და სხვა სფეროებშიც. ეს საშუალებას მისცემს, წარმოდგეს მსოფლიო ენათა რეიტინგის მაღალ დონეზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დავეთანხმოთ რ. პილიონის აზრს, რომ „მსოფლიო ილაპარაკებს ფრანგულად“.

French language is widely spread on our planet. However, there is currently a trend of weakening its presence in international relations. To counter this, France is working to strengthen its position and implement a language policy aimed at reinforcing its global importance. To achieve this goal, organizations such as: General Delegation for the French language and the languages of France; Superior Council of the French Language; French Alliance, Association of Francophone Universities, International Organization of the Francophonie have been established. The main goal of these organizations is to enhance the role of French as a key language in international relations.

The main objective of France's language policy is to strengthen the position and status of French worldwide as a language of international relations and intercultural communication. Maintaining the prominence of the French language has traditionally been a priority for the French government, as the language is inseparable from the state and the nation. This means that the government must ensure its preservation and development. Therefore, the President of France, ministerial departments, intergovernmental organizations, unions, commissions, leaders at various levels, and scholars collaborate to create a vast network of partner organizations, alliances, embassies, and permanent representatives. Their goal is to establish a language policy that fosters the growth and advancement of the French language.

In our study, we present the main objectives and challenges of France's language policy in the 21st century. We also highlight the role of the President, the government, and public organizations in creating conditions that enhance the status of the French language in international relations. Many publications have appeared in the French newspaper *Le Figaro* about France's language policy, as well as data from organizations such General Delegation for the French Language and the Languages of France, the Superior Council of the French Language, the French Alliance, the Association of Francophone Universities, and the International Organization of the Francophonie. These organizations are dedicated to strengthening the role of French as a language of international relations and promoting its expansion in various countries.

Following a study of the work of the Office for the Teaching of Languages and Cultures, and the French Language Department of the International Center for Educational Studies (CIEP) on the realities and prospects of the French language, it can be observed that French will not lose its international status and will be able to compete with the English language.

The French language is used as a working language by many international organizations, such as the United Nations, the World Health Organization, the African Union, the Organization of American States, the European Union, NATO, and others.

In the 21st century, the goal of France's language policy is to expand the use of the French language and strengthen its position in Europe and African countries. The future of the French language will depend on factors such as the development of industrial and technological language, business, sports, and other fields, which will provide opportunities to elevate French to a higher status on the list of global languages. If this happens, we can agree with R. Piloni's statement that "the world will speak in French".

სოციალური ქსელების ენის თავისებურებანი და ძირითადი ტენდენციები

Social Media Language Features and Main Trends

მანანა ბანცაძე, ირინა სიჭინავა
Manana Bantsadze, Irina Sitchinava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, სოციალური ქსელი, ადამიანი, ინფორმაცია.

Keywords: Communication, social network, human, information.

ადამიანი, როგორც სოციალური არსება, მუდმივად საჭიროებს ვერბალურ ან არავერბალურ კომუნიკაციას. კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე პირები ბგერითი თუ გრაფიკული ენის მეშვეობით ურთიერთობენ, ამისთვის კი საჭიროა ადრესატი და ადრესანტი, რომელთა შორისაც ინფორმაციის კოდირება ხდება, კოდი კი, თავის მხრივ, პირობით ნიშანთა ის სისტემაა, რომლის საშუალებითაც კონკრეტული შეტყობინება იგზავნება.

ჩვენს შემთხვევაში განხილულია წერილობითი ნიშნის მქონე კოდი, წერილობით ტექსტებში კი, როგორებიცაა: შეტყობინება, განცხადება, ე. წ. „პოსტები“ თუ „კომენტარები“, ძალზე ხშირია ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის შემთხვევები. მასალის შესწავლა აჩვენებს, რომ ქართული ენისათვის დადგენილი თითოეული სავალდებულო ნორმის დაცვის აუცილებლობა იგნორირებულია, როცა საქმე სოციალურ ქსელებთან გვაქვს. ემპირიული შეფასებითაც ჩანს, რომ ვითარება ენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ არაერთგვაროვანი და არასასურველია. გამომდინარე აქედან, ჩვენი ძიების ამოცანა სოციალურ ქსელებში არსებული ძირითადი ტენდენციებისა და ამავე მიმართულებებით ქართული ენის თანამედროვე ვითარების შეფასებაა. დღეს სოციალურ ქსელებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ადამიანის ცხოვრებაში. ის ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ინფორმაციის გაცვლისა თუ მიღების ერთ-ერთ უძირითადეს საშუალებად იქცა და ფაქტობრივ მოიცვა ყველა ასაკობრივი თუ სოციალური ჯგუფი, ამგვარი კომუნიკაცია კი სამწერლობო ენასა და ზეპირმეტყველებას შორის აღმოჩნდა. ის ადამიანთა ცხოვრების ალტერნატიული სივრცე და აზრის გამოთქმის მარტივი საშუალება გახდა. სოციალურ ქსელებში კომუნიკაციის ფორმა და სტილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული კომუნიკაციისგან. მას ახასიათებს მოკლე და ლაკონური ფრაზები, „ემოჯებისა“ და სიმბოლოების გამოყენება. სწორედ თავისი სისწრაფის, სიმარტივისა თუ არაფორმალურობის გამო ამკვიდრებს ის მოკლე და არასტანდარტულ ფორმებს, ხასიათდება ბარბარიზმების სიუხვით, როგორებიცაა, მაგალითად: „ლაიქი“, „დასქრინვა“ და სხვ.; უგულებელყოფს ორთოგრაფიულ წესრიგსა და გრამატიკულ კანონზომიერებებს. შეცდომათა რაოდენობა და სირთულე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ტექსტია გამოქვეყნებული. გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების მომხმარებელთა ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებაც. საშუალო ასაკს გადაცილებულნი მეტ ყურადღებას აქცევენ წერის კულტურას, გრამატიკულ წესრიგს. ახალგაზრდა თაობა გაცილებით ხშირად მიმართავს „სლენგებს“ და სიტყვათა შემოკლებებს, მეტად მოიხმარენ „ემოჯებს“ და სხვ.

სოციალური ქსელები აქტიურ ზეგავლენას ახდენს სალიტერატურო ენასა და მის შემდგომ განვითარებაზე. შესაძლებელია, ეს გავლენა ენას მეტ მოქნილობასა და თანამედროვეობას ანიჭებდეს, თუმცა ამავდროულად იწვევს ორთოგრაფიული ნორმების გაუფასურებას და არღვევს გრამატიკულ წესრიგს. მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა ენამ სოციალური ქსელების დონეზე შეინარჩუნოს ბალანსი თავის განვითარებასა და ტრადიციულ ნორმებს შორის. შესამჩნევია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება ნორმირებული ენის მიმართ გულგრილია. გარდა ამისა, სოციალურ ქსელებში „ენის სიწმინდის დაცვა“ ხშირ შემთხვევაში ფუჭი თეზისის სახეს იძენს, თუმცა ცალსახაა, რომ ქართული ენის ეს დისკურსი ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე პროცესების ამსახველ მოცემულობად უნდა აღვიქვათ.

A person, as a social being, constantly needs verbal or non-verbal communication. Speakers of a particular language communicate through sound or graphic language, and this requires an addressee and an addressee, between whom information is encoded, and a code, in turn, is a system of conditional signs through which a specific message is sent.

In our case, a code with written signs is considered. In written texts, such as: message, statement, so-called Whether it is “posts” or “comments”, cases of violation of the norms of the Georgian

literary language are very frequent. The study of the material shows that the necessity of observing each mandatory norm established for the Georgian language is ignored when dealing with social networks. Empirical assessments also show that the situation from a linguistic point of view is quite heterogeneous and undesirable. Based on this, the task of our research is to assess the main trends in social networks and the modern situation of the Georgian language in the same directions.

Today, social networks play a very important role in human life. With the development of technology, it has become one of the most basic means of exchanging or receiving information and has practically covered all age and social groups, and such communication has found itself between written language and oral speech. It has become an alternative space for people's lives and a simple means of expressing opinions. The form and style of communication in social networks is significantly different from traditional communication. It is characterized by short and laconic phrases, the use of "emojis" and symbols. It is precisely because of its speed, simplicity and informality that it establishes short and non-standard forms. It is characterized by an abundance of barbarisms, such as, for example: "like", "scribble", etc.; Ignores spelling and grammatical rules. The number and complexity of errors depend on the type of text published. In addition, it is very important to consider the age groups of social network users. Those over the age of 18 pay more attention to writing culture and grammatical rules. The younger generation is much more likely to resort to "slang" and abbreviations, use "emojis" more often, etc.

Social networks actively influence the literary language and its further development. It is possible that this influence gives the language more flexibility and modernity, but at the same time it leads to the depreciation of orthographic norms and violates grammatical order. It is important that the Georgian language maintains a balance between its development and traditional norms at the level of social networks. It is noticeable that the attitude of a large part of society towards the standardized language is indifferent. In addition, in social networks, "protecting the purity of the language" often takes the form of an empty thesis, although it is clear that this discourse of the Georgian language should be perceived as a given reflecting the processes taking place in living speech.

ქართული ენის აფრიკატების აკუსტიკური ანალიზი

Acoustic Analysis of the Affricates of the Georgian Language

ზურაბ ბარათაშვილი, ივანე ლეჟავა
Zurab Baratashvili, Ivane Lezhava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: აკუსტიკური ანალიზი, აფრიკატი, მჟღერი, ფშვინვიერი, მკვეთრი.

Keywords: Acoustic analysis, affricate, voiced, aspirated, ejective.

საკვლევ მასალად გამოყენებულია თსუ ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის ფონოთეკაში არსებული მამაკაცისა და ქალის აუდიოჩანაწერები, რომლებიც დამუშავებულია მეტყველების ანალიზის ციფრული პროგრამებით – Praat-ითა და WaveSurfer-ით. წინანუნისმიერი და უკანანუნისმიერი აფრიკატები გაანალიზებულია თავკიდურ, ინტერვოკალურ და ბოლოკიდურ პოზიციებში ა, ი, უ ხმოვნებთან: *მჟღერები* – ძ, ჯ, *ფშვინვიერები* – ც, ჩ, *მკვეთრები* – წ,ჭ.

თავკიდურ პოზიციაში მჟღერი აფრიკატის ხშვის ფაზა შეიძლება იყოს მჟღერი, ნაწილობრივ მჟღერი ან ყრუ, ხოლო განხშვა – მჟღერი, ნაწილობრივ ან იშვიათად დაყრუებული. ინტერვოკალურ პოზიციაში ორივე ფაზა ყოველთვის მჟღერია. ბოლოკიდური აფრიკატის ხშვის ფაზა მჟღერია სხვადასხვა ხარისხით, ხოლო განხშვა – ნაწილობრივ მჟღერი ან დაყრუებული. ყრუ აფრიკატების ხშვა, როგორც წესი, პერიოდული რხევების გარეშეა წარმოდგენილი, მაგრამ ზოგჯერ დასაწყისი ინტერვოკალურ და ბოლოკიდურ პოზიციებში გამჟღერებულია, განსაკუთრებით ინტერვოკალური აფრიკატებისთვის დამახასიათებელი არასრული ხშვის შემთხვევაში.

უკანანუნისმიერი აფრიკატების ჩქამის გრძლივობა აღემატება მსკდომი თანხმოვნების გრძლივობას და ნაკლებია წინანუნისმიერებთან შედარებით. ფშვინვიერი აფრიკატი ყველა პოზიციაში გამოირჩევა ჩქამის დიდი გრძლივობით. ჩქამის მაქსიმალური გრძლივობა ბოლოკიდური აფრიკატებისთვის არის დამახასიათებელი.

მჟღერი ძ თანხმოვნის ჩქამის გრძლივობა 50-128 მს-ის ფარგლებშია, ც თანხმოვნისა – 94-245 მს-ის, ხოლო წ თანხმოვნისა – 54-160 მს-ის; მჟღერი ჯ თანხმოვნის ჩქამის გრძლივობა 35-101 მს-ის ფარგლებშია, ჩ თანხმოვნისა – 77-225 მს-ის, ხოლო ჭ თანხმოვნისა – 54-160 მს-ის.

წ მკვეთრი თანხმოვნის ჩქამისმომდევნო უბგერო ინტერვალის გრძლივობა 8-41 მს-ის ფარგლებშია, ხოლო ჭ მკვეთრი თანხმოვნისა – 8-60 მს-ის ფარგლებში. უბგერო ინტერვალის უფრო მეტად თავკიდური და ინტერვოკალური პოზიციებისთვის არის დამახასიათებელი.

წინანუნისმიერი აფრიკატების ჩქამის შუაში სპექტრის დიაპაზონი ყველა პოზიციაში ორივე დიექტორის საშუალო მონაცემებით 2470-8000 ჰც-ია, უკანანუნისმიერი აფრიკატებისა კი – 1600-8000 ჰც. აღსანიშნავია, რომ ქალი დიექტორის წარმოთქმით ჩქამის ქვედა საზღვარი საშუალოდ 240 ჰც-ით არის მაღალი.

ლაბიალიზაციით (უ ხმოვნის კოარტიკულაციით) გამოწვეული ცვლილება, ჩქამის სპექტრის დადაბლება, უფრო საგრძნობია ქალის წარმოთქმისათვის, ხოლო პალატალიზაციის შედეგად (ი ხმოვნის გავლენით) ჩქამის გრძლივობის მატება უფრო დამახასიათებელია მამაკაცის წარმოთქმისათვის.

The research material used in this talk is male and female audio recordings stored in the sound archive of the TSU Experimental Phonetic Laboratory and processed with the digital speech analysis programmes – Praat and WaveSurfer. Alveolar and postalveolar affricates are analysed in initial, intervocalic and final position with [a], [i] and [u] vowels: voiced – [ʒ], [ʒ̥], aspirated – [c], [č], ejectives – [ç], [č̥].

The phase of closure of the voiced affricate in the initial position can be voiced, partially voiced or voiceless, and the release – voiced, partially or rarely devoiced. In the intervocalic position, both phases are always voiced. The closure phase of the final affricate is voiced to varying degrees, and the release is partially voiced or devoiced. The closure of voiceless affricates is usually presented without periodic oscillations, but sometimes the onset is voiced in the intervocalic and final positions, especially in the case of an incomplete closure, which is characteristic of intervocalic affricates.

The duration of the noise of the post-alveolar affricates exceeds the duration of the stop consonants and is less long compared to the alveolar ones. In all positions, the aspirated affricate is

characterised by a long noise. The maximum duration of the noise is characteristic of the final affricates.

The duration of the noise of the voiced [ʒ] consonant is 50-128 ms, the duration of the [c] consonant is 94-245 ms and the duration of the [ç] consonant is 54-160 ms; the duration of the noise of the voiced [ʒ̥] is 35-101 ms, the duration of the consonant [ç̥] is 77-225 ms and the duration of the consonant [ç̥] is 54-160 ms.

The duration of the silent period after the noise of the [ç] and [ç̥] ejective consonants varies between 8-60 ms. The silent period is more characteristic of initial and intervocalic positions.

The range of the spectrum in the middle of the noise of the pre-alveolar affricates in all positions is 2470-8000 Hz according to the average data from two speakers, and for the post-alveolar affricates are 1600-8000 Hz. It should be noted that the lower limit of the noise is on average 240 Hz higher for the female speaker.

The change caused by labialisation (with the coarticulation of the [u] vowel), the lowering of the spectrum of the noise, is more noticeable for female pronunciation, and as a result of palatalisation (under the influence of the vowel [i]), the increase in the duration of the noise is more characteristic of male pronunciation.

ლაბილური კონსტრუქციები ქართულ ენაში

Labile Constructions in the Georgian Language

ცირა ბარამიძე

Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi state university
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ლაბილობა, სინტაქსური კონსტრუქცია, ქართული ენა, ნანოსინტაქსი.
Keywords: Lability, syntactic construction, Georgian language, nanosyntax.

მოხსენებაში გაანალიზებულია ლაბილური კონსტრუქციების ნანოსინტაქსი ქართულში. ლაბილურობის საკითხი ქართულში შესწავლილია იბერიულ-კავკასიურ ენათა ემპირიული მასალის მიხედვით, ენათა სინქრონიული ჭრილების გათვალისწინებითა და ენობრივ ჯგუფებს შორის ქვესისტემათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით. ქართულ ენაში ლაბილობასთან გადაჯაჭვულია საკვანძო მორფოსინტაქსური ოდენობები: გრამატიკული კლასი და ერგატიულობა; ამათგან ქართულში გრამატიკული კლასი უკვე გამქრალია. ლაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნა-შემასმენელი ქმნის აქტანტებისა და ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის ვარიანტების შესაძლებლობას. ლაბილურობაშია ჩართული აქტივისა და პასივის სემანტიკა გვარის ჩამოყალიბებამდე და გვარის გარეშეც კარგად გამოხატავს აქტივსა და პასივს. ლაბილური კონსტრუქციების პრიორიტეტია რეციპიენტის (პირდაპირი ობიექტი) მარკირება ზმნაში, ნაცვლად სუბიექტისა და ერგატიული კონსტრუქცია იმ ენებშიც კი, სადაც ბრუნვა ერგატივი არა გვაქვს, რადგან ბრუნვა არ ჩამოყალიბებულა (მაგ., აფხაზურში). ერგატიულობა და ლაბილურობა გადაჯაჭვულია ყველაზე ძველ მორფოსინტაქსურ ოდენობასთან – გრამატიკულ კლასთან. იმ ენებში, სადაც გრამატიკული კლასი კარგად არის შემონახული და უღვლილება კლასოვანია, ლაბილურობა-სტაბილურობის კატეგორია სრულად ფუნქციონირებს, შეიცავს ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის სემანტიკას და ფორმობრივადც ზედმიწევნით გამოხატავს აქტივსა და პასივს. ობიექტური კლასოვანი უღვლილება არის ამოსავალი სინტაქსური მოდელი ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენებისათვის. იმ ენებში, სადაც კლასი მოიშალა, თანდათანობით შეიზღუდა ლაბილურობის კატეგორია, ამის შემდგომ სემანტიკა აქტივისა და პასივის გრამატიკული ოპოზიციის გამოსახატავად ლაბილურობის წიაღიდანვე წარმოშობს გარდამავლობა-გარდაუვალობასთან ერთად გვარის კატეგორიას; ოღონდ მოქმედებითი გვარის მარკირება სინტაქსურია (კონსტრუქციით განისაზღვრება), ვნებითი კი ფორმდება მოგვიანებით (ქართულში). იმ ენებში კი, სადაც კლასი კარგად არის შემონახული, გვარის კატეგორია ჩანასახშიც კი არ არის, რადგანაც ლაბილურობის კატეგორია თავის თავში მოიცავს სემანტიკურადაც და ფორმობრივადც რეციპიენტის პრიორიტეტულ მარკირებას გრამატიკული კლასის ნიშნით ტრანზიტიული სემანტიკის ზმნებთან, ასევე ერგატიულ კონსტრუქციას დროისა და კილოს ნებისმიერ ფორმასთან, ხოლო ქართველურ ენებში, სადაც კლასი აღარ არის, დაიჩრდილა ლაბილურობაც. თუმცა შემორჩენილია მაგალითები:

აღიყვანა მან იგი (აქტივი) – აღიყვანა იგი = აღყვანილ იქნა (პასივი);

მოიკლა მან იგი (აქტივი) – მოიკლა იგი (პასივი).

ქართულ-ქართველური ენების უღვლილების სინტაქსური კონსტრუქციები ჩამოყალიბდა როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა სინტაქსური ამოსავალი სისტემის ერთ-ერთი დიასისტემა, ძირეული სისტემიდან ისტორიული გადაწვეითა და სისტემის რეინტერპრეტაციით, აქტანტების ვალენტობის გამოხატვის შეცვლით (კლასი – კლას-პირი – პირი), მოიშალა ლაბილურობა გრამატიკულ კლასთან ერთად და ამის „კომპენსაციად“ ჩამოყალიბდა გვარი. ნანოსინტაქსი იძლევა შესაძლებლობას, შევისწავლოთ ქართულის სინტაქსი დიაქრონიულ ჭრილში.

The report analyzes the Nanosyntax of Labile Constructions in Georgian. The issue of Lability in Georgian is studied based on empirical material from Iberian-Caucasian languages, taking into account the synchronic analyzes of languages and using the method of internal reconstruction of subsystems between language groups. In the Georgian language, Lability is intertwined with key morpho-syntactic quantities: Grammatical Class and Ergativity; of these, Grammatical Class has already disappeared in Georgian. A verb with a Labile Construction creates the possibility of variation of actants and transitivity-intransitivity. The semantics of the active and passive are involved in Lability before the formation of the Voice and express the active and passive well even without the

Voice. Ergativity and lability are intertwined with the oldest morphosyntactic quantity - Grammatical Class. In those languages where Grammatical Class is well preserved and intransitivity is class-based, the category of Lability-Stability is fully functional, contains the semantics of transitivity-intransitivity and also expresses the active and passive in a formal manner. Objective class intransitivity is the original syntactic model for languages with Ergative Constructions. In those languages where the class was abolished, the category of Lability was gradually limited, after which semantics, in order to express the grammatical opposition of the active and passive, generates the category of the Voice along with transitivity-inevitability from the depths of Lability; however, the marking of the Active Voice is syntactic (determined by construction), while the Passive is formed later (in Georgian). In those languages where the class is well preserved, the category of the Voice is not even in its infancy, since the category of Lability includes both semantically and formally the priority marking of the Recipient with the sign of Grammatical Class with verbs of transitive semantics, as well as the Ergative Construction with any form of tense and mood, while in the Georgian languages where the Class no longer exists, Lability has also been overshadowed. However, examples have survived:

აჲიპვანა მან იგი “He took it” (active) – აჲიპვანა იგი “took it” = აჲიპვანil ikna “was taken” (passive);

მოიკლა მან იგი “He killed it” (active) – მოიკლა იგი “killed it” (passive).

The syntactic constructions of the Georgian-Kartvelian languages were formed as one of the diasystems of the syntactic origin system of the Iberian-Caucasian languages, with historical transfer from the Common system and reinterpretation of the system, changing the expression of the valence of the actants (Class – Class-Person – Person), Lability was eliminated along with the Grammatical Class, and the Voice was formed as a “compensation” for this. Nanosyntax provides an opportunity to study the syntax of Georgian in a diachronic context.

ოსური საკუთარი სახელების ბრუნება ქართულ ენაში

The Inflection of Ossetian Proper Names in the Georgian Language

ნაირა ბეპიევი

Naira Bepievi

თსუ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

Head of the Scientific-Research Center for Georgian-Ossetian Relations at Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: ქართული, ოსური, საკუთარი სახელები და გვარები, ბრუნება, მოთხრობითი, ხმოვანფუძიანი, თანხმოვანფუძიანი.

Keywords: Georgian, Ossetian, proper names and surnames, inflection, ergative case, vowel-based, onsonant-based.

ოსური ინდოევროპული ენაა, კონკრეტულად კი ის განეკუთვნება ირანულ ენათა ოჯახს. სწორედ ეს განაპირობებს, რომ საკუთარი სახელები კავკასიურ ენათაგან განსხვავებულად იბრუნვის. ცნობილია, რომ ოსურ ენაში, სხვა ირანული წარმომავლობის ენებისაგან განსხვავებით, არსებობს მკვეთრი ბგერები – აბრუპტივები, როგორც მათ აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი უწოდებდა.

საკუთარი სახელების ქართულ ენაზე გადმოტანის დროს გასარკვევია საკითხი: ოსური საკუთარი სახელი ქართულად როგორ უნდა ვაბრუნოთ: როგორც ხმოვანფუძიანი თუ როგორც თანხმოვანფუძიანი, ანუ მისი ბრუნება ქართულს მიჰყვება თუ ირანული ენის სპეციფიკას ითვალისწინებს. ეს საკითხი დღემდე სამეცნიერო დაკვირვების საგანი არ გამხდარა. ოსური ენის ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესების შემუშავების დროს გაირკვა, რომ დღემდე გვხვდება ოსური სახელ-გვარების ორგვარად ბრუნების შემთხვევები, მაგ.: გაგლოითიმ, გაგლოითმა; ჯუსოითიმ, ჯუსოითმა; ბესთაუთიმ, ბესთაუთმა და სხვა მრავალი.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ოსური ანთროპონიმების (სახელებისა და გვარების) ქართულად ბრუნების შესახებ.

The Ossetian language is an Indo-European language, specifically it belongs to the Iranian language family. That's why, its inflectional change of proper names is different from the Caucasian languages. It is known that in the Ossetian language, unlike other languages of Iranian origin, there are sharp letters – abruptions, as called by Giorgi Akhvlediani.

When translating proper names into Georgian, it is important to clarify the following question: when an inflectional change of an Ossetian proper name is being made in Georgian, does it become a vowel-based or consonant-based name? Is the inflection based on Georgian or is it influenced by the Iranian language? This issue has not been the subject of scientific observation to this day. During the development of the rules for transcription-transliteration of the Ossetian language, it was discovered that two types of inflectional forms of Ossetian names and surnames are still found. For example: **gagloitim, gagloitma; ჯუსოითიმ, ჯუსოითმა; bestautim, bestautma** etc.

In the paper, we will focus on the issue of the inflection of consonant-based and vowel-based anthroponyms (names and surnames) in the Georgian language.

ქართული ენის სწავლების პრობლემები აჭარულ დიალექტზე
მოსაუბრე მოსწავლეებთან

Problems of Teaching Georgian Language to Students Speaking the
Adjarian Dialect

ნია ბერძენიშვილი, ანა-მარია ბოჭორიშვილი, მარიამ შენგელია
Nia Berdzenishvili, Ana-Maria Bochorishvili, Mariam Shengelia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Psychology and Educational Sciences

საკვანძო სიტყვები: სტილისტიკა, დიალექტოლოგია, აჭარული დიალექტი, ქართული ენის
სწავლების მეთოდოლოგია, მეტყველების განვითარება.

Keywords: Stylistics, dialectology, adjarian dialect, Georgian language teaching methodics, speech
development.

აჭარის რეგიონი ისტორიულად ყოველთვის ახლოს იყო სხვა რეგიონებთან და ენობრივი თვალსაზრისითაც უახლოვდებოდა გურულ და იმერულ დიალექტებს. ჩვენი კვლევა აგებულია აჭარული დიალექტის ასპექტებზე და ყურადღება გამახვილებულია სახელთა ბრუნვაზე, მოხმობილია გურულ დიალექტთან მსგავსების დამადასტურებელი მასალები. კვლევის საგანი აქტუალურია როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში, რაც განპირობებულია მოსახლეობის მრავალფეროვნებით.

ჩვენი საკვლევი თემის შესწავლისთვის ჩავატარეთ მცირე გამოკითხვა აჭარის რეგიონისა და დედაქალაქის მასშტაბით. მოხსენებაში განვიხილავთ მოსწავლესთან მიდგომის გზებს სალიტერატურო ენის სწავლებისას და ამ პროცესში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის სტრატეგიებს. ასევე განვიხილავთ ქართული ენის სწავლების მეთოდის ძირითად ასპექტებს.

ნაშრომის მიზანია, აჩვენოს, ახდენს თუ არა დიალექტი გავლენას სალიტერატურო ენის სწავლებაზე დაწყებით კლასებში. ეს კვლევა ემსახურება სალიტერატურო ენის განვითარებასა და მოსწავლეებში დაწყებითი საფეხურიდანვე სალიტერატურო ენით ამეტყველებას, საუბრისას და შვებულებით შეცდომების გასწორებასა და მართებული ფორმების შინაარსობრივ გააზრებას.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: თვისებრივი მეთოდებიდან – აჭარულ დიალექტთან დაკავშირებული ინფორმაციების შედარებითი ანალიზი, კერძოდ, განხილულია ენციკლოპედიებსა და მკვლევარ-მეცნიერთა მიერ შედგენილ მოხსენებებში არსებული მასალები; რაოდენობრივი მეთოდებიდან – გამოკითხვის მეთოდი, წინასწარ განსაზღვრულ აუდიტორიაზე მორგებული კითხვებით. კვლევაში გამოვყოფთ აჭარული დიალექტის ზოგად მახასიათებლებს ზოგიერთი დიალექტოლოგიური ნაშრომის მიხედვით (ჩიქობავა, 1952; ჯორბენაძე, 1989), ხოლო პედაგოგიკასა და ენის სწავლების მეთოდოლოგიაზე მსჯელობისას ვეფუძნებით როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე მონოგრაფიებს (მაღლაკელიძე 2013; რამიშვილი 1957; რეხვიაშვილი 2009; ქ. ჭკუასელი, ივ. ჭკუასელი 2012).

აჭარული დიალექტის მორფოლოგიური ნაწილის განხილვისას შევხებით სახელთა ბრუნვას. ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელებიდან სახელობით ბრუნვაში -ი → -ი ნიშანს დაერთავენ: ერთმარცვლიანი ფუძის მქონე ყველა სახელი: დაი, ძმაი, ფთაი, თვეი, ყრუი; ორ და მეტმარცვლიანთაგან – კნინობითის ფორმები: სარაკუნაჲ; არჩილაჲ, უსუფაჲ, ჰასანაჲ. ადამიანთა საკუთარი ან მასთან გატოლებული სახელები: ესმეჲ, ზეჟიეჲ; ანაჲ, ბაბოჲ. მქონებლობის -ა სუფიქსიანი სახელები: კუდცეცხლაჲ, შავთვალწარბაჲ. განვიხილავთ თითოეული ბრუნვის თავისებურებას (ჯორბენაძე, 1989); ყურადღება გამახვილდება სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე და მოვიხმობთ შესაბამის მაგალითებს ჩატარებული გამოკითხვიდან.

სინტაქსურ თავისებურებათაგან ყურადღებას გავამახვილებთ ბრუნვის ფორმათა ფუნქციებზე, მაგალითად: ხმოვანფუძიანი (უპირატესად ა-ხმოვნიანი) პრეპოზიციური მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, შეთანხმებულია საზღვრულთან სახელობით ბრუნვაში: ერბოყვითელაი ბალახი, ყურუთაი კაცი; მემთიჟტრიეი ქალები; ასევე საინტერესოა ვინმეს (ან რაიმეს) გამომრიცხველობის შინაარსით მართულ-შეთანხმებული სახელის სინტაქსური ურთიერთობა ზმნა-შემასმენელთან. ასეთი სახელი ვითარებით ბრუნვაში დგას და კონტექსტში ვითარების გარემოებას გადმოგვცემს: ამ ბაღნეფ ვინ გამოზდის უფატყუმსოდ?! (ფატყუმეს [ქალის საკუთარი სახელი] გარეშე)... (ნიჟარაძე, 1975). აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ განვმარტოთ სინტაქსური ტერმინები – მართვა, მირთვა, შეთანხმება (თითოეულის განმარტება თავისი მაგალითებითურთ წარმოდგენილი გვაქვს მოხსენებაში).

ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, წარმოვადგენთ მიღებულ შედეგებს და ვისაუბრებთ გამოსწორების გზებზე. გამოკითხვისას ვამოწმებდით ისეთ დიალექტურ სიტყვებს, როგორებიცაა: ლარწუკა, ზირკლი, ზოვლი, ხორთლახი... ასევე შესიტყვებებს – შუქმა წევდა, კაცმა ადგა და მისთანები, რათა დაგვედგინა, რამდენად იცოდნენ ადამიანებმა მათი მნიშვნელობა და გამოიყენებოდა თუ არა ეს სიტყვები ყოველდღიურ მეტყველებაში. ვფიქრობთ, ამგვარი კვლევები უპასუხებს ქართული სალიტერატურო ენის წინაშე მდგარ ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორ-

რიცაა სალიტერატურო ენაზე საუბარი. ბუნებრივია, ჩვენი კულტურა და ენობრივი მრავალფეროვნება უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ აუცილებელია ვიცოდეთ და მომავალ თაობასაც ვასწავლოთ, თუ სად და როგორ უნდა ისაუბრონ.

The Adjara region has historically been close to other regions and linguistically, its dialect is similar to the Gurian and Imeretian dialects. Our research is based on aspects of the Adjarian dialect, specifically on noun inflection, using materials that confirm its similarity to the Gurian dialect. The topic of the research is relevant both in the capital and in the regions due to the diversity of the population.

For a deeper study of our research topic, we conducted a small survey across the Adjara region and the capital. In the report, we will discuss approaches to teaching students the literary language and strategies for addressing various challenges that arise in the learning process. We will also discuss the main aspects of Georgian language teaching methodics.

The aim of this work is to determine whether the dialect influences the teaching of the literary language in elementary school. This research contributes to the development of the literary language and to students' ability to speak it from an elementary level, correctly identify and correct speech errors, and understand the meaning of proper language forms.

Both qualitative and quantitative research methods were used in the work. Among the qualitative methods – comparative analysis of information related to the Adjarian dialect, particularly materials from encyclopedias and reports compiled by researchers and scholars. Among the quantitative methods – a survey method with suitable questions for a predetermined audience.

In the research, we will highlight the common characteristics of the Adjarian dialect based on data from several dialectological studies (Chikobava 1952; Jorbenadze 1989, pp. 539-574) and will base our analysis on both traditional and modern monographs on pedagogy and language teaching methodics (Maglakelidze 2013; Ramishvili 1957; Rekhviashvili 2009; Chkuaseli, Chkuaseli, 2012).

Based on our survey, we will present the results obtained and discuss ways for improvement. Our survey included dialectal words such as lartsuka (silly), zirkli(poor), zovli(so e.g much), khortlakhi(ghost), as well as grammatical forms such as shukma tsevda(The light went out), katsma adga(person stood), and others, to determine how well people understand their meanings and whether these words are used in everyday speech.

We think that our report addresses one of the key challenges that Georgian literary language faces – namely, the issue of speaking in the literary language. While it is true that we should not lose our culture and linguistic diversity, we must also teach the next generation where and how to speak the language.

ქართული ენის ფუნქციონირება
და მისი სტანდარტიზაციის პროცესი

Functioning of the Georgian Language and the Process of its
Standardization

თინათინ ბოლქვაძე
Tinatin Bolkvadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
State Language Department

საკვანძო სიტყვები: ენის ფუნქციონირება, ეფექტური სტანდარტიზაცია, საზოგადოების
დამოკიდებულება.

Keywords: Functioning of Language, Effectiveness of Standardization, Attitude of Society.

მოხსენებაში გაანალიზებულია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების საკითხები მაღალი რანგის ადმინისტრაციულ ორგანოებში; განხილულია ქართულის, როგორც ინსტრუქციის (სწავლების) ენის, გამოყენება ფორმალური განათლების სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე, აგრეთვე – სხვადასხვა სფეროში, როგორებიცაა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კულტურა, ციფრული ტექნოლოგიები, სასამართლო სისტემა და სხვ.

მოხსენების მეორე ნაწილში განხილულია ის ახალი და განახლებული ნორმები, რომლებიც მიიღო სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიამ; წარმოდგენილია აგრეთვე საზოგადოების დამოკიდებულება ამ ნორმებისადმი.

ბოლოს დასმულია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად აგვარებს ნორმალიზაციის მიმდინარე პროცესი თანამედროვე ქართული ენის პრობლემებს და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სტანდარტიზაციის უფრო შედეგიანად წარმართვისათვის.

The paper deals with the use of Georgian as the state language in the highest administrative bodies, as a language of education in the system of pre-school, primary, basic, secondary and higher education, for the protection of public health, for the provision of information in the sphere of communication and culture, in the digital sphere and the court system.

The second part of the paper examines the new and updated norms adopted by the Expert Commission of the State Language Department and the attitude of the Georgian society to these norms.

In conclusion the question is raised as to how far the current normalisation process meets the needs of the modern Georgian language and what steps should be taken for more effective standardisation.

კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა დაკავშირების ერთი სახეობისათვის¹

For One Type of Connection on the Composite Components

თეა ბურჭულაძე
Tea Burchuladze

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: კომპოზიტი, მართლწერა, სიტყვა.

Keywords: Compound, spelling, word.

¹ მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია“ (SL-24-157) – ფარგლებში.

თანამედროვე ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლამ თუ უცხო სიტყვების დანერგვამ არაერთი რთული სიტყვა დაამკვიდრა. მოხსენებაში განვიხილავთ ისეთ კომპოზიტებს, რომელთა პირველი ნაწილი შემოკლებითაა მიღებული და ო-ზე ბოლოვდება. დაწერილობის თვალსაზრისით სიჭრელა: დასტურდება როგორც დეფისიანი, ისე ერთად დაწერის შემთხვევები.

წარმოებისა და ფუძის თვალსაზრისით გამოიყოფა:

1. რთულფუძიანი სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი შემოკლების გზით არის მიღებული და ო-ზე ბოლოვდება: მორფოსინტაქსი, მორფოსინტაქსური, მორფოფუნქციური, მორფოსემანტიკა... (შემოკლებულია სიტყვა მორფოლოგიური – მორფო); ეთნოკულტურა, ეთნოლინგვისტური, ეთნონაციონალური, ეთნოსახლი... (შემოკლებულია სიტყვა ეთნოლოგიური – ეთნო); ონკოპაციენტი, ონკოქირურგია, ონკოცენტრი... (შემოკლებულია სიტყვა ონკოლოგიური – ონკო); ფსიქოანალიზი, ფსიქოფიზიკური, ფსიქოსოციალური (შემოკლებულია სიტყვა ფსიქოლოგიური – ფსიქო); აგროტექნიკა... (შემოკლებულია სიტყვა აგრონომიული – აგრო) და მისთ.

2. რთულფუძიანი სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი შემოკლებულია და მეორე სიტყვას ო ხმოვნით უერთდება: ლექსიკო-სემანტიკური/ლექსიკოსემანტიკური, ლექსიკო-გრამატიკული/ლექსიკოგრამატიკული... (შემოკლებულია სიტყვა ლექსიკური); სოციო-კულტურული / სოციოკულტურული, სოციო-ეკონომიკური/სოციოეკონომიკური, სოციო-ემოციური / სოციოემოციური (შემოკლებულია სიტყვა სოციალური).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება დასახელებული ტიპის კომპოზიტების მართლწერის რეკომენდაციები.

ლიტერატურა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (1970), თბილისი: „მეცნიერება“.

In the modern era, the introduction of new technologies and foreign words has created a number of new compound words. This concerns such compounds, the first part of which is a form containing a foreign base, ending in the vowel **o**. As for the spelling, it is diverse, e.g., both hyphenated and combined forms are attested.

In terms of the production and base, the following are distinguished:

1. Forms obtained by shortening the first component of a compound base word, ending in **o**: **morpo**sintaksi “morphosyntax”, **morpo**sintaksuri “morphosyntactic”, **morp**opunkciuri “morpho-functional”, **morp**osemantika “morphosemantics” (the shortened word **morp**ologiuri “morphological” – **morp**o “morpho”); **etno**kultura “ethno-culture”, **etno**lingvisturi “ethnolinguistic”, **etno**nacionaluri “ethnonational”, **etno**saxli “ethno-house” (the shortened word **etno**logiuri “ethnological” – **etno** “ethno”); **onko**pacienti “radiotherapy patient”, **onko**kirurgia “surgical oncology”, **onko**centri “oncology center” (the shortened word **onko**logiuri “oncological” – **onko** “onco”); **psiko**analizi “psychoanalysis”, **psiko**pizikuri “psychophysical”, **psiko**socialuri “psychosocial” (the shortened word **psiko**logiuri “psychological” – **psiko** “psycho”) and so on.

2. Words with a compound base, the first component of which is shortened and joined to the second word with the vowel **o**: **leksiko**-semantikuri/**leksiko**semantikuri “lexicosemantic”, **leksiko**-gramatikuli / **leksiko**gramatikuli “lexicogrammatical” (the word **leksiko** “lexical” is shortened); **socio**-kulturaluri / **socio**kulturaluri “socio-cultural”, **socio**-ekonomikuri / **socio**ekonomikuri “socio-economic”, **socio**-emociuri / **socio**emociuri “socio-emotional” (the word **socio** “social” is shortened).

The presentation will provide spelling recommendations for the above-mentioned types of compounds.

References

Tanamedrove kartuli saliteraturo enis normebi (1970). [Norms of the modern Georgian literary language]. Tbilisi: “mecniereba”.

რელიგიის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები
აზერბაიჯანულ ფრაზეოლოგიზმებში (ქართულთან მიმართებით)

Lexical Units Denoting Religion in Azerbaijani Idioms (in Comparison
With Georgian)

ნამილ გასანოვი
Namil Gasanov

საქართველოს უნივერსიტეტი

The University of Georgia

საკვანძო სიტყვები: უფალი, სამოთხე, ჯოჯობეთი, ანგელოზი, ეშმაკი.
Key words: God, heaven, hell, angel, devil.

საკონფერენციო თემაში ვეყრდნობით როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი მეცნიერების გამოკვლევებსა და ლექსიკონებს: ბიძინა ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგიას“, თედო სახოკიას ლექსიკონს – „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, ალექსანდრე ონიანის ლექსიკონს – „ქართული იდიომები“. რაც შეეხება აზერბაიჯანულ მასალას, ის მოვიპოვეთ ქულუ მეჰერლემლისა და რაფიკ ისმაილოვის „აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონიდან“ და ილიას ჰამიდოვის, მამედ გოჯაევის, რენა მამედოვისა და ლეილა ჰამიდოვის „აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონიდან“. ნაშრომის მიზანია ქართულ და აზერბაიჯანულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა შედარება და, შესაბამისად, მსგავსება-განსხვავებათა დაძებნა, მაგალითად, რა შემთხვევაში მიმართავს ორი ტიპოლოგიურად განსხვავებული ენა ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულებს მსგავსი მნიშვნელობის გამოსახატავად.

მოხსენებაში განხილული იქნება იმ სახის ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც საკვანძო სიტყვებად გამოყენებულია რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: „უფალი“, „სამოთხე“, „ჯოჯოხეთი“, „ანგელოზი“, „ემშაკი“.

მასალა შემდეგნაირად გვაქვს წარმოდგენილი: ჯერ მოცემულია აზერბაიჯანული იდიომი, მაგ.: „Allahın işidir“, რომელსაც მოსდევს სიტყვასიტყვითი თარგმანი ქართულად: „ღმერთის საქმეა“, მომდევნო სვეტში ახსნილია მყარი შეხამების მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში – „ყველაფერი ისე იქნება, როგორც ღმერთის ნებაა“; „ყველაფრის შემოქმედი ღმერთია“, ხოლო შემდეგ გათვალისწინებულია აზერბაიჯანული იდიომის ქართული შესატყვისი (ასევე მყარი შეხამების სახით): „ყველაფერი ღვთის ნებაა“. დაბოლოს, ახსნილია ქართული იდიომი.

ლიტერატურა

- კვაჭაძე, ლ. (2018). ქართული ენა; თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- Məhərrəmli Q. Və İsmayilov R. (2018). Azərbaycan dilinin frazeologiya lüğəti; Bakı: “Altun kitab” (მეჰერლემლი ქ. და ისმაილოვი რ. (2018). აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონი; ბაქო: „ალთუნ წიგნი“).
- ონიანი, ა. (1966). ქართული იდიომები; თბილისი: „ნაკადული“.
- სახოკია, თ. (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი; თბილისი: „მერანი“.
- ფოჩხუა, ფ. (1974). ქართული ენის ლექსიკოლოგია; თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები; თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1975). ენათმეცნიერების შესავალი; თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. (1998). ქართული ენის ზოგადი დახასიათება; თბილისი.
- Hamidova, L., Məmmədova, R., Qocayev M. Və Həmidov, İ. (2020). Azərbaycan Dilinin Frazeoloji Lüğəti; Türkiyə: “TEAS Press”, (ჰამიდოვა, ლ., მამედოვა, რ., გოჯაევა მ. და ჰამიდოვი, ი. (2020). აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონი; თურქეთი: „თეას პრესა“).

In this conference topic, we rely on the research and dictionaries of both Georgian and Azerbaijani scholars, including Bidzina Pochkhua's *Lexicology of the Georgian Language*, Tedo Sakhokia's *Georgian Idioms*, and Aleksandre Oniani's *Georgian Idioms*. For Azerbaijani material, we refer to *The Phraseological Dictionary of the Azerbaijani Language* by Kulu Meherlemli and Rafik Ismailov, as well as another *Phraseological Dictionary of the Azerbaijani Language* by Ilyas Hamidov, Mamed Gojaev, Rena Mamedov, and Leila Hamidov.

The aim of this paper is to compare Georgian and Azerbaijani phraseological expressions and identify their similarities and differences. Specifically, we examine cases in which two typologically different languages use the same lexical units to convey similar meanings.

The report focuses on phraseological expressions in which religious terms serve as key elements, such as: „God“, „Heaven“, „Hell“, „Cross“, „Angel“, „Devil“, „Spirit“ and „Sin“.

The material is presented as follows: First, an Azerbaijani idiom is given (e.g., Allahın işidir), followed by a literal translation into Georgian (It is God's work). The next column explains the meaning of the phrase (in this case: Everything happens according to God's will; God is the Creator of everything). Finally, the corresponding Georgian idiom is provided (Everything is the will of God), along with its explanation.

References

- Kvachadze, L. (2018).** Kartuli ena. [Georgian language]. Tbilisi: "Georgian Matsne".
- Meherlemli K. and Ismailov R. (2018).** Azərbaycan dilinin frazeologiya lugeti. [Dictionary of Azerbaijani Language Phraseologisms]. Baku: "Altun Kitab".
- Oniani, A. (1966).** Kartuli idiomebi. [Georgian idioms]. Tbilisi: "Nakaduli".
- Sakhokia, T. (1979).** Kartuli khatovani sitqva-tkmani. [Georgian Idioms]. Tbilisi: "Merani".
- Pochkhua, F. (1974).** Kartuli enis leksikologia. [Lexicology of the Georgian language]. Tbilisi: "Tbilisi University Publishing House".
- Shanidze, A. (1980).** Kartuli enis gramatikis sapudzvlebi. [Fundamentals of Georgian language grammar]. Tbilisi.
- Chikobava, Arn. (1975).** Enatmetsnierebis shesavali. [Introduction to linguistics]. Tbilisi.
- Chikobava, Arn. (1998).** Kartuli enis zogadi dakhasiateba. [General characteristics of the Georgian language]. Tbilisi.
- Hamidova, L., Mammadova, R., Gocayev M. and Hamidov, I. (2020).** Azərbaycan Dilinin Frazeoloji Lugeti [Dictionary of Azerbaijani Language Phraseologisms]. Turkey: "TEAS Press".

სპეციფიკურ აფხაზურ ფონემათა ქართული ტრანსლიტერაციის წესები

Georgian Transliteration Rules for Specific Abkhazian Phonemes

თეიმურაზ გვანცელაძე
Teimuraz Gvantseladze

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტი

Sokhumi State University
The Faculty of Humanities

ნანა მაჭავარიანი
Nana Machavariani

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: აფხაზური ფონემები, აფხაზური ფონემების ტრანსლიტერაცია, აფხაზური
ბგერების ტრანსლიტერაცია.

Keywords: Abkhazian phonemes, transliteration of Abkhazian phonemes, transliteration of Abkhazian sound.

აფხაზური სამწიგნობრო ენის ექვსი ლაბიალიზებული უკანა წარმოების ფონემა დიდად განსხვავდება და სრულებით არ ემთხვევა ქართულ ფონემებს, ამიტომ ისინი სხვადასხვაგვარად უნდა ტრანსლიტერირდეს ქართულ ენაზე. ამ მხრივ ტრადიციულად მოქმედებს სამი წესი:

1. ეს ფონემები უპირატესად გადმოიცემა ასე: **რა** = გვ; **კა** = ქვ; **კა** = კვ; **ჩა** = ღვ; **ხა** = ხვ, **კა** = ყვ. მაგალითად, **რა** ფონემის გამოყენების შემთხვევები: პირსახელები **რაჟი** - გვაჯი, **რაიჩა** - გვანჯა, **რაჟ** - გვამ, **რაა** - დაგვა, **რააგა** - მშაგა, **რაა** - ადგვა, **რააა** - ბაჯგვალა, **რააა** - გერგვალა, **რააა** - გვაკე, **რააა** - გვაშა, **რაი(ია)** - გვილი(ა); გვარსახელები **რააა** - აგვხაა, **რააა** - გვაჟა (და არა გოჟა)...

ეს წესი არ მოქმედებს ნეიტრალური **ხ** ხმოვნის მეზობლად მდგარი ამავე ბგერების გადმოცემის დროს. ასეთ პოზიციამ დასტურდება ორი სხვა წესი:

2. თუ ნეიტრალური ხმოვანი დგას ლაბიალიზებული უკანა წარმოების ფონემათა წინ, ქართულში თანხმოვანს წარუძღვება უ ხმოვანი: **რა** = უგ, **რა** = უქ, **რა** = უკ, **რა** = უღ, **რა** = უხ, **რა** = უყ; მაგალითად: პირსახელები **რაა** - კამუგი, **რაა** - ხაბუგი, **რაა** - ხინტრუგი; გვარსახელი **რაა** - ცუგა...

3. თუ ნეიტრალური ხმოვანი მოსდევს ლაბიალიზებული უკანა წარმოების ფონემებს, ქართულში ხმოვანი უ იწერება თანხმოვნის შემდგომ: **რა** = გუ, **რა** = ქუ, **რა** = კუ, **რა** = ღუ, **რა** = ხუ, **რა** = ყუ. მაგალითად: პირსახელები **რაა** - არგუნია, **რაა** - ბაჯგური, **რაა** - გუდისა, **რაა** - გუნდა; გვარსახელები **რაა** - აგუშა, **რაა** - არგუნი, **რაა** // **რაა** // **რაა** - გუმბა // გუნბა, **რაა** - ცარგუმი, **რაა** // **რაა** - ხაგუმი // ჰაგუმი; ტოპონიმები **რაა** - გუმა, **რაა** - გუმისთა, **რაა** - გულრიფში...

სამივე ტრადიციული წესი უნდა დარჩეს უცვლელად, რაც უზრუნველყოფს აფხაზური ლექსიკის ქართულ ენაზე ზუსტად გადმოცემას.

The six labialized back phonemes of the Abkhazian literary language differ greatly and do not completely coincide with the Georgian phonemes; therefore, they must be transliterated differently in the Georgian language. In this regard, traditionally, three rules apply:

1. These phonemes are predominantly transliterated as follows: **რა** = გვ; **კა** = ქვ; **კა** = კვ; **ჩა** = ღვ; **ხა** = ხვ, **კა** = ყვ. For example, the cases of the use of the phoneme **რა**: the first names: **რაჟი** - გვაჯი, **რაიჩა** - გვანჯა, **რაჟ** - გვამი, **რაა** - დაგვა, **რააგა** - მშაგაი, **რაა** - ადგვა, **რააა** - ბაჯგვალა, **რააა** - გერგვალა, **რააა** - გვაკე, **რააა** - გვაშა, **რაი(ია)** - გვილი(ა); The surnames **რააა** - აგვხაა, **რააა** - გვაჟა (and not გოჟა), etc.

This rule does not apply when transliterating the same sounds that are located next to the neutral vowel **ხ**. In such a position, two other rules are applied:

2. If a neutral vowel stands before the labialized back phonemes, in Georgian the consonant is preceded by the vowel **უ**: **რა** = უგ, **რა** = უქ, **რა** = უკ, **რა** = უღ, **რა** = უხ, **რა** = უყ; For example, the first names **რაა** - კამუგი, **რაა** - ხაბუგი, **რაა** - ხინტრუგი; The surname **რაა** - ცუგა, etc.

3. If a neutral vowel follows the labialized back phonemes, in Georgian the vowel **უ** is written after the consonant: **რა** = გუ, **რა** = ქუ, **რა** = კუ, **რა** = ღუ, **რა** = ხუ, **რა** = ყუ. For example, the first names **რაა** - არგუნია, **რაა** - ბაჯგური, **რაა** - გუდისა, **რაა** - გუნდა; The surnames **რაა** - აგუშა, **რაა** - არგუნი, **რაა** // **რაა** // **რაა** - გუმბა // გუნბა, **რაა** - ცარგუმი, **რაა** // **რაა** - ხაგუმი // ჰაგუმი; The toponyms **რაა** - გუმა, **რაა** - გუმისთა, **რაა** - გულრიფში, etc.

All three traditional rules should remain unchanged, which ensures the accurate transliteration of Abkhazian vocabulary into Georgian.

რთულ ზმნათა, სახელზმნათა და შედგენილ შემასმენელთა
ორთოგრაფიისათვის ძველი და შუა საუკუნეების ტექსტების
გამოცემებში

On the Orthography of Complex Verbs, Deverbative Nouns, and
Compound Predicates In Editions of Old and Medieval Texts

ქეთევან გიგაშვილი
Ketevan Gigashvili

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Iakob Gogebashvili Telavi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: რთული ზმნები, რთული სახელზმნური ფორმები, შედგენილი შემასმენელი,
ორთოგრაფიის წესები, ძველი და შუა საუკუნეების ტექსტები.

Keywords: Complex verbs, complex deverbative nouns; compound predicates, orthographic rules, old and
medieval georgian texts.

ქართული ოთხთავის პირველივე აკადემიურ გამოცემაში აკაკი შანიძემ რთული ზმნებისა და მათი სახელზმნური ფორმების, ასევე ზოგიერთი შედგენილი შემასმენლის დაწერილობაში დაამკვიდრა დეფისის გამოყენების წესი სახელად და ზმნურ ნაწილებს შორის. ეს ორთოგრაფიული პრინციპი ქართულ ტექსტოლოგიურ მეცნიერებაში ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომელმაც დღემდე მოაღწია. აკაკი შანიძის მიერ 1945 წელს ინიცირებული ეს წესი არ ეყრდნობოდა ოფიციალურ ნორმებს, არამედ წარმოადგენდა მეცნიერის ორთოგრაფიულ ხედვას, რაც იქიდანაც ჩანს, რომ გამოცემას დართულ გამოკვლევაში ის ერთგვარ კომპოზიტებსაც დეფისით წარმოადგენს. ამ წესს არ იცნობს არც ხელნაწერი ტრადიცია, რომლის წიაღშიც იქმნებოდა და ნუსხების სახით ვრცელდებოდა ძველი და შუა საუკუნეების ტექსტები. ვფიქრობთ, რომ 80 წლის წინ დანერგილ აღნიშნულ საგამომცემლო პრინციპს დღეს არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია და საჭიროებს გადახედვას.

ათონის ივირონის მონასტრის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემაში ჩვენ შევცვალეთ საანალიზო ფორმათა დაწერილობის წესები. კერძოდ, დაუნაწევრებლად (დეფისის გარეშე) წარმოვადგენთ კომპოზიტური აგებულების საწყისებს: *ნათლისღება*, *ნათლისცემა*, *თაყვანისცემა*, *პატივისცემა*, *ნუგეშინისცემა* და ა. შ., მიმღებებს: *ნათლისმცემელი*, *თაყვანისმცემელი*, *პატივისმცემელი*, *ნუგეშინისმცემელი*, *წინამდებარე*, *ქველისმოქმედი*, და ა. შ. რთულ ზმნებს: *კელყოფს*, *უდებყოფს*, *ღირსყოფს*, *შეურაცხყოფს*, *წმყოფს*, *უჩინოყოფს*, *გულისწმყოფს*, *ამბორსუყოფს*, *კელეწიფების*, *ძალუმს*, *თავსიდებს*, *ინაჯიდგა* და სხვ. ეს, ძირითადად, ისეთი ფორმებია, რომლებშიც წარმოშობით სუბიექტი თუ პირდაპირი ობიექტი ზმნასთან არის შერწყმული და ის ცალკე პირად აღარ გაიგება.

ერთად ვწერთ „პატივისცემს“ ზმნასაც, რადგან მისი სახელადი ნაწილი საანალიზო ტექსტებში არ იცვლის ბრუნვის ფორმას სერიების მიხედვით.

ცალ-ცალკე ვწერთ „ნუგეშინის სცემს“ და „თაყვანის სცემს“ ზმნების შემადგენელ ნაწილებს, რადგან ისინი თვითკმარი მორფოლოგიური ყალიბით არის წარმოდგენილი.

ასევე ცალ-ცალკე ვწერთ შედგენილი შემასმენლის ნაწილებს: „მზა ვართ“; „უდებ ვიქმენ“; „ღირს ვიქმენ“; „სათნო უჩნს“; „სირცხვლ გიჩს“; „უჩინო იქმნა“; და სხვ. გამონაკლისს წარმოადგენს „ჯერ“ ფუძის შემცველი ფორმები, რადგან „ჯერ“ არ არის ისეთივე თვითკმარი შემადგენელი ნაწილი, როგორცაა „მზა“, „მოსწრაფე“, „ღირს“, „სათნო“ და ა. შ.

ცალ-ცალკე ვწერთ აღწერითი (პერიფრასტული) წარმოების ზმნების შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც მარტივ ზმნებად მიიჩნევა: „მოქცეულ ხართ“, „შეწყნარებულ ხართ“, „დაჯდომილ იყო“ და სხვ.

ვფიქრობთ, მოხსენებაში განხილული ორთოგრაფიული მიდგომა თავსებადია თანამედროვე ნორმებთან და მეტად უპასუხებს აკადემიური მკითხველის მოთხოვნებს.

In the very first scholarly edition of the Georgian Four Gospels, Akaki Shanidze established the rule of using a hyphen in complex verbs, their deverbative nouns, and certain compound predicates. This orthographic principle gradually became a tradition in Georgian textual scholarship and has persisted to the present day. The rule, introduced by Shanidze in 1945, was not based on official orthographic norms but rather reflected the scholar's own vision on orthography. This is evident from the accompanying investigation in which he applies the hyphen even to single-notion compounds. Moreover, this rule is not attested in the manuscript tradition, within which Old and Medieval Georgian texts were composed and transmitted in the form of copies. We argue that this editorial principle, introduced 80 years ago, lacks a solid scholarly foundation today and requires reconsideration.

In the scholarly edition of the translated hagiographical heritage of the Athos Iviron Monastery, we have revised the orthographic conventions for the mentioned forms. Specifically, without

segmentation (i.e., without hyphens), we present: a) compound infinitives, such as *natlisyebe* (epiphany), *natliscema* (baptism), *taquaniscema* (adore), *paṭiviscema* (respect), *nugešiscema* (reassure), etc.; b) participles, such as *natlismcemeli* (Baptist), *taquanismcemeli* (adorer), *paṭivismcemeli* (venerator), *nugešinismcemeli* (consoler), *činamdebare* (present), *kvelismokmedi* (almsgiver), etc.; and complex verbs such as *aqelqops* (impinges), *udebqops* (neglects), *γirsqops* (vouchsafes), *šeuracxqops* (insults), *qmaqops* (shouts), *učinoqops* (makes invisible), *gulisqmaqops* (considers), *amborsuqops* (kisses), *qeleçipebis* (is able), *ḏṣḥḡḡḃ* (he can), *tavsidebs* (takes on), and so on. These are mainly such forms in which the original subject or direct object are combined with the verb and can no longer be understood as a separate persons.

We also write the verb „paṭivscems“ (respects) as a single unit, since its nominal component does not change its case according to verbal series in the texts under investigation.

We write the components of the verbs „nugešinis scems“ (reassures) and „taquanis scems“ (adores) separately, as they retain an independent morphological structure.

Similarly, we write the components of compound predicates separately: „mza vart“ (we are ready), „udeb vikmen“ (I became negligent), „γirs vikmen“ (I became worthy), „satno učns“ (it seems pleasing), „sircxyl gičs“ (you feel ashamed), „učino ikmna“ (it became invisible), etc. An exception represents forms containing the root „žer“ (*needful*), as *it* does not function as an independent word in the same way as „mza“ (ready), „moçrape“ (eager), „γirs“ (worthy), „satno“ (kind), etc.

We also write the components of periphrastic verbs separately: „mokceul zart“ (you have been converted), „šeqnarebul xart“ (you have been accepted), „daždomil iqo“ (he/she had sat), and others.

We argue that the orthographic approach discussed in this presentation aligns with contemporary norms and better meets the expectations of an academic reader.

**-ავ თემისნიშნიან ზმნათა ორპირიანი ვნებითების III სერიის
ფორმათა მართლწერისათვის**

**On the Orthography of the Third Series Forms of Verbs with the
Thematic Marker -av**

**გიორგი გოგოლაშვილი
Giorgi Gogolashvili**

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ზმნა, თემის ნიშანი, III სერია.

Keywords: Verb, the matic marker, third series.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მიხედვით „ვ ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის“ ყველა შემთხვევა ერთ სტატიაშია წარმოდგენილი. ამგვარი მიდგომა გაუმართლებელი გვეჩვენება:

სხვადასხვაგვარ მიდგომას საჭიროებს სახელი და ზმნა... ფორმაწარმოება და სიტყვაწარმოება... გასათვალისწინებელია, საანალიზო ელემენტი ძირეულია თუ მორფემისეული და სხვა...

ამჯერად ჩვენი განხილვის თემა არის დასახელებული სტატიის 25-ე პარაგრაფი: „ბოლოკიდური ვ ყოველთვის ქრება ზმნებში -ოდ სუფიქსის დართვისას როგორც ნამყო უსრულსა და პირველ კავშირებითში, ისე მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში“.

ამ პარაგრაფში წარმოდგენილი მაგალითები არაერთგვაროვანია: 23 ზმნიდან პირველ ცხრაში ვ ბგერა მარტივი ფუძისეულია (ყივ-ის – ყი-ოდა, ჩივ-ის – ჩი-ოდა...), მომდევნო 11 მაგალითში ვ არის -ევ სუფიქსისეული (ერ-ევ-ა – ერ-ე-ოდა, ერკვ-ევ-ა – ერკვ-ე-ოდა... ხოლო ბოლო სამ მაგალითში -ავ (>ვ) თემისნიშნისეულია (დაჰკარგ-ვ-ია – დაჰკარგ-ვ-ოდა // დაჰკარგ-ოდა, დართ-ვ-ია – დართ-ვ-ოდა // დართ-ოდა; გაჰპარ-ვ-ია – გაჰპარ-ვ-ოდა // გაჰპარ-ოდა).

ცხადია, ვითარება სხვადასხვაგვარია:

პირველ ორ შემთხვევაში ვ ბგერა მორფემის (ძირეულისა თუ სუფიქსურის) ნაწილია და მისი დაკარგვის შემდეგ ფორმაში რჩება ის ინფორმაცია, რომელიც ამ მორფემას შემოაქვს; მესამე შემთხვევაში ვ-ს დაკარგვა გამოიწვევს იმ ინფორმაციის დაკარგვას, რომელიც ამ სუფიქსს შემოაქვს ზმნაში, ამიტომ მისი გაქრობა არაა ტოლფასი სხვა შემთხვევებისა.

მსჯელობიდან გამომდინარე, მესამე შემთხვევა ცალკე უნდა იქნეს განხილული და ნორმამ ასეთი სახე უნდა მიიღოს:

1. -ავ თემისნიშნის ზმნათა ორპირიან ვნებითებს თემის ნიშანი გადაჰყვება მესამე სერიაში; პირველ თურმეობითში ყველგან უნდა იქნეს წარმოდგენილი: დაჰკარგ-ვ-ია, დამალ-ვ-ია, დახარჯ-ვ-ია (და არა: დაჰკარგ-ია, დამალ-ია, დახარჯ-ია);

2. -ოდ სავრცობიან მწკრივებში ვ (<ავ) თემის ნიშანი შეიძლება ჩავსვათ ფრჩხილებში: დაჰკარგ-(ვ)-ოდა, და-ჰკარგ-(ვ)-ოდა.

In the *Norms of Modern Literary Georgian Language*, “all cases of retention, inclusion, and loss of the **v** sound” are discussed in one article. However, we find this approach unjustifiable. Different approaches are needed for the name and the verb as well as for the inflection (the production of grammatical variants/forms of the same word) and derivation (new word formation). It should be considered whether the element to be analyzed belongs to the root or is morphemic, and so on.

Our topic of discussion is the 25th paragraph of the mentioned article: "The final **v** always disappears in verbs when the **-od** suffix is added, both in the past non-finite and present subjunctive as well as in pluperfect and perfect subjunctive forms."

The examples provided in this paragraph are varied/heterogenous: in the first nine examples from the total of 23 verbs the **v** sound is part of the core root (e.g., **qiv-is – qi-oda**", **čiv-is – či-oda**...); in the next 11 examples, **v** is part of the **-ev** suffix (e.g., **er-ev-a – er-e-oda**, **erkv-ev-a – erkv-e-oda**...); in the last three examples, it is part of the thematic marker **-av (>v)** (e.g., **dahkarg-v-ia – dahkarg-v-oda // dahkarg-oda**, **dart-v-ia – dart-v-oda // dart-oda**; **gahpar-v-ia – gahpar-v-oda // gahpar-oda**).

Clearly, these are diverse cases: in the first two cases, the **v** sound is part of the morpheme (whether root or suffix), and after its loss, the form retains the information carried by the morpheme; in the third case, the loss of **v** results in the loss of information carried by the verb suffix, so its disappearance is not equivalent to the other cases.

Based on this discussion, the third case should be treated separately, and the norm should be as follows:

1. Two-person passive verbs retain the **-av** thematic marker in the third series; in the (present) perfect tense, it should always be present: **dahḳarg-v-ia**, **damal-v-ia**, **daxarž-v-ia** (and not: **dahḳarg-ia**, **damal-ia**, **daxarž-ia**);

2. In tenses with the **-od** suffix, the **v (<av)** thematic marker can be placed in parentheses: **da-h-ḳarg-(v)-oda**, **da-h-ḳarg-(v)-odes**.

ქართული სამართლის ენისა და XIX საუკუნის დასაწყისის ერთი
განჩინების გამო

Because of the Language of Georgian Law and One Decision of the
19th Century

მარიამ გოდუაძე
Mariam Goduadze

საქართველოს უზენაესი სასამართლო

Supreme Court of Georgia

საკვანძო სიტყვები: სამართლის ენა, ტერმინები, ეთნონიმები, სინთეზური მორფოსინტაქსი.
Keywords: Language of law, terms, ethnonyms, synthetic morphosyntax.

სპეციალურ ლიტერატურაში ენის მკვლევრები უთითებენ იმის შესახებ, რომ თანამედროვე სამართლის, სასამართლო განჩინებების ენა მარტივი და ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თუმცა დღესდღეობით ბევრი იურისტი ასე არ ფიქრობს და მიაჩნია, რომ სამართლის ენა სახელმწიფო ენისაგან განყენებულად უნდა იდგეს, რომ ის ცალკე დიალექტია, უფრო მეტიც: ცალკე ენაა, რომელიც განიცდის ევროპული თუ სხვა საერთაშორისო სასამართლო დოკუმენტების გავლენას და ჩაურევლობას ითხოვს. არადა, უძველესი საუკუნეებიდან ქართული სამართლის ენისათვის უცხო არ იყო დახვეწილი, მარტივი ქართულენოვრივი სტრუქტურა, ქართულისათვის ბუნებრივი სინტაქსი და სტილი. მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის (საქართველოში სამართალწარმოების რუსულ ენაზე გადასვლამდე) სასამართლო განჩინებებზე თვალის გადავლებითაც თვალსაჩინოა განსხვავება თანამედროვე ქართული სამართლის ენასა და მაშინდელ ენას შორის. იმდროინდელი თხრობის სტილი მარტივია, გასაგები; ნაკლებად გვხვდება ნასესხობები, უცხოური ტერმინები, ფრაზები; ზმნური მორფოსინტაქსი სინთეზურია, არ არის გადატვირთული აღწერითი (ანალიზური) წარმოებით. პირიქით, იკვეთება თვისობრივად ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი ცნება-ტერმინები, რომლებიც ხაზს უსვამს ჩვენში მდიდარი სამართლებრივი კულტურის არსებობას, მის სიღრმესა და მაღალგანვითარებულობას. სამაგალითოდ ქუთაისის ეროვნულ მუზეუმში დაცულ, მე-19 საუკუნის დასაწყისის ერთ განჩინებას მოვიყვანთ. თან ვურთავთ ჩვენეულ, ლინგვისტურ-სემანტიკურ ანალიზსა და ტერმინების ისტორიას. მოცემულ განჩინებაში იკვეთება ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის შრეები, თითოეული მათგანი საინტერესოა ქართულის ენობრივი მოქნილობის, ძველი თუ ახალი ქართულის, ნორმირებული თუ დიალექტური ენის საზიაროობის დონის, ონომასტიკის, საკუთარი სახელების წარმოების, ტერმინოლოგიური და სხვა მრავალი თვალსაზრისით.

განჩინებაში გვხვდება ტერმინები: „სისხლი“, „საუპატიო“, „აშორო“, „გავაჩინეთ“, „უფიცოს“, „ემართლება“, „აჯა“ და სხვა. მათი ანალიზი ცხადყოფს, თუ რაოდენ ღრმა, ამავედროულად, მაღალი სამართალწარმოების კულტურა არსებობდა საქართველოში, რომ ეს კულტურა ჩვენი ენობრივი არსებობის თუ ყოფიერების ძალიან ძველ, ათასწლოვან შრეებს სწვდება და მოიცავს.

ტექსტი საინტერესოა ისტორიული თუ ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც, მაგალითად: ა) იკვეთება, რომ ერთ-ერთი პირი (მახარობელი) რუსის სამსახურშია, დღისით მათთვის მუშაობს; ბ) საინტერესოა „კანაფის“ გამოყენების შემთხვევაც. ამ ცნებას მხოლოდ მსაჯული იყენებს, თუმცა ჩანს, რომ კანაფის წარმოების ტრადიცია მე-19 საუკუნის საქართველოშიც არსებობდა; გ) აქვეა საგანმანათლებლო ტრადიციაც და ის, თუ დაახლოებით რა ტიპის „ჩრდილოვანი“ განათლების ფორმა ან საზღაური არსებობდა იმდროინდელ საქართველოში. სამომავლო კვლევა-ძიებისას მსგავსი განჩინებების შედარება-შეპირისპირებითა და საფუძვლიანი ანალიზით არაერთ საგულისხმო შედეგს მივიღებთ.

Language researchers in the special literature indicate that the language of modern law and court rulings should be simple, understandable, and accessible to everyone. However, many lawyers today do not think so and believe that the language of law should be separated from the State language, that it is a separate dialect, moreover, it is a separate language that is influenced by European or other international court documents and demands non-interference. However, from the ancient centuries Georgian law was not alien to the sophisticated, simple structure of the Georgian language, the syntax and style were natural to Georgian, as a **synthetic language**.

The difference between the languages of modern Georgian law and the law of that time is visible by looking at court decisions of the 18th century and the first half of the 19th century. The narrative style of that time was simple and understandable; Verbal morphosyntax is synthetic, not overloaded

with descriptive, analytical production. On the contrary, qualitatively characteristic concepts and terms for Georgian law are identified and emphasize the existence of a rich legal culture in our country, its millennial depth, and its high development.

The paper presents one 19th century Decisions, preserved in the Kutaisi National Museum. In this linguistic material, the grammatical layers of phonetics, morphology, and syntax are distinguished, and it is interesting from the point of view of the linguistic flexibility of Georgian, the shared level of the normative or dialectal language, onomastics, production of proper names, term creation, and many others.

For future research, comparison with similar decisions and thorough analysis will give us many significant results.

სარეკლამო განცხადებების ენის განვითარება საქართველოში
მე-19 საუკუნიდან დღემდე

Development of Advertising Language in Georgia from the 19th
Century to the Present Day

ქეთევან გოჩიტაშვილი, თამარ გითოლენდია
Ketevan Gochitashvili, Tamar Gitolendia

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

Business and Technology University
Faculty of Business and Technology

საკვანძო სიტყვები: რეკლამა, ქართული ენა, რეკლამის ენა, ქართული რეკლამა.
Keywords: Advertising, Georgian language, advertising language, Georgian advertising.

პერიოდული გამოცემების ისტორია საქართველოში იწყება 1819 წლიდან, როცა გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“; პრესის ფურცლებზე იმთავითვე ჩნდება მოკლე სარეკლამო განცხადებები, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ რეკლამა ასახავს მოცემული პერიოდის ენობრივ, საზოგადოებრივ, კულტურულ და ეკონომიკურ ვითარებასაც, წარმოაჩენს საზოგადოების განვითარების მიმართულელებას, საყოველთაოდ გავრცელებულ მისწრაფებებს, სოციალურ პროგრესს და იცვლება თაობასთან ერთად. კვლევის მიზანია საქართველოში სარეკლამო ტექსტების ენის განვითარების შესწავლა მე-19 საუკუნიდან დღემდე, ენისა და საზოგადოების ევოლუციის დინამიკური ბუნების გამოვლენა განსხვავებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფონზე. საკითხზე დასაკვირვებლად და საანალიზოდ გამოყენებულია მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართული პრესისა და 21-ე საუკუნის ციფრული და სოციალური მედიის სარეკლამო ტექსტები. მათზე დაკვირვების შედეგად ვლინდება შემდეგი:

მე-19 საუკუნის პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი სარეკლამო განცხადებების ენის მახასიათებლებია: ინფორმაციულობა, ფაქტობრივობა, ლოგიკურობა, ემოციურობა, აუცილებლობით განპირობებულობა, ტექსტის სიმოკლე, დამაჯერებელი ტონი, ფორმალურობა, სასაუბრო სტილის ლექსიკა. სათაურები აღწერთი ფორმისაა, ხაზს უსვამს პროდუქტის შესახებ ინფორმაციას. ზოგიერთი რეკლამა ორ ენაზე – ქართულად და რუსულად იბეჭდება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ და სამეცნიერო საქმიანობის აღმასვლამ ხელი შეუწყო აკადემიური სტილის განვითარებას, დადგინდა ენობრივი ნორმები, რამაც გავლენა იქონია ბეჭდური გამოცემების ენაზე. გარდა ამ გარემოებისა, საბჭოთა პერიოდის შეზღუდვებმა – კომერციული საქმიანობის აკრძალვამ, ჩაკეტილმა საზღვრებმა, დასავლური იდეების ხელმიუწვდომლობამ და აკრძალვამ – თავისებურად განაპირობა რეკლამის ენის განვითარება. დასავლურთან შედარებით, ქართული რეკლამა ფორმალური და ინფორმაციული დარჩა საბჭოთა პოლიტიკის გამო, მაშინ, როდესაც, დასავლეთში წინაურდებოდა კრეატიული კოპირაიტიინგი და მრავალფეროვანი სარეკლამო სტრატეგიები.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბეჭდური პრესა თანდათან ჩაანაცვლა ციფრულმა და სოციალურმა მედიამ. თანამედროვე რეკლამა ხდება ემოციურად უფრო მიმზიდველი: რეკლამის ენამ გაითავისა სასაუბრო სტილი, იგუა სლენგი, იუმორი. რეკლამის ენაში გახშირდა ლექსიკური და სინტაქსური კალკები, ახალი ტერმინოლოგია, ბარბარიზმები, კრეატიული სიტყვათა თამაშები.

რეკლამის ენა განაგრძობს განვითარებას ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალიზებული მარკეტინგის ზრდასთან ერთად. ხელოვნური ინტელექტით გამოიმუშავებული მარკეტინგული ტექსტების „გაქართულება“ ენისა და კულტურის კარგად ცოდნასა და კომპეტენციას მოითხოვს, რაც ენასა და რეკლამის შემქმნელებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

The history of periodicals in Georgia begins in 1819 with the publication of the first Georgian newspaper *Sakartvelos Gazeti*. Short advertising announcements appeared in the press from its inception; they reflect the linguistic, social, cultural and economic situation of the given period, which is why their study is important. These advertisements provide insights into societal development, prevailing aspirations and generational shifts.

The primary objective of this study is to analyze the transformation of advertising language in Georgia from the 19th century to the present. The research aims to reveal the dynamic evolution of language and society within different political and economic contexts. To achieve this, advertising texts from 19th- and 20th-century Georgian press sources, as well as advertising texts from digital and social media of the 21st century, were examined. The study yielded the following findings:

The advertising language of the 19th-century press is characterized by informativeness, factual accuracy, logical structure, emotional appeal, brevity, persuasive tone, formality and the use of conversational vocabulary. Headlines were typically descriptive, emphasizing information about the product. Some advertisements were bilingual, presented in both Georgian and Russian.

The establishment of universities and the growth of academic activity in the early 20th century contributed to the development of a formalized (academic) linguistic style. Established linguistic norms influenced printed publications. Additionally, Soviet-era restrictions, including prohibitions on commercial activity, closed borders and limitations on Western ideas conditioned the evolution of advertising language. Unlike Western advertising, which embraced creative copywriting and diverse strategies, Georgian advertising remained largely formal and informative due to Soviet policies.

Following the collapse of the Soviet Union, Georgia gained independence and the printed press was gradually supplanted by digital and social media. Modern advertising has become more emotionally driven: The language advertising has adopted a more colloquial tone, integrating slang, humor, lexical and syntactic calques, neologisms, barbarisms, and creative wordplay.

The advertising language continues to evolve with the growth of artificial intelligence and personalized marketing. The adaptation for Georgian-language of AI-generated advertising texts requires linguistic and cultural expertise, presenting new challenges for both language and content creators.

ზმნურ კომპოზიტთა წარმოებისათვის თანამედროვე
ქართულში¹

The Formation of Compound Verbs in Modern Georgian

ქეთევან დათუკიშვილი
Ketevan Datukishvili

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ზმნა, კომპოზიტი, სალიტერატურო ენის ნორმები.

Keywords: Verb, compound, norms of the literary language.

¹ მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია“ (SL-24-157) – ფარგლებში.

ქართულ ენაში დასტურდება ორი კომპონენტისაგან შედგენილი ზმნური ფორმები, როგორებიცაა: ჩაიკვნეს-ჩაიჭიკვიკა, აიარ-ჩაიარა, მიიხედ-მოიხედა და მისთ. ამგვარ სიტყვებს ა. შანიძე შერწყმულ ზმნებს უწოდებს (შანიძე, 1980, გვ. 498). მათი წარმოების ზოგადი კანონზომიერება აღწერილი აქვს ნინო ჭუმბურიძეს (ჭუმბურიძე, 2016, გვ. 439-440).

აღნიშნული ტიპის ფორმებს თედო უთურგაძე ზმნურ კომპოზიტებად განიხილავს (უთურგაძე, 2006). ვინფრიდ ბოედერსა და ავთანდილ არაბულს მონოგრაფიულად აქვთ შესწავლილი ამგვარი წარმოება. მიიხედ-მოიხედა ტიპის ზმნები მათ კომპოზიტებად არ მიაჩნიათ და ამ ფორმათა აღსანიშნავად განსხვავებულ ტერმინს იყენებენ: ზმნური დვანდვა (ბოედერი, არაბული, 2023).

ჩვენ უფრო მისაღებ ტერმინად მიგვაჩნია ზმნური კომპოზიცია. მართალია, დასახელებული სიტყვები ფუძეთა შერწყმით კი არა, ფორმათა შეერთებით მიიღება, მაგრამ ფართო გაგებით მათაც შეიძლება კომპოზიტები ვუწოდოთ, რადგან ისინი ორი ენობრივი ერთეულისგან (კომპონენტისაგან) შედგება.

ფორმათა შერწყმით არის მიღებული ორი-სამი ტიპის სახელური კომპოზიტებიც. მათი პირველი ნაწილი დაირთავს ფლექსიურ აფიქსებს (ბრუნვის ნიშნებს), რაც მხოლოდ ამგვარ რთულ სახელებში დასტურდება: შვიდ-ი-ათ-ი კაც-ი, შვიდ-მა-ათ-მა კაც-მა... (ვაშაკიძე, 2021-2022, გვ. 129). მსგავსი ვითარებაა მიიხედ-მოიხედა ტიპის ზმნებშიც. მათ პირველ კომპონენტსაც ფლექსიური აფიქსები დაერთვის, რომელთაგან სუფიქსური ნიშნები იკვეცება: ავიარ-ჩავიარე, გაატარ-გამოატარა... ჩვენი აზრით, ორივე ტიპის წარმოება კომპოზიციად უნდა მივიჩნიოთ.

მოხსენებაში განვიხილავთ ზმნურ კომპოზიტთა წარმოების თავისებურებას თანამედროვე ქართულში. სპეციალურად იქნება მსჯელობა იმ ფორმებზე, რომლებსაც სალიტერატურო ენაში პარალელური ვარიანტები აქვთ და შესაბამისად, მათი გამოყენებისას ნორმატიული საკითხი დგება: აურევ-დაურევს // აურ-დაურევს; გაიწევ-გამოიწევა // გაიწ-გამოიწევა და მისთ.

ლიტერატურა

- ბოედერი, ვ., არაბული, ა. (2023). სინტაქსურ კოორდინაციასა და ზმნურ სიტყვაწარმოებას შორის /ზმნური დვანდვა ხევსურულში/, თბილისი – ოლდენბურგი: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა“.
- ვაშაკიძე, თ. (2021-2022). მსაზღვრელი რიცხვითი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენი, III, თბილისი: გამომცემლობა „გრიფონი“.
- უთურგაძე, თ. (2006). ზმნურ კომპოზიტთა მართლწერისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, 65, მასალები, თბილისი.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ჭუმბურიძე, ნ. (2016). ახალი ქართული ენა, წიგნი I, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

In Georgian, there are compound verbs consisting of two components, for instance: **čaiḱvnes-čaiḱiḱčiḱa** (chirped and chirruped), **aiar-čaiara** (walked up and down), **miixed-moixeda** (looked around) etc. A. Shanidze has termed such words as “compound verbs” (Shanidze, 1980, p. 498). The general rules of formation of these verbs have been described by Nino Chumburidze (Chumburidze, 2016, pp. 439-440).

Tedo Uturgaidze considers the above-mentioned forms as verbal compounds (Uturgaidze, 2006). Winfried Boeder and Avtandil Arabuli have dedicated a monograph to the given issue. They argue that verbs like **miixed-moixeda** (looked around) should not be considered as compounds. They denote such forms by the term “verbal dvandva” (Boeder, Arabuli, 2023).

In my opinion, the most acceptable term would be **compound verbs**. It is true that the above-mentioned words are obtained not by means of combination of stems but by the combination of forms. However, in a broad sense, they can be termed as compounds, because they consist of two language units (components).

The paper analyzes the peculiarities of forming compound verbs in modern Georgian. Special focus is made on the forms that have parallel variants in the literary language, hence, there is a normative issue with regard to their usage. For instance, **aurev-daurevs // aur-dairevs** (mixes up); **gaiḱev-gamoḱeva // gaiḱ-gamoḱeva** (will step aside to right and left)...

References

- Boeder W., Arabuli A. (2023).** Sintaksur koordinatsiasa da zmnur sitqvatsarmoebas shoris [Between Syntactic Coordination and Verbal Formation /Verbal Dvandva in Khevsurian/]. Tbilisi – Oldenburg: Publishing House of the Georgian National Academy of Sciences.
- Chumburidze, N. (2016).** Akhali kartuli ena [New Georgian Language], Book 1, Morphology of the Literary Language, edited by G. Gogolashvili and A. Arabuli. Tbilisi. Tbilisi State University Press.
- Shanidze, A. (1980).** Kartuli enis gramatikis sapudzvlebi [Basics of Georgian Grammar] in 12 volumes, v. III, Tbilisi: “Tbilisi State University Publishing House“.
- Uturgaidze, T. (2006).** Zmnur kompozitta martltsersatvis [On the Spelling of Compound Verbs]. Herald of the Georgian Academy of Sciences, 65, Tbilisi.
- Vashakidze, T. (2021-2022).** Msazghvrelis ritskhviti sakhelis shetankhmeba sazghvrultan brunvasa da ritskhvishi [Coordination of Numeral and Noun in Case and Number], State Language Department Bulletin, III, Tbilisi.

ენის სტრუქტურირება: სინტაქსურ ხეთა ბანკების
სტანდარტიზაცია და მათი ზეგავლენა ენობრივ მოდელებზე

Structuring Language: The Standardization of Syntactic Treebanks and Their Impact on Language Models

ნინო დობორჯინიძე, ირინა ლობჯანიძე
Nino Doborjginidze, Irina Lobzhanidze

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

Ilia State University
Faculty of Arts and Science

საკვანძო სიტყვები: სინტაქსურ ხეთა ბანკი, ენობრივი მოდელი, ნეირული ქსელები,
ლინგვისტური ანოტირების სტანდარტიზაცია.

Keywords: Syntactic treebank, language model, neural networks, linguistic annotation standardization.

სინტაქსურ ხეთა ბანკების სტანდარტიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში, განსაკუთრებით ენობრივი მოდელების განვითარების მიმართულებით. სტრუქტურირებული და ანოტირებული კორპუსების საფუძველზე შედგენილ სინტაქსურ ხეთა ბანკებით ხდება უფრო ზუსტი გარჩევა, მორფოლოგიური ანალიზი და სინტაქსურ დამოკიდებულებათა განსაზღვრა. თუმცა, სტანდარტიზაციის პროცესიც რიგ გამოწვევას უკავშირდება, განსაკუთრებით მცირე რესურსების მქონე ენებისათვის, როგორებიცაა ქართული და სხვა ქართველური ენები. ქართულის, როგორც მორფოლოგიურად მდიდარი აგლუტინაციური ენის, ხეთა ბანკის დამუშავებას ახასიათებს რიგი თავისებურება ანოტირების დროს, მათ შორის ლემატიზაციის, მორფოლოგიური ომონიმიის მოხსნისა და სინტაქსური გარჩევის საკითხებში.

ეს ნაშრომი განიხილავს 2023-2024 წლებში შექმნილ ქართულ სინტაქსურ ხეთა ბანკს¹, მის საფუძველზე შექმნილ UDPipe-ის ენობრივ მოდელს, ნეირონული ქსელების მოდელების ამჟამინდელ მდგომარეობას და იმას, რაც ზეგავლენას ახდენს შედეგების გაუმჯობესებაზე. ასევე, ყურადღება გამახვილდება უნივერსალურ დამოკიდებულებათა ჩარჩოს ფარგლებში ლემების განსაზღვრის თავისებურებებზე, ანოტირების უნივერსალური კრიტერიუმების შემუშავებასა და მრავალენოვან ლინგვისტურ რესურსებთან ქართული ენის თავსებადობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ამ საკითხების განხილვით შესაძლებელი ხდება ქართული ლინგვისტური მონაცემების გამოყენების ზრდა როგორც წესებზე დაფუძნებული, ასევე მანქანურ დასწავლაზე ორიენტირებული ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) პროცესებში.

The standardization of syntactic treebanks has played a crucial role in advancing computational linguistics, particularly in the development of language models. By providing structured and annotated corpora, syntactic treebanks enable more accurate parsing, morphological analysis, and syntactic disambiguation. However, challenges persist in the standardization process, particularly for underrepresented languages such as Georgian and other Kartvelian languages. Georgian, as a morphologically rich and partially agglutinative language, presents unique challenges in treebank annotation, including issues with lemmatization, morphological disambiguation, and syntactic consistency.

This paper examines the Georgian syntactic treebank created in 2023-2024² and the UDPipe language model developed based on it. It explores the current state of neural network models and the factors influencing the improvement of results. Additionally, attention will be given to the peculiarities of lemma definition within the Universal Dependencies framework, the development of universal annotation criteria, and issues related to the compatibility of the Georgian language with multilingual linguistic resources. By addressing these topics, it becomes possible to enhance the utilization of Georgian linguistic data in both rule-based and machine-learning-oriented natural language processing (NLP) processes.

¹ ob. https://github.com/UniversalDependencies/UD_Georgian-GLC

² See, https://github.com/UniversalDependencies/UD_Georgian-GLC

**სტანდარტიზებული ენა და ინსტიტუციური რეკომენდაციები
ენობრივ საკითხებზე უნგრეთში**

Standard Language and Institutional Language Consulting in Hungary

**აგნეშ დომონკოში
Ágnes Domonkosi**

უნგრეთის სამეცნიერო ქსელის
ენათმეცნიერების კვლევითი ცენტრი
კაროი ესტერჰაზის სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტი

HUN-REN Hungarian Research Centre for Linguistics
Eszterházy Károly Catholic University

**ჟოფია ლუდანი
Zsófia Ludányi**

უნგრეთის სამეცნიერო ქსელის
ენათმეცნიერების კვლევითი ცენტრი
პეტერ პაზმანის სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტი

HUN-REN Hungarian Research Centre for Linguistics
Pázmány Péter Catholic University

The presentation explores the relationship between standard language culture and Hungarian institutional language consulting. The presentation analyzes the history, past and current practices of the Language Consulting Service (LCS) of the Hungarian Academy of Sciences' Research Institute for Linguistics (currently: HUN-REN Hungarian Research Centre for Linguistics). The analysis is based on questions and answers received by the LCS, with particular emphasis on the email database that has recorded more than 12,000 consulting interactions over the past 12 years (Ludányi–Domonkosi 2023). The LCS was established initially to promote standard language use, and for many decades, its activities were defined by the dissemination of the standard variant and the monitoring of its dynamic development. The presentation discusses how the practices of language consulting are transformed in a period of destandardization, of the weakening of the standard language (Grondelaers et al. 2016).

The theoretical framework of the presentation is based on the Language Management Theory (Jernudd–Neustupný 1987), which is characterized by a “bottom-up” approach, where language problems are identified by everyday speakers (Nekvapil–Sherman 2015). The presentation examines how language consulting addresses the legacy of standard-centric power discourse (Gal 2006) and how it has started to embrace practices more inclusive of linguistic diversity. Language consultants do not necessarily advocate for adherence to standard language forms but rather assist inquirers in navigating various linguistic contexts to find the most appropriate language variations.

Through the analysis of specific examples from the email database, the presentation illustrates how language consulting can transform from maintaining the legitimacy of standard ideology to participating in an equal community discourse related to language and the standard.

References

- Gal, Susan 2006. Contradictions of standard language in Europe: Implications for the study of practices and publics. *Social Anthropology* 14/2: 163–181.
- Grondelaers, Stefan – Van Hout, Roeland – Van Gent, Paul 2016. Destandardization is not destandardization: Revising standardness criteria in order to revisit standard language typologies in the Low Countries. *Taal en Tongval* 68/2: 119–149.
- Jernudd, Björn H. – Neustupný, Jiří V. 1987. Language planning: for whom? In Laforge, Lorne (ed.): *Proceedings of the International Colloquium on Language Planning*. Les Press de L'Université Laval. Québec. 69–84.
- Ludányi, Zsófia – Domonkosi, Ágnes 2023. Language consulting and language management from the perspective of the Hungarian Language Consulting Service. *Taikomoji kalbotyra* 20: 74–88. <https://doi.org/10.15388/Taikalbot.2023.20.6>
- Nekvapil, Jiří – Sherman, Tamah 2015. An introduction: Language Management Theory in Language Policy and Planning. *International Journal of the Sociology of Language* 232: 1–12.

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება – ისტორია
და თანამედროვე მდგომარეობა

The Department of Georgian Speech
Culture – History and Modernity

თამარ ვაშაკიძე
Tamar Vashakidze

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, სალიტერატურო ენის ნორმები.

Keywords: The department of Georgian speech culture, norms of literary language.

„მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი“ (ვ. გამსახურდია).

უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, კერძოდ, ქვეყნის გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე და მისმა ჩართვამ მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში, დიდძალი ახალი ლექსიკა შესძინა ქართულ ენას. იგი საგრძნობლად შეივსო სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი უცხო სიტყვებითა და გამოთქმებით, აგრეთვე – საკუთარი წარმოების მქონე ლექსიკური ერთეულებით, რის გამოც განსაკუთრებული სიმწვავეთ დადგა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის საკითხი.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება ჩამოყალიბების დღიდანვე წარმოადგენდა სახელმწიფო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის მთავარ სამეცნიერო ბაზას (ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება).

1966 წელს დაარსდა განყოფილების ბეჭდვითი ორგანო „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“; 1970 წელს გამოქვეყნდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, რომელთა დიდი ნაწილი მომზადებულია განყოფილების ხელმძღვანელის – ივანე გიგინეიშვილის – მიერ.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ გამოქვეყნებამ (შემდგენლები – ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, 1968), რასაც წინ უსწრებდა ამავე ავტორთა მიერ მომზადებული „სასკოლო-ორთოგრაფიული ლექსიკონის“ სამი გამოცემა, ხოლო 1998 წელს დაიბეჭდა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ განახლებული (შევესებული) ვარიანტი შ. აფრიდონიძის რედაქტორობით.

2009 წლიდან მოყოლებული დღემდე ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში მომზადდა სხვადასხვა სახის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონები; გამოიცა არაერთი სამეცნიერო სტატია თუ მონოგრაფია; განახლდა არსებულ ნორმათა ერთი ნაწილი; შემუშავდა ახალი საწარმო პროექტები და სხვ.

მოხსენებაში ვრცლად იქნება საუბარი ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების სამეცნიერო საქმიანობის შესახებ სალიტერატურო ენის ნორმებთან მიმართებით.

„The fight for the defence of purity of one’s native language is as honorable a task as the defence of one’s own homeland with a sword“ (K. Gamsakhurdia).

The socio-political events that have been taking place over the last three decades, namely, the transition of the country to the market economy and its engagement into the world integration process have introduced vast amount of new vocabulary into the Georgian language. It has been significantly filled with the words and phrases denoting foreign concepts, as well as with the new lexical units with their specific derivational forms. All these processes have raised a particularly burning issue of protecting the purity of the Georgian literary language.

The Department of Georgian Speech Culture at Arnold Chikobava Institute of Linguistics has served as the main scholarly basis for normalization-standardization of the state language since its founding time (and this tradition goes on at present).

The print periodical of the department „Issues of Georgian Speech Culture“ was launched in 1966; „The Norms of Modern Georgian Literary Language“ were published in 1970, the majority of which were prepared by the head of the department – Ivane Gigineishvili.

The publication of the „Orthographic Dictionary of the Georgian Language“ (compilers – V. Topuria and Iv. Gigineishvili, 1968) particularly fostered the establishment of the norms of the Georgian literary language. This was preceded by the publication of three editions of „Orthographic

Dictionary for Schools“ by the same authors. The revised edition of the dictionary (with additions) was published in 1998 under the editorship of Sh. Apridonidze.

Various types of orthographic-stylistic dictionaries have been prepared by the department of the Georgian speech culture since 2009. Numerous scholarly papers and monographs have been published, a part of existent norms has been updated, new norm-setting projects have been prepared, and so on.

The paper will discuss at length the scholarly activities of the department of Georgian speech culture in terms of literary language norms.

ქართული ენის ციფრული სწავლების მნიშვნელობა და სწავლა-
სწავლების თანამედროვე მოდელი

The Importance of Digital Learning of the Georgian Language and a
Modern Teaching-Learning Model

მანანა თანდაშვილი, მარიამ გობიანიძე
Manana Tandaschwili, Mariam Gobianidze

ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი
ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Goethe University Frankfurt
The Institute of Empirical Linguistics

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ქართული ენის სწავლა-სწავლება, თანამედროვე ტექნო-
ლოგიები, ციფრული სწავლება.

Keywords: Georgian language, Georgian language teaching and learning, modern technologies, digital
learning.

ქართული ენის სწავლება, როგორც კულტურისა და ეროვნული იდენტობის საფუძველი, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საგანმანათლებლო სისტემაში. ქართული ენის სწავლის აუცილებლობა განპირობებულია როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებით, ისე გლობალიზაციის პირობებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით. ქართული ენის სწავლების უმთავრესი მიზანია მოსწავლეთა ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება, რაც მოიცავს წერის, კითხვის, მოსმენისა და საუბრის კომპეტენციების ჩამოყალიბება-განვითარებას.

ქართული ენის სწავლებამ, როგორც ეროვნული იდენტობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესმა ასპექტმა, უნდა მოიცავს ტრადიციული და თანამედროვე მიდგომების კომბინაცია. XXI საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში განათლების სფეროს გარდაუვალი გამოწვევაა. ტრადიციულ სწავლებასთან ერთად, თანამედროვე ციფრული და დისტანციური მეთოდების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში აუცილებელია. ციფრული ტექნოლოგიები არა მხოლოდ სწავლების ეფექტიანობას ზრდის, არამედ ინტერაქციული, ინდივიდუალური და ინკლუზიური მიდგომების დანერგვას უწყობს ხელს. დისტანციური სწავლების საჭიროება განსაკუთრებით გამოიკვეთა COVID-19 პანდემიის დროს, რაც გვიჩვენებს, რომ ქართულ ენაზე მეტი ელექტრონული რესურსის შექმნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

კომბინირებული სწავლება, რომელიც ტრადიციულ და ციფრულ მიდგომებს აერთიანებს, თანამედროვე განათლების განუყოფელი ნაწილია. ის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად სწავლა და ჯგუფური მუშაობა შეათავსონ, რაც სწავლას უფრო მოქნილ და მოსახერხებელ პროცესად აქცევს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დიფერენცირებულ სწავლებას, რათა კლასში სხვადასხვა უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებს თანაბარი შესაძლებლობები მიეცეთ. დაწყებით საფეხურზე თამაშზე დაფუძნებული სწავლება (მაგალითად, ანბანის ასაწყობი დავალებები) ეფექტურია, ზედა კლასებში კი ქართული ენის შესწავლა ლიტერატურული ტექსტების ციფრული სწავლებითა და ინტერაქციული სავარჯიშოების მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

ქართულ ენაზე სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებას, სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების სტრატეგიის ეფექტიან შესრულებასა და ქართული ენის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ამასთან, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ინკლუზიურ სწავლებას, რათა მოსწავლეებმა, განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად, თანაბარი ხარისხის განათლება მიიღონ.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურისათვის შექმნილი ქართული ენის ციფრული სწავლების ეფექტური მოდელი და მისი მნიშვნელობა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლებისათვის, ქართული დიასპორებისათვის და ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის. ამასთან, განხილული იქნება ქართული ენის ციფრულად სწავლების მეთოდური რეკომენდაციები.

Teaching the Georgian language, as a fundamental pillar of culture and national identity, requires special attention within the educational system. The necessity of learning Georgian is dictated both by its function as the official state language and by the need to preserve national identity in the face of globalization. The development of students' language skills, including the acquisition and improvement of writing, reading, speaking, and listening skills, is the main objective of Georgian language training.

Teaching the Georgian language requires combining traditional and modern methods since it is essential to developing national identity. The integration of digital technologies into the educational

process is an unavoidable difficulty in the twenty-first century. It is now crucial to use contemporary digital and distance learning strategies in addition to conventional approaches. Digital technology helps adopt interactive, self-study, and inclusive techniques in addition to improving the efficacy of training. During the COVID-19 pandemic, the need for more digital resources in Georgian language instruction became even more obvious, highlighting the significance of remote learning.

Blended learning, which combines traditional and digital methods, is an inseparable part of contemporary education. It enables students to balance independent study, so-called self-study with collaborative learning, making the learning process more flexible and accessible.

Special attention should be paid to differentiated teaching to provide equal opportunities for students with different abilities in the classroom. At the primary level, game-based teaching (for example, alphabet-building tasks) is effective. In the upper grades, the study of the Georgian language should be carried out through digital teaching of literary texts and interactive exercises.

The use of contemporary teaching techniques for the Georgian language will enhance students' language proficiency, facilitate the successful implementation of the official state language development and protection plan, and aid in the local and global promotion of Georgian. Digital technology integration will also promote inclusive education, guaranteeing that all students have equal access to high-quality instruction regardless of their unique abilities.

An efficient digital Georgian language teaching approach for primary, middle, and secondary education will be presented in this study. It will focus on its importance for the Georgian diaspora, schools that teach Georgian and those that do not, as well as for everyone who wants to study the language. Methodological suggestions for Georgian language digital instruction will also be covered.

იურიდიული ენის სტანდარტიზაციის პრობლემები
თანმიმდევრული თარგმნის კონტექსტში სხვადასხვა ენის
მაგალითზე

Problems of Legal Language Standardization in the Context of
Consecutive Interpretation in Different Languages

მარინა კურატაშვილი
Marina Kuratashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იურიდიული დისკურსი, ტერმინები, ენის სტანდარტიზაცია.
Keywords: Legal discourse, standardization of terms in language.

სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კვალობაზე, ადამიანთა საქმიანობის პრაქტიკულ დარგებში სისტემატურად წარმოიქმნება ამა თუ იმ დარგისათვის შესაბამისი სემანტიკის მქონე სპეციალური ლექსიკის აუცილებლობა, რომელიც შემდგომ სამეცნიერო ტერმინების სახით მკვიდრდება ენებში. წინამდებარე სტატიაში განხილულია არამხოლოდ იურიდიული ტერმინების სტანდარტიზაცია ისეთ მონათესავე და არამონათესავე ენებში, როგორებიცაა: ფრანგული, ესპანური, იტალიური, ქართული და რუსული, არამედ ამ ენებზე განხორციელებული იურიდიული დისკურსის თანმიმდევრული თარგმნის პრობლემატიკაც.

იურიდიული ენა სამეცნიერო ენაა და არაიურისტებისათვის იურიდიული დისკურსის თანმიმდევრული თარგმნის პროცესში ხშირად ჩნდება არასპეციალური ლინგვისტური რესურსების გამოყენების აუცილებლობა.

პრაქტიკული საჭიროების შემთხვევაში ხდება იურიდიული, საყოველთაოდ გასაგები სინონიმებით ჩანაცვლება, იურიდიული ტერმინების პერიფრაზირება, იურიდიული ტექსტებისათვის დამახასიათებელი ძალიან გავრცობილი წინადადების მსმენელებისათვის გასაგებ ენაზე – შედარებით მარტივი წინადადებით – მიწოდება და

ა. შ. მაგალითად, ჩვენ მიერ პრაქტიკიდან აღებული გაანალიზებული შემთხვევებია:

1. აცილება (Disqualification / Recusal / Removal) – ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნებისათვის სასამართლოს მონაწილე რომელიმე პირის პროცესიდან ჩამოცილება.

- ფრანგულ ენაზე – French: 1. Récusation; 2. Refuse; 3. Eviter – L'acte de retirer un juge ou une autre figure légale d'une affaire en raison de partialité ou de conflit d'intérêts.
- Italian: 1. Ricusa; 2. Rifiuto; 3. Negazione – L'atto di rimuovere un giudice o una figura legale da un caso per parzialità o conflitto di interessi.
- Spanish: 1. Recusación; 2. Rechazo; 3. Negación – El acto de apartar a un juez o a otra figura legal de un caso debido a parcialidad o conflicto de intereses.
- Georgian: 1. აცილება; 2. კანდიდატურის არიდება – სასამართლო პროცესიდან მოსამართლე ან სხვა სამართლებრივი პირის გამორთვა დაინტერესების ან კონფლიქტური ინტერესების გამო.
- Russian: 1. Отвод; 2. Исключени; 3. Отказ кандидату – Удаление судьи или другого правового лица из дела из-за предвзятости или конфликта интересов.

2. განჩინება (Ruling / Court Order)

Definition: A formal decision issued by a court or judge on a legal matter.

- French: 1. Ordonnance; 2. Décret – Décision formelle rendue par un tribunal ou un juge sur une question juridique.
- Italian: 1. Ordinanza; 2. Decreto; 3. Direttiva – Decisione formale emessa da un tribunale o da un giudice su una questione legale.
- Spanish: 1. Sentencia; 2. Orden; 3. Decreto – Decisión formal emitida por un tribunal o juez sobre un asunto legal.
- Georgian: 1. განჩინება; 2. დადგენილება, ბრძანება – სასამართლოს ან მოსამართლის ოფიციალური გადაწყვეტილება სამართლებრივ საკითხზე.
- Russian: 1. Постановление; 2. Решение – Формальное решение, принятое судом или судьей по юридическому вопросу.

საქართველოში სამართალწარმოების ენა ქართულია. ამავე დროს საქართველოს კანონმდებლობა იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ პირს სამართლებრივი ბრალი უნდა წარედგინოს, განემარტოს მისთვის გასაგებ ენაზე.

იურიდიული დისკურსის თანმიმდევრულად თარგმნის როლი – უცხო ენიდან ქართულად და პირიქით – ძალიან გაიზარდა.

ცნობილია, რომ ნებისმიერ სფეროში თარჯიმნის პრაქტიკულ საქმიანობას ასევე სჭირდება თარჯიმნის თეორიის ცოდნა.

მოცემული სამეცნიერო სტატია მოიცავს ისეთ რეკომენდაციებსაც, რომლებიც მხოლოდ მრავალწლიან გამოცდილებასა და დაკვირვებაზეა დამყარებული საქართველოს სასამართლო სისტემაში.

წინამდებარე სტატიის თეორიული მნიშვნელობაც ისაა, რომ ქართულ ტრადუქტოლოგიაში იურიდიული დისკურსის თანმიმდევრული თარჯიმნის პრობლემატიკა ნაკლებად არის შესწავლილი. საჭიროა იმ ტენდენციების ანალიზი და შესწავლა, რომლებიც მიმდინარე პროცესს ახასიათებს. ეს კი მოგვიანებით უფრო ფართო ჭრილში გაანალიზების საშუალებას მოგვცემს.

Due to the scale of the development of legal and economic relations, there arises – across various practical fields of human activity – a need for a specialized lexicon with the appropriate semantics for each specific domain, which later becomes entrenched in subsequent languages as scientific terminology. This article discusses not only the standardization of legal terms in both closely related and less closely related languages such as French, Spanish, Italian, Georgian, and Russian, but also the problematics of consecutive translation of legal discourse implemented in these languages.

Legal language is a scientific language, and in the process of consecutive translation of legal discourse for jurists, the use of specialized linguistic resources is often unnecessary. In cases of practical need, legally universally comprehensible synonyms are substituted, legal terms are paraphrased, and legal texts – characterized by very lengthy sentences – are conveyed in comparatively simpler sentences in a language that is understandable to the audience, and so forth.

In Georgia, the language of legislation is Georgian. At the same time, Georgian legislation imperatively stipulates that an individual must be presented with a legal indictment in a language that is comprehensible to them. The role of consecutive translation of legal discourse from foreign languages into Georgian and vice versa has significantly increased. It is well known that in any field, practical translation activities also require a sound understanding of translation theory.

This scientific article also includes recommendations based solely on many years of experience and observation within the Georgian judicial system. The theoretical significance of this article lies in the fact that, in Georgian translation studies, the problematics of consecutive translation of legal discourse have been very scarcely examined. There is a need to analyze and study the tendencies characterizing the ongoing process, which will later allow for a broader analysis.

საგანმანათლებლო პოლიტიკა და ენობრივი სტანდარტები
ციფრულ ეპოქაში

Educational Policy and Language Standards in the Digital Age

ნონა კუხიანიძე
Nona Kukhianidze

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

Akaki Tsereteli State University of Kutaisi
Faculty of Exact and Natural Sciences

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეპოქა, განათლება, ენის განვითარება.
Keywords: Digital age, education, language development.

ციფრული ტექნოლოგიების ეპოქამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ენის განვითარებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებისთვის, რომლებიც ამ გარემოცვაში გაიზარდნენ. ციფრული მედიის ზემოქმედება ენის განვითარებაზე შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. დადებითი თვალსაზრისით ციფრული პლატფორმები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ურთიერთობა დაამყარონ მსოფლიოს სხვადასხვა ენობრივ საზოგადოებასთან, რაც ფართო შესაძლებლობებს ქმნის ენის შესწავლისა და პრაქტიკისთვის. ასეთი ზემოქმედება შეიძლება ხელს უწყობდეს წარმოსახვითი ენის გამოყენებას, ლექსიკური მარაგის გაფართოებასა და კითხვის გააზრების უნარის გაუმჯობესებას. თუმცა, არსებობს ამგვარი საშიშროება: რადგან ციფრული კომუნიკაციის სიმოკლე და არაფორმალურობა ხშირად სისწრაფეს სიზუსტეზე წინ აყენებს, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ზედაპირული კომუნიკაციის წახალისება, ყურადღების კონცენტრაციის შემცირება და პროფესიული წერის უნარების დეგრადაცია.

ეს ნაშრომი მიზნად ისახავს ციფრულ ეპოქაში ენის განვითარების შესახებ არსებული ლიტერატურის შეჯამებას. გარდა ამისა, აუცილებელია ისეთი სტანდარტების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრული მედიის დაბალანსებულ გამოყენებას საგანმანათლებლო გარემოში, რათა ტექნოლოგიურმა პროგრესმა დადებითად იმოქმედოს ენის განვითარებაზე. მუდმივად ცვალებად ციფრულ გარემოში მასწავლებლებს შეუძლიათ უკეთ დაუჭირონ მხარი თავიანთ მოსწავლეებს (ენის განვითარების თვალსაზრისით), თუ ისინი შესაბამისად ინფორმირებულნი იქნებიან.

ფინეთის განათლების სისტემა აქტიურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში. მაგალითად, სკოლებში დანერგილია e-perusteet პლატფორმა, რომელიც ციფრული სასწავლო გეგმების მართვის საშუალებას იძლევა და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, დაარეგულირონ სასწავლო მასალა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით.

ესტონეთში სკოლების 99%-ს აქვს ინტერნეტზე წვდომა, და e-School პლატფორმა აერთიანებს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს, რაც ხელს უწყობს განათლების ხარისხის ამაღლებას.

Google Translate და ხელოვნური ინტელექტის სხვა ენობრივი მოდელები გავლენას ახდენენ სასკოლო განათლებაზე. მაგალითად, სამხრეთ კორეის სასწავლო დაწესებულებებში უცხო ენების სწავლება ინტერნეტპლატფორმებისა და ენობრივი აპლიკაციების დახმარებით ხორციელდება, რაც ცვლის სწავლების ტრადიციულ მეთოდებს.

Duolingo-ს მსგავსი აპლიკაციები განსაკუთრებით პოპულარულია ევროპაში, სადაც ენობრივი მრავალფეროვნება დიდ გამოწვევას წარმოადგენს. მაგალითად, ბელგიაში, სადაც სამი ოფიციალური ენაა (ფრანგული, ჰოლანდიური, გერმანული), ონლაინპლატფორმები ხელს უწყობენ სამივე ენის სწავლის პროცესს.

საქართველოში საგანმანათლებლო პოლიტიკა და ენობრივი სტანდარტები ციფრულ ეპოქაში საკმაოდ აქტუალური თემაა.

„ახალი სკოლის მოდელი“ – ეს პროგრამა საქართველოში 2019 წელს დაიწყო და ითვალისწინებდა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. სკოლებში დაინერგა ელექტრონული ჟურნალი (emis.ge), რაც მოსწავლეთა შეფასების პროცესს უფრო გამჭვირვალეს ხდის.

თიბისი IT აკადემია და სხვა კერძო ინიციატივები – საქართველოში პოპულარული ხდება IT განათლება. მაგალითად, „თიბისი IT აკადემია“ ახალგაზრდებს უფასოდ სთავაზობს პროგრამირებისა და ციფრული უნარების სწავლას.

Covid-19 და ონლაინ სწავლება – პანდემიის პერიოდში ქართულ სკოლებში სასწავლო პროცესის ონლაინფორმატზე გადასვლა (Microsoft Teams, Zoom, eSchool) დიდი გამოწვევა იყო, რამაც აჩვენა ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება.

ქართული ენის სტანდარტიზაცია ციფრულ სივრცეში – საქართველოს განათლების სამინისტრო და ქართული ენის სახელმწიფო დეპარტამენტი აქტიურად მუშაობენ ქართული ენის

ციფრულ განვითარებაზე. მაგალითად, შექმნილია ქართული ენის კორექტორი და სხვადასხვა ენობრივი მოდელი, რაც ტექსტის სწორად წერაში ეხმარება მომხმარებლებს.

გუგლის და სხვა ციფრული პლატფორმების ქართული ინტეგრაცია – ბოლო წლებში Google Translate-ში ქართული ენის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო GPT-4-ს უკვე აქვს ქართული ენის მხარდაჭერა.

განათლების სფეროში მომუშავე პირებმა უნდა განაგრძონ პროფესიული განვითარება, რათა უკეთ გაიაზრონ ციფრული წიგნიერებისა და ენის განვითარების უახლესი ტენდენციები. ტრენინგების მთავარი მიზანი უნდა იყოს მასწავლებლების აღჭურვა საჭირო უნარებით, რათა მათ ეფექტურად ჩართონ ციფრული ხელსაწყოები სასწავლო პროცესში.

ციფრული ეპოქა, მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გაჩენასთან ერთად, სერიოზულ გამოწვევებსაც ქმნის ენის განვითარების თვალსაზრისით. აუცილებელია, რომ განათლების სისტემამ მოახდინოს ადაპტაცია და უზრუნველყოს ციფრული მედიის გონივრული და დაბალანსებული გამოყენება. მასწავლებლებმა, მშობლებმა და პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა იმუშაონ ერთობლივად, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს წვდომა ციფრული წიგნიერების და ენის განვითარების საუკეთესო შესაძლებლობებზე.

The era of digital technology has brought about a substantial shift in language development, especially for younger generations who have grown up surrounded by it. Language development is impacted by digital media exposure in both positive and bad ways. Positively, users can interact with a variety of linguistic communities across the globe by using digital platforms, which offer a wealth of options for linguistic exposure and practice. This exposure can promote imaginative language use, increase vocabulary, and improve reading comprehension. Since the brevity and informality of digital communication frequently stress speed over correctness, there are worries that digital media could encourage shallow communication, shorter attention spans, and a deterioration in professional writing skills. This paper aims to gather literature about language development in the digital age. In order to make sure that technical breakthroughs support language development, standards for the responsible and balanced use of digital media in educational settings must also be developed. Teachers can better support their students' language development in a constantly changing digital environment by remaining knowledgeable and flexible.

Finland's education system actively integrates digital technologies into the learning process. For example, the e-perusteet platform has been implemented in schools, allowing for the management of digital curricula and enabling teachers to adjust learning materials according to individual needs.

In Estonia, 99% of schools have internet access, and the e-School platform connects students, teachers, and parents, contributing to the improvement of education quality.

Google Translate and other AI-powered language models influence school education. For instance, in South Korean educational institutions, foreign language learning is increasingly facilitated through internet platforms and language applications, transforming traditional teaching methods.

Apps like Duolingo are particularly popular in Europe, where linguistic diversity poses a significant challenge. For example, in Belgium, where there are three official languages (French, Dutch, and German), online platforms help support the learning process for all three languages.

In Georgia, educational policy and linguistic standards in the digital era are highly relevant topics.

The "New School Model" program was launched in Georgia in 2019, aiming to integrate digital technologies into the learning process. Schools introduced an electronic journal (emis.ge), making student assessment more transparent.

TBC IT Academy and other private initiatives – IT education is becoming increasingly popular in Georgia. For instance, TBC IT Academy offers free programming and digital skills training for young people.

Covid-19 and online learning – During the pandemic, the transition of Georgian schools to online learning formats (Microsoft Teams, Zoom, eSchool) was a significant challenge, highlighting the need for digital infrastructure development.

Standardization of the Georgian language in the digital space – The Ministry of Education of Georgia and the State Department of the Georgian Language are actively working on the digital advancement of the Georgian language. For example, a Georgian language spell checker and various linguistic models have been developed to assist users in writing correctly.

Integration of Georgian into Google and other digital platforms – In recent years, the quality of the Georgian language in Google Translate has significantly improved, and GPT-4 now supports the Georgian language.

Individuals working in the field of education should continue their professional development in order to better understand the latest trends in digital literacy and language development. The main goal of training should be to equip teachers with the necessary skills to effectively integrate digital tools into the learning process.

The digital age, while creating significant opportunities, also presents serious challenges for language development. It is essential that the education system adapts and ensures that the use of digital media is done wisely and in a balanced way. Teachers, parents, and policymakers must work together to ensure that all students have access to the best opportunities for digital literacy and language development.

რთულ სიტყვათა შემადგენელი კომპონენტები –
შინა, შიგა, შიდა¹

The Components of Compound Words – *šina, šiga, šida*

მაკა ლაბარტყავა
Maka Labartkava

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ქართული ენა, კომპოზიცია, *შინა, შიგა, შიდა*.

Keywords: The modern Georgian language, composition, *šina, šiga, šida*.

¹ მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია“ (SL -24-157) – ფარგლებში.

თანამედროვე ქართულში მრავლად დასტურდება იმ სახის კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილია შინა: შინაპოლიტიკური, შინასახელმწიფოებრივი, შინასაკავშირო, შინარაიონული... დასახელებული რთული სიტყვები ქველში განმარტებულია შემდეგნაირად: შინაპოლიტიკური – „საშინაო პოლიტიკის ხასიათისა, საშინაო პოლიტიკისათვის განკუთვნილი, საშინაო პოლიტიკისა“; შინასახელმწიფოებრივი – „სახელმწიფოს შიგნით, სახელმწიფოს ფარგლებში არსებული“; შინასაკავშირო – „კავშირის შიგნით, კავშირის ფარგლებში არსებული, წარმოებული“; შინარაიონული – „რაიონის ფარგლებში წარმოებული“...

რამდენიმე ზემოთ წარმოდგენილი კომპოზიტის პირველი კომპონენტი რადიო-ტელევიზიისა და პრესის ენაში შიგა / შიდა ვარიანტებითაც დასტურდება: შინაპოლიტიკური / შიგაპოლიტიკური / შიდაპოლიტიკური; შინასახელმწიფოებრივი / შიგასახელმწიფოებრივი / შიდასახელმწიფოებრივი...

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „შინა – ზმნს. იგივეა, რაც შინ; შინა ძვ. თანდებული; იგივეა, რაც -ში...“; „შიდა იგივეა, რაც შიგნითა...“; „შიგ, შიგა – ზმნს. 1. აღნიშნავს, რომ ვინმე ან რამე იმაშია, რაზედაც მიუთითებს ამ ზმნისართით ნაგულისხმევი სიტყვა... 2. გამოხატავს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მიმართულია იმისაკენ, რაზედაც მიუთითებს ამ ზმნისართით ნაგულისხმევი სიტყვა... 3. პირდაპირ, სწორედ (რამეში, რაიმეს სიღრმეში)“...

მაგალითები: „1682 წელს მეფე თევდორე მე-3 გარდაიცვალა და რუსეთში შინაპოლიტიკური კრიზისი დაიწყო“, შდრ.: „1970-იან და 1980-იან წლებში თურქეთს შიგაპოლიტიკური ძალადობის ტალღამ გადაუარა“, შდრ.: „საქართველოს შიდაპოლიტიკური პრობლემები ხელს არ უშლის თბილისს, რომ ქვეყანამ, ნატოს წევრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს ფართომასშტაბიან წვრთნებში“ ...

„სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობა შინასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში განისაზღვრება ამ ხელისუფლების, პარტიის, ჯგუფის კლასობრივი ინტერესებით“, შდრ.: „საგარეო საქმეთა უწყება ძირითადი შიგასახელმწიფოებრივი დაწესებულება იყო...“, შდრ.: „როგორია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“...

არცთუ იშვიათად რთულ სიტყვებში შინა და შიდა კომპონენტები მონაცვლეობენ (შდრ.: შინასაკავშირო / შიდასაკავშირო), ან კიდევ ერთმანეთს ენაცვლებიან შიგა და შიდა (შდრ.: შიგარაიონული / შიდარაიონული), მაგ.: „შინასაკავშირო მუშაობის ურყევი კანონი“, შდრ.: „...იგი არის უამრავი შიდასაკავშირო ტიტულისა და პრიზის მფლობელი“; „ავტოტრანსპორტი დიდ როლს ასრულებს შიგარაიონულ და რაიონთაშორისო ტვირთების გადაზიდვაში“, შდრ.: „2013 წელს კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა“...

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კომპოზიტები მხოლოდ შინა ვარიანტით დასტურდება (მაგ.: შინაყმა, შინამოსამსახურე...).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება შინა, შიგა, შიდა კომპონენტებით მიღებულ რთულ სიტყვებთან დაკავშირებული მართლწერის რეკომენდაციები თანამედროვე ქართული ენის ვითარების გათვალისწინებით.

ლიტერატურა

ნორმები (1970). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი: „მეცნიერება“.

ქეელი (1961). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ქეევი. ქართული ენის ეროვნული კორპუსი – <http://gnc.gov.ge/>

ქეელი (1986). ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი: „განათლება“.

In the modern Georgian language, a number of compounds the first part of which is *šina* "inner, internal, domestic" are attested, e.g., *šinapolitiki* "domestic political", *šinaxelmçipoebrivi* "state domestic", *šinasaḡavširo* "domestic union", *šinaraonuli* "domestic regional", etc. In the Georgian explanatory dictionary, these compound words are defined as follows: *šinapolitiki* "domestic political" – "of the nature of domestic/internal policy, intended for domestic policy, of domestic policy"; *šinaxelmçipoebrivi* "state domestic" – "existing within the state"; *šinasaḡavširo* "domestic union" – "within the union, existing or produced within the union"; *šinaraonuli* "domestic regional" – "existing or produced within the region".

The first component of some of the above-mentioned compounds is also attested as the variants *šiga/šida* in the language of radio, television and the press: *šinapolitiki* / *šigapolitiki* / *šidapolitiki*; *šinaxelmçipoebrivi* / *šigasaxelmçipoebrivi* / *šidasaxelmçipoebrivi*.

According to the Georgian explanatory dictionary, *šina* (adv.) is the same as inside/internal; *šina* (old.) postposition; the same as – *ši* "in"; "*šida* is the same as inside"; *šig, šiga* (adv.) 1. Indicates that someone or something is in what the word implied by this adverb indicates; 2. Expresses that the action conveyed by the verb is directed towards what the word implied by this adverb indicates; 3. Directly, precisely (in something, in the depths of something)".

For example, 1682 çels mepe tevsore me-3 gardaicvala da rusetši *šinapolitiki* ḡrizisi daiçço "In 1682, King Theodore III died and a domestic political crisis began in Russia", cf.: 1970-ian da 1980-ian çlebši turkets *šigapolitiki* žaladobis ḡalyam gadauara "In the 1970s and 1980s, a wave of domestic political violence swept through Turkey", cf.: sakartvelos *šidapolitiki* problemebi xels ar ušlis tbiliss, rom kveḡanam, naḡos çevrebtan ertad, monaçileoba miiḡos partomašḡabian çvrḡnebši "Georgia's domestic political problems do not prevent the country from participating in large-scale exercises with NATO members".

saxelmçipo xelisuplebis, ḡarḡiis an sazogadoebrivi ḡḡupis moḡvaçeoba *šinaxelmçipoebrivi* martvisa da saertašoriso urtiertobis dargši ganisazḡvreba am xelisuplebis, ḡarḡiis, ḡḡupis ḡlasobrivi iḡteresebit "The activities of a state government, party or public group in the field of state domestic governance and international relations are determined by the class interests of this government, party or group", cf.: dagareo sakmeta uçḡeba žiritadi *šigasaxelmçipoebrivi* daçesebuleba iqo "The Ministry of Foreign Affairs was the main state domestic institution...", cf.: rogoria saertašoriso da *šidasaxelmçipoebrivi* samartlis tanapardobis žiritadi teoriuli da ḡraktikiuli ašpeḡtebi "What are the main theoretical and practical aspects of the ratio of international and state domestic law?".

Commonly, in the compound words, the components *šina* and *šida* (cf.: *šinasaḡavširo* / *šidasaxavširo*), or *šiga* and *šida* alternate (cf.: *šigaraonuli* / *šidaraonuli*), For example, *šinasaḡavširo* mušaobis urḡevi ḡanonis "The infrangible law of domestic union work", cf.: ...igi aris uamravi *šidasaxavširo* ḡiḡulisa da ḡprizis mplobeli ..he is an owner of the numerous union titles and prizes";

ავტოტრანსპორტი დიდ როლს ასრულებს შიგარაიონულ და რაიონთაშორისი ტვირთების გადაზიდვაში “Motor transport plays a major role in the transportation of domestic regional and inter-regional cargo”, cf.: 2013 წელს კვლავ აქტუალური რჩება შიგარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა “Ensuring the smooth operation of domestic regional transport remains relevant in 2013”.

We can find the cases where compounds are attested with the only variant **შია** (cf.: **შიაგმა** “slave”, **შიამოსამსაქურე** “maid-of-all-work”).

In the presentation, the compounds containing the components **შია**, **შიგა**, **შიდა** will be analyzed taking the situation of the modern Georgian language into account.

References

Norms (1970). *Tanamedrove saliteraturo enis normebi*. [Norms of the modern Georgian literary language]. Tbilisi: Science.

EDGL (1961). *Kartuli enis ganmartebiti leksikoni*. [Explanatory Dictionary of the Georgian Language]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

GNC. *Kartuli enis erovnuli korpusi* [The Georgian National Corpus]. <http://gnc.gov.ge/>

ODGL (1986). *Kartuli enis ortograpiuli leksikoni*. [Orthographic Dictionary of the Georgian Language]. Tbilisi: Education.

ახალციხის ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშები

Speech Patterns of the Georgian Jews of Akhaltsikhe

ქეთევან ლორთქიფანიძე, ინგა ზაბახიძე
Ketevan Lortkipanidze, Inga Zabakhidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ახალციხელი ებრაელები, მესხური დიალექტი, თურქული ნასესხობები, მეტყველების ნიმუშები.

Keywords: Akhaltsikhe Jews, meskhetian dialect, turkish borrowings, speech patterns.

საქართველოში ხანგრძლივმა ცხოვრებამ ...ებრაელთათვის ქართული თანდათან მეორე მშობლიურ ენად აქცია. ქართველი ებრაელები საუკუნეების განმავლობაში ქართულად მეტყველებდნენ. ამავე დროს, დროთა განმავლობაში ებრაელთა სასაუბრო ენაში თავი იჩინა გარკვეულმა თავისებურებებმა, რომელთა ერთობლიობამაც ქართველ ებრაელთა მეტყველება ქართული ენის ერთგვარ „დიალექტად“ ჩამოაყალიბა (ზინიაშვილი, 2022, გვ. 281).

აღნიშნულ მოხსენებაში განხილულია ახალციხის ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებები, რაც ენათმეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა. ახალციხელ ებრაელთა მეტყველება წარმოადგენს ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტს, კერძოდ, მესხურს. „ახალციხის ქართველ ებრაელთ ვახუშტიც მოიხსენიებს თავის გეოგრაფიაში და სხვა ძველს წიგნებშიაც მოიპოვება მათ შესახებ ცნობები, რომ ახალციხეს ქართველ ებრაელნი ძველადგანვე სცხოვრობდნენო... ამიტომ ქართველ ებრაელთაც აქ მკვიდრათ გაიმტკიცეს ფეხი და ძველადგან მოყოლებული ვიდრე ოსმალეთი დაიკავებდა მას, ე. ი. 1630 წლამდე“ (ჭიჭინაძე, 1990, გვ. 61). ცნობილი ფაქტია, რომ ებრაელებმა არ მიატოვეს თავიანთი მიწა-წყალი. „თუმცა დიდის წვალეებით და ძრწოლვით, მაგრამ მაინც ებრაელთ ახალციხეში გაიმაგრეს ფეხი, თავიანთი ცხოვრება არ მოშალეს იქ და მის საშუალებით არც ქართული ენა მოისპო. ახალციხეს მან (ქართულმან ენამ) თავისუფლად მოაღწია 1829 წლამდე და მის შემდეგ ქართველ ებრაელთა მეოხებით ამ ენამ იწყო აღორძინება, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შორის ქართული ენა ადრითგანვე მოისპო“ (მამისთვალიშვილი, 1995, გვ. 92-93). ფრანგი მოგზაურის, დიუბუა დე მონპერიეს თქმით: „1833 წ. ახალციხეში ცხოვრობდა 117 კომლი... მათი ერთი ნაწილი თურქულად ლაპარაკობდა, ხოლო მეორე – ქართულად“ (მამისთვალიშვილი, 1995, გვ. 94). აღნიშნული მოვლენების შედეგად, ბუნებრივია, რომ თურქულმა ენამ ზეგავლენა მოახდინა ქართული ენის მესხურ დიალექტზე.

საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ნაწილი განსახილველი მეტყველების ნიმუშებისა, რომლებიც მოვიპოვეთ ახალციხეში დაბადებული და გაზრდილი, ამჟამად ისრაელში მცხოვრები ცნობილი პუბლიცისტის, პროფესორ დავით ბოთერაშვილისაგან. აღნიშნულ მასალაში თვალნათლივ იკვეთება ნასესხები თურქული ლექსიკური ერთეულები:

1. „...შემდეგ კი, დანთებული ყანდილებით ლოცვის ეზოში ვიკრიბებოდით...“
2. „...ბინიას გვერდში, უღრან ტყეშიც ბილა არ მეშინოდა შუალამეთაც კიო...“
3. „...ხო გეუნები, ზათი არ გიყაბულებ, ქოსათ მორდებხასი არა იყოს რა, ისეთ ფასში გაძლევ, თავნი ბილა არა მჩება...“
4. „მე ვინ მომაქვავა, კაცო, მაგიტოლა ფარა“...
5. „...რო ვთქვა, რო საქონელი დავაფანიერე-მეთქი, თორე, ანჯახ, ხალხის პირში ჩავარდა ჩემი მტერი და ოჯახის დამაწყევარი.“

დღესდღეობით ახალციხეში მხოლოდ ერთი, ლევიშვილების ებრაული ოჯახია შემორჩენილი. ისინი ახალციხის თითქმის სამსაუკუნოვან სინაგოგას უვლიან. აღნიშნული ებრაული მეტყველებაც დავიწყებასაა მიცემული, რაც უფრო ფასეულს ხდის მის დროულ მეცნიერულ კვლევას.

ლიტერატურა

- ბინიაშვილი, ლ. (2022). რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), „ქართველ ებრაელთა ქართული ლექსიკა იერუსალიმში“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ენის ლიტერატურისა და ხელოვნების სერია, თბილისი.
- მამისტვალიშვილი, ე. (1995). „ქართველ ებრაელთა ისტორია“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჭიჭინაძე, ზ. (1990). „ქართველი ებრაელები საქართველოში“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

Long-term residence in Georgia gradually led to Georgian becoming a second native language for Jews. For centuries, Georgian Jews have spoken Georgian. Over time, distinct linguistic features emerged in their spoken language, resulting in a unique variation that can be considered a dialect of Georgian (Biniashvili, 2022: 281).

Akhaltsikhe, offering highly valuable material from a linguistic perspective. The speech of Akhaltsikhe's Jewish community belongs to the southwestern dialect of the Georgian language, specifically the Meskhetian dialect. „Vakhushti also references the Georgian Jews of Akhaltsikhe in his geographical writings, and additional historical sources confirm that this community has resided in the region since ancient times. Therefore, Georgian Jews firmly established their presence in Akhaltsikhe from ancient times until the Ottoman occupation in 1630“ (Chichinadze, 1990: 61). It is well-documented that the Jewish community remained steadfast in their homeland. As Mamistvalishvili (1995: 92–93) states, “Although with great difficulty and hardship, the Jews maintained their presence in Akhaltsikhe. They did not abandon their way of life, and as a result, the Georgian language was preserved. It freely reached Akhaltsikhe until 1829, and afterward, with the support of Georgian Jews, it began to revive in regions where it had previously been lost among Georgian Muslims”.

The French traveler Dubois de Montperrier further corroborates this linguistic landscape, noting that in 1833, Akhaltsikhe was home to 117 households, with some residents speaking Turkish and others – Georgian (Mamistvalishvili, 1995: 94). Given these historical developments, it is natural that the Turkish language exerted a linguistic influence on the Meskhetian dialect of Georgian.

As an illustration, we present several speech samples under discussion, obtained from Professor David Boterashvili, a renowned publicist born and raised in Akhaltsikhe, who currently resides in Israel. The collected material clearly demonstrates the influence of Turkish on the Meskhetian dialect of Georgian through the incorporation of borrowed Turkish lexical units: In the report, we will also talk in detail about the Turkish lexical borrowings established in the speech of Akhaltsikhe Jews.

Today, only one the Levishvilis Jewish family, remains in Akhaltsikhe, preserving the nearly three-century-old Akhaltsikhe synagogue. The distinct Jewish speech of this community has also faded into obscurity, underscoring the significance of its timely scientific study.

References

- Biniashvili, L. (2022).** Reuven enokhi (Ruben Enukashvili), Kartvel ebraelta kartuli leksika ierusalimshi [“Georgian Lexicon of Georgian Jews Jerusalem”], Herald of the Georgian National Academy of Sciences, Language Literature and Mastery Series, Tbilisi.
- Mamistvalishvili, E. (1995).** Kartvel ebraelta istoria [“History of Georgian Jews”], Tbilisi, Publishing House “Metsniereba”.
- Chichinadze, Z. (1990).** Kartveli ebraelebi sakartveloshi [“Georgian Jews in Georgia”], Tbilisi, Publishing House “Metsniereba”.

**უნგრული ენის მართლწერის სარეკომენდაციო
პორტალის როლი მართლწერის ნორმების დანერგვაში**

**The Role of the Hungarian Spelling Advisory Portal
in the Dissemination of the Spelling Norm**

**ჟოფია ლუდანი
Zsófia Ludányi**

უნგრეთის სამეცნიერო ქსელის
ენათმეცნიერების კვლევითი ცენტრი
პეტერ პაზმანის სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტი

HUN-REN Hungarian Research Centre for Linguistics
Pázmány Péter Catholic University

**აგნეშ კოჩიში
Ágnes Kocsis**

უნგრეთის სამეცნიერო ქსელის
ენათმეცნიერების კვლევითი ცენტრი

HUN-REN Hungarian Research Centre for Linguistics

Spelling is one of the most important issues in Hungarian organized language management, as the level of compliance with spelling codification strongly determines the perceived adequacy of written texts. Hungarian orthography has held academic status since 1832, when the first normative spelling rule book was published. Today, the regulation of Hungarian orthography falls under the authority of the Interdepartmental Permanent Committee on the Hungarian Language at the Hungarian Academy of Sciences.

When producing and/or proofreading written texts, language users encounter a number of language problems, especially spelling problems. One way of managing these problems is for language users to turn to a language advisory service (Beneš et al. 2018, Prošek 2020).

The Language Consulting Service (LCS) of HUN-REN Hungarian Research Centre for Linguistics has been providing language assistance by letter and telephone for decades (Ludányi–Domonkosi 2023). This service was complemented in 2013 by the Hungarian Spelling Advisory Portal (HSAP), which aims to communicate Hungarian spelling norms to users in a fast and accessible way, using language technology resources and tools (cf. Hlaváčková et al. 2022).

The presentation will (1) present HSAP’s web tools, briefly touching on their NLP background, (2) explain how HSAP and “human” language consulting are related, (3) describe ongoing developments, one of which is how AI can be used to support the use of HSAP.

References

- Beneš, Martin** – Prošek, Martin – Smejkalová, Kamila – Štěpanová, Veronika 2018. Interaction between language users and a language consulting center: Challenges for language management theory research. In: Fairbrother, Lisa – Nekvapil, Jiří – Sloboda, Marián (eds): *The Language Management Approach: A Focus on Research Methodology*. Peter Lang. Berlin. 119–140.
- Hlaváčková, Dana** – Žižková, Hana – Dvořáková, Klára – Pravdová, Markéta 2022. Developing Online Czech Proofreader Tool: Achievements, Limitations and Pitfalls. *Bohemistyka* 1: 122–134. <https://doi.org/10.14746/bo.2022.1.7>
- Ludányi, Zsófia** – Domonkosi, Ágnes 2023. Language consulting and language management from the perspective of the Hungarian Language Consulting Service. *Taikomaji kalbotyra* 20: 74–88. <https://doi.org/10.15388/Taikalbot.2023.20.6>
- Prošek, Martin 2020**. Processes of language enquiries. The case of the Prague Language Consulting Service. In: Kimura, Goro C. – Fairbrother, Lisa (eds.): *Language Management Approach to Language Problems: Integrating Macro and Micro Dimensions*. John Benjamins. Amsterdam. 197–213. <https://doi.org/10.1075/wlp.7.10pro>

სალიტერატურო ენის ნორმები და ქართული ყრუთა თემი¹

The Literary Language Norms and the Georgian Deaf Community²

თამარ მახარობლიძე
Tamar Makharoblidze

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ilia State University

საკვანძო სიტყვები: ენის ნორმები, ქართული ჟესტური ენა, სახელმწიფო ენა, ენის სწავლება, აგრამატიზაცია, ყრუთა თემი.

Keywords: Language norms, Georgian Sign Language (GESL), state language, language teaching, agrammatism, deaf community.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია].

² This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) 0FR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology].

საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემი დაახლოებით 2500 ადამიანს აერთიანებს. ისინი წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას. ამ თემის წევრების საკომუნიკაციო ენა არის ქართული ჟესტური ენა. ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რომელიც ამ თემის წევრებს ძალიან აწუხებთ, არის ის, რომ ამ საზოგადოების წევრების დიდმა ნაწილმა კარგად არ იცის ან ძალიან ცუდად იცის სახელმწიფო ენა – ქართული სამეტყველო ენა. ქართული ენის სათანადო არცოდნის გამო ყრუები ერიდებიან წერილობით კომუნიკაციებს სოციალურ ქსელებშიც კი და ამჯობინებენ ისევ მხოლოდ ერთმანეთთან იქონიონ ურთიერთობა ქართულ ჟესტურ ენაზე. ყრუთა თემში არსებული აგრამატიზმის გამო დგას ამოცანა, რომ საქართველოში მცხოვრებ ყრუთა თემს შევასწავლოთ სამეტყველო ქართული და სალიტერატურო ენის ნორმები, რათა მოხდეს ამ თემის რეალური ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებასთან. ამისათვის კი საჭიროა, რომ ქართულ ჟესტურ ენაზე მომზადდეს სამეტყველო ქართული ენის ადაპტირებული სასწავლო მასალები.

ქართულ ჟესტურ ენაზე შექმნილი სამეტყველო ენის ნორმები განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანი იქნება ყრუთა სკოლებისათვის. ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, დღემდე არ შექმნილა ყრუთათვის ხელმისაწვდომი რაიმე სახის ღირებული სასწავლო რესურსი სახელმწიფო ენის ასათვისებლად. ამ ტიპის მასალები ასევე გამოდგება ყრუთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. ამრიგად, ეს მნიშვნელოვანი რესურსი იქნება ყრუთა განათლების სისტემისათვისაც.

ამ ტიპის კვლევის მეთოდოლოგია უშუალოდ გამომდინარეობს კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან. პირველ ეტაპზე ხდება მონაცემთა – ყრუთა ქართულენოვანი ჩანაწერების – შეგროვება, შემდეგ ხორციელდება მასალის ანალიზი და ამ თემში არსებული აგრამატიზმის ძირითადი საკითხების გამოყოფა. მომდევნო ეტაპი მოიცავს ამ საკითხების ადაპტირებულ დამუშავებას და ქართულ ჟესტურ ენაზე სასწავლო მასალებისა და სათანადო ლინგვისტური რეკომენდაციების მომზადებას. ასევე სასურველია სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებით ტრენინგის ჩატარება ყრუთა თემში.

In Georgia there are about 2500 Deaf and Hard of Hearing people (DHH). This community is a linguistic minority in the country. Their language for communication is the Georgian sign language (GESL). The members of this community face a significant problem, which is a poor knowledge of the State language – Georgian spoken language. Because of this problem they avoid to have the written communication in spoken Georgian even in social networks, preferring signing with each other. Due to the agrammatism in the deaf community, there is a task to teach the spoken Georgian language and the norms of the literary language to the Deaf community living in Georgia, in order to make the real integration of this community into the civil society. For this goal the adapted materials for state language teaching must be prepared. Of course, the newest scientific results concerning the state norms of Georgian will be carefully taken into account.

The norms of the spoken Georgian language created in GESL will be especially valuable and important for deaf schools. Unfortunately, in our country, until now, no valuable educational resources have been created for the Deaf to learn the State language. Such teaching tools will be an important base/recourse for Deaf education system.

The research methodology is connected with the research goals and objectives. In the first period, the data (Deaf writing in Georgian) must be collected. Then this data must be analyzed and the agrammatism issues must be revealed. The next step is elaborating the adopted recommendations and preparing the teaching materials. The training of local Deaf community members will be also very important in this process.

სინტაქსური ტენდენციები სერბულ ენაში ენის
სტანდარტიზაციის თვალსაზრისით

Syntactic Tendencies in the Serbian Language from the Perspective
of Language Standardization

მარინა ნიკოლიჩი
Marina Nikolić

სერბიის მეცნიერებათა აკადემიის სერბული ენის ინსტიტუტი, ბელგრადი

Institute for the Serbian Language of SASA, Belgrade

Keywords: Committee for standardization, syntax, linguistic norms, standardization, serbian language.

The aim of this paper is to determine the status of certain unstable points in the syntactic norms of the standard Serbian language and, accordingly, confirm or modify the conclusions regarding these issues in existing normative guides. The starting point is the developmental trends in the syntactic level of the Serbian language, documented in 1999 in the Card Index of Language Dilemmas by the Committee for the Standardization of the Serbian Language. The analysis is mainly based on the PDRS 1.0 web corpus, a result of the project "Public Discourse in the Republic of Serbia", while some results are compared with the latest relevant research in Serbian linguistics. The study primarily employs a quantitative method, with a qualitative approach used to a lesser extent. The material is approached adopting a gradience perspective (both... and...) rather than the outdated structuralist binary principle (either... / or...), wherever applicable. This paper represents the beginning of corpus research into syntactic changes in the standard Serbian language, which will be carried out in 2025.

Corpus-based research has proven highly useful for evaluating existing norms. The study demonstrates that many stereotypes, often transferred from one normative manual to another (for example, the notion that constructions with infinitives are being replaced by those with *da* + present tense), are not supported by language usage but rather stem from general impressions based on isolated examples or situations, as well as the linguistic intuitions of certain prescriptive linguists.

საზოგადოების დამოკიდებულება სალიტერატურო ენის
ნორმებისადმი

The Attitude of the Society to the Norms of the Literary Language

სალომე ოშიაძე
Salome Omiadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მეტყველების შემფასებელი ლექსემები, ქართული ზმნის მრავლობითი რიცხვის მცდარი ფორმები, სალიტერატურო ენის ნორმათა გავრცელების გზები.

Keywords: The lexemes denoting the evaluation of speech, wrong plural forms of the Georgian verb, the ways of dissemination of the norms of the literary language.

„ქართველი კაცის დამოკიდებულება ენის მიმართ მგრძობიარეა. სხვათა შორის, ეს მხოლოდ დადაენას როდი უკავშირდება. ჩვენ ყოველთვის ყური გამახვილებული გვაქვს, ვაკვირდებით, თუ ვინ როგორი ქართულით ლაპარაკობს, ვინ როგორ მეტყველებს უცხო ენაზე“ (კვარაცხელია, 2024, გვ. 65). კარგი ქართულით მეტყველება გამართულ, სალიტერატურო ქართულს გულისხმობს, უცხო ენაზე მეტყველთაც ჩვენი საზოგადოება, ცხადია, ამა თუ იმ ენის ნორმების გათვალისწინებით აფასებს. ამგვარი დამოკიდებულების ენობრივი ობიექტივაციის შედეგია ქართულ სასაუბრო მეტყველებაში დამკვიდრებული უარყოფითი კონოტაციის მქონე ლექსემები ჩიქორთული და საყველპურო, რომლებიც ღარიბი, გაუმართავი მეტყველების აღმნიშვნელებად იხმარება (ომიადე, 2021, გვ. 97-102).

სწორედ ჩიქორთული ეთქმის ინტერნეტდისკურსს, რომელიც საუკეთესო მასალაა თანამედროვე ქართული მეტყველების შესასწავლად. მოხსენებაში, სოციალურ ქსელებში განთავსებულ მასალაზე დაყრდნობით, ვრცლად ვისაუბრებთ ახალგამოვლენილ ენობრივ ტენდენციებზე, რომელიც ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმებს, სახელდობრ, -თ სუფიქსის ნაცვლად დ თანხმოვნის გამოყენებას უკავშირდება („მოვინდომედ“, „შევიძინედ“ „დავეხმაროდ“, „მკითხედ“ და მისთ.).

აქვე ვიტყვით, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავება განახლებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ნორმათა გავრცელებისა და მათი დამკვიდრების გზების ძიება. ახლო წარსულში თუ პრესის როლი იყო წამყვანი ნორმათა შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებაში, დღეს სოციალურ მედიას ენიჭება უპირატესობა, როგორც უფრო მასობრივ საშუალებას. ამ მიმართულებით ინტერნეტსივრცეში ენის სპეციალისტებზე მეტად ქართული ენის რიგითი მომხმარებლები აქტიურობენ. ისინი ფორუმების თემებად ხშირად აცხადებენ მეტყველების კულტურის საკითხებს. ეს, ერთი მხრივ, დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს, როგორც ენობრივი ნორმებისა და ენის სიწმინდის დაცვისაკენ საზოგადოების მისწრაფება, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ერთგვარ საფრთხესაც შეიცავს, როგორც არცთუ კომპეტენტური ინფორმაციის წყარო. ამდენად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია იმავე სივრცეში სანდო ცნობების უხვად და საინტერესოდ განთავსება, რადგან მხოლოდ ბეჭდური საცნობარო ლიტერატურა არასასურველი ენობრივი ტენდენციებისაგან ვერ დაგვიცავს.

ლიტერატურა

კვარაცხელია, გ. (2024). დედაენა – დვრიტა ქართული ეროვნული სულისა, თბილისი: „უნივერსალი“.
ომიადე, ს. (2021). „საყველპურო“ – ენის ცოდნის საზომი XIX-XXI საუკუნეების ქართულ დისკურსში, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, 97-102, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

“Georgians are very sensitive to language. By the way, this refers not only to the mother tongue. We have ears like antennae; we observe and notice the kind of language people speak, be it Georgian or some foreign language” (Kvaratskhelia, 2024, p. 65). Speaking good Georgian means usage of correct, literary language. Our society also assesses foreign-language speakers according to the language norms. The linguistic objectivization of such attitude has yielded colloquial lexemes of negative connotation, namely **čikortuli** (gibberish) and **sagvelpuro** (elementary), which denote poor, incorrect speech (Omiadze, 2021, pp. 97-102).

The above-mentioned lexemes, above all, refer to the internet discourse, which forms a rich material for the study of modern Georgian speech. Based on the data of social networks, the paper

analyzes recent language tendencies, focusing on the plural forms of the verb, in particular, the usage of the consonant **ღ** /d/ instead of the suffix **-თ** /t/ (**movindomed** (we decided / wanted), **ševizined** (we purchased), **davexmarod** (let's help), **mķitxed** (ask me) and so on).

In addition, it should be noted that, alongside with the revision and updating of the norms of the literary Georgian language, it is important to find the ways for the dissemination and establishing of these norms. In the near past, the press played a key role in the increase of public awareness. Currently, social media has gained priority, as it reaches far more people. In this regard, ordinary speakers of the Georgian language are more active on the internet than the specialists of Georgian. The issues related to the culture of speech are often discussed on forums. On the one hand, this is a positive trend, since the society aspires to the preservation of the norms and purity of the language. On the other hand, this is related to a certain risk, as the sources of information are not always competent. Thus, taking into account the above-mentioned, it is necessary to upload ample and reliable information on the internet, because solely printed reference literature cannot protect us from the undesirable language tendencies.

References

- Kvaratskhelia, G. (2024).** Dedaena – dvrita kartuli erovnuli sulisa [Mother Tongue – the Foundation of the Georgian National Spirit]. Tbilisi. “Universali” press.
- Omiadze, S. (2021).** “Saqvelpuro” – enis tsodnis sazomi XIX-XXI saukuneebis kartul diskursshi [“Saqvelpuro” – the Measure of Mastering the Language in Georgian Discourse of the XIX and XXI Centuries]. Kartvelological scientific conference dedicated to Iakob Gogebashvili. Book of Abstracts, pp. 97-102, Tbilisi. Tbilisi State University Press.

უარყოფის იმპლიციტური და ინფერენციული ფუნქციები
ქართულსა და ინგლისურში

Implicit and Inferential Functions of Negation
in Georgian and English

მარიამ ორკოდაშვილი
Mariam Orkodashvili

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

Georgian American University

საკვანძო სიტყვები: უარყოფა, ექო, პაუზის შემავსებელი, იმპლიკაცია, ინფერენცია.
Keywords: Negation, echo, gap filler, implication, inference.

მოხსენებაში განხილულია უარყოფის, უარყოფითი ნაწილაკის (*არა / არ / no / not*), რამდენიმე საყოფადღებო იმპლიციტური და ინფერენციული ფუნქცია ინგლისურსა და ქართულში. კვლევაში გაანალიზებულია საინტერესო შემთხვევები.

ქართულში უარყოფის ნაწილაკის *არა/არ* გამოყენების სიხშირე უფრო დიდია, ვიდრე ინგლისურში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ ქართულში *არა/არ* არა მხოლოდ უარყოფის, არამედ პოლარულობის, ექოს, ემფატურობის, ინტენსიფიკაციისა და პაუზის შემავსებლის ფუნქციითაც გამოიყენება.

მაგალითად, ქართულში *არა/არ* ექოს ფუნქციით ე. წ. კი – არა პასუხების დროს გვხვდება. შემდეგ ნიმუშში *არა/არ* ექოს ფუნქციით გამოიყენება:

- ძალიან გადატვირთული ქალაქია.
- ხო, არა, ძალიან გადატვირთული ქუჩებია.
- The city is too busy.
- Yes, *no, the streets are too congested.

მოცემულ მაგალითში *ხო* – არა ექოსებრი პასუხია ნაგულისხმევ მოსაზრებაზე, რომ ასეთ გადატვირთულ ქალაქში ცხოვრება შეუძლებელი გახდა. მაშინ როდესაც ქართულში *ხო* და *არა* ერმანეთის გვერდით გამოიყენება, ინგლისური მხოლოდ *ხო*-ს იყენებს. რაც შეეხება ქართულს, *ხო* ეთანხმება მოსაზრების აზრს, რომ გადატვირთული ქალაქია, *არა* კი ექოს ფუნქციით გულისხმობს, რომ ქალაქში ცხოვრება შეუძლებელია. მამასადამე, ამ შემთხვევაში *არა/არ* ნაწილაკს ქვეცნობიერ-შემეცნებითი ფუნქცია აქვს, ე. ი. ის უარყოფს ნაგულისხმევ აზრს (იმპლიკაციას) და არა ღიად გამოთქმულ წინადადებას.

იმპლიკაციის (ნაგულისხმევი აზრის) უარყოფის ნიმუშია შემდეგი მაგალითიც:

- ეს საკითხი პიარში / PR-ში შედის?
- არა, მარკეტინგშიც შედის (იგულისხმება: ორივეში შედის).
- Does this issue belong to PR?
- No, it belongs to marketing as well (meaning: it belongs to both).

ინგლისურში მოსალოდნელი პასუხი იქნებოდა: დიახ, და ის მარკეტინგშიც შედის. ქართულში კი იმ ფაქტის უარყოფით, რომ მხოლოდ პიარში შედის, პასუხი ეთანხმება ნაგულისხმევ აზრს: ის ორივეში შედის – პიარშიც და მარკეტინგშიც.

მამასადამე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართულში უარყოფას უფრო ექოს ფუნქცია აქვს და ინფერენციებს და იმპლიკაციებს უარყოფს და არა ღიად გამოთქმულ მოსაზრებას.

The following paper addresses the issues of certain implicit and inferential functions of negating particle (*no / not / ara / ar*) in English and Georgian. The research discusses some interesting examples.

The frequency of usage of negative article *No / Not / ara / ar* is higher in Georgian than in English. This could be conditioned by the fact that negative article *no/not* has the functions of polarity, echo, emphasis, intensification and even a gap filler.

For instance, Georgian might use echoic negation, in so-called *yes-no* answers. The following case is an instance of echoic usage of *no/not* in Georgian:

- zalian gadatvirtuli kalakia.

- xo, ara, zalian gadaṭvirṭuli ḳučebia.
- The city is too busy.
- Yes, *no, the streets are too congested.

The above *yes-no* is an echoic answer to an implied statement that it is no longer bearable to live in such a congested city. While, *yes* agrees with the statement that the city is busy, *no* refers to the implication that it is unbearable to live there. Therefore, *no* has sub-cognitive function in this case, i.e. negating implication and not the uttered statement.

The following is a further case of *No / Not* as an implication negator:

- es saḳitxi PR-ši šedis?
- ara, marḳeṭingšic šedis.
- Does this issue belong to PR?
- No, it belongs to marketing as well (meaning: it belongs to both).

In English, the usual reply would be: yes, and it belongs to PR as well. Whereas, in Georgian by negating the idea of belonging only to PR, the reply agrees with the implied fact that it actually belongs to both, PR and marketing.

Therefore, we could state that in Georgian negation has the echoic function of negating the implications and inferences rather than the function of negating the openly stated facts.

ენის სტანდარტიზაციის პროცესებთან დაკავშირებული
კონფლიქტების მეტაკოგნიტიური მართვის შესაძლებლობები

Potentials for Metacognitive Management of Conflicts Related to
Language Standardization Processes

ალექსანდრე რუსეცკი
Alexander Rusetsky

მშვიდობის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მეტაკოგნიტიური მართვის ინსტიტუტი

International University for Peace
Institute for Metacognitive Management

საკვანძო სიტყვები: ენის სტანდარტიზაცია, კონფლიქტი, მეტაკოგნიტიური მართვა,
პოზიტიური ტრანსფორმაცია.

Keywords: Language standardization, conflict, metacognitive management, positive transformation.

ენის სტანდარტიზაციის პროცესს თან სდევს სხვადასხვა ტიპის კონფლიქტი, რაც მოითხოვს შესაბამის მონიტორინგს, შეფასებას და მართვას. საუბარია როგორც პროცესის შიგნით არსებულ პროფესიონალურ თუ ინტერპერსონალურ კონფლიქტებზე, ასევე გარემოში არსებულ დაპირისპირებათა პროეცირებაზე, პროცესის მონაწილეებზე. მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის ომით გახლეჩილ სოციუმში მიმდინარე სტანდარტიზაციის პარალელური პროცესები, რომლებიც ხშირად წარმოადგენენ პოლიტიკური კონფლიქტის მკვეზავ ძალას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოლიტიკური ენის სტანდარტიზაციის საკითხი, რომელიც მოითხოვს ენათმეცნიერების, პოლიტოლოგიებისა და სხვა დარგთა სპეციალისტების აქტიურ თანამშრომლობას. 35 წლის განმავლობაში მიმდინარე „სამშვიდობო“ პროცესები არასაკმარისადაა უზრუნველყოფილი „მოლაპარაკებებით მოლაპარაკების ენასთან მიმართებაში“. აგრესიული ტერმინოლოგია წარმოადგენს კონფლიქტური აზროვნების შედეგს, ამიტომაც კონფლიქტები არ/ვერ გვარდება და იღებს სახიფათო ფორმებს. ჩამოთვლილი პრობლემის გაუცნობიერებლობა და არალიარება ქმნის დამატებით საფრთხეებს.

კვლევის მიზანია ენის სტანდარტიზაციის პროცესთან დაკავშირებული კონფლიქტებიდან მომავალი საფრთხეების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების მეტაკოგნიტიური მართვის მექანიზმების შემოთავაზება; ენათმეცნიერთა ინტეგრაცია სამშვიდობო პოლიტიკასა და კოგნიტიური უსაფრთხოების ეროვნულ პოლიტიკაში. კვლევის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფისთვის გამოყენებულია კონფლიქტების მეტაკოგნიტიური მართვის თეორიის საფუძვლები:

- საფრთხეების დაფიქსირება ჯონ ფლეიველის მეტაკოგნიტიური მონიტორინგისა და შეფასების მიდგომის გამოყენებით;
- STI-ECA ჰოლისტური მოდელი (კვლევა; კვლევის შედეგების ტექნოლოგიური გამოყენებისა და ინოვაციური პროცესის ორგანიზება; მათი დანერგვა განათლების სისტემაში (სპეციალური კადრების მომზადება); პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაცია და პოლიტიკური ადმინისტრირების ტრანსფორმირება);
- მეტადიპლომატიის კონცეპცია, რომელიც მოიცავს სამეცნიერო და სხვა ტიპის სუბდიპლომატიათა ერთიან შესაძლებლობებს;
- „მეტამშვიდობის თეზაურუსი“ – ენის პოზიტიური სტანდარტიზაციის პრაქტიკული შედეგი.

აღსანიშნავია შემდეგი:

- ენის სტანდარტიზაციის პროცესი შესაძლებელია იყოს განხილული როგორც სამშვიდობო პროცესების ხელშემწყობი მექანიზმი და დღემდე გამოუყენებელი რესურსი.
- როგორც სტანდარტიზაციის ერთ-ერთი პროდუქტი განიხილება დღემდე გამოუყენებელი „მეტამშვიდობის თეზაურუსის“ მეთოდი.
- სამეცნიერო დიპლომატიის ქვემომართულების („ლინგვოდიპლომატიის“) პოპულარიზების შედეგად ენათმეცნიერები აქტიურად ჩაერთვებიან სამშვიდობო პროცესებში.
- საგანმანათლებლო პროგრამების „ლინგვოკონფლიქტოლოგიური აუდიტი“ გაზრდიდა მათ ხარისხს და ხელს შეუწყობდა: კოგნიტიური ლინგვისტიკის, ლინგვოკონფლიქტოლოგიის, პოლიტიკური ლინგვისტიკის, პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის, პოლიტიკური ნეოლოგიის, მეტაკოგნიტიური მართვის მაღალი დონის სპეციალისტების ახალი თაობის შექმნას.

The language standardization process is accompanied by various types of conflicts, which require appropriate monitoring, assessment and management. We are talking about both professional and interpersonal conflicts within the process, as well as the projection of the conflicts existing in the environment onto the participants in the process. An important problem is the parallel processes of standardization taking place in a war-torn society, which often represent a feeding force for political conflict. Of particular interest is the issue of standardization of political language, which requires the cooperation of linguists, political scientists and specialists from other fields. The “peace” processes that have been ongoing for 35 years have not been ensured by “negotiations in relation to the language of negotiation”. Aggressive terminology is the result of conflictual thinking, which is why conflicts are not/cannot be resolved. Ignorance and non-recognition of the above problem create additional threats.

The aim of the study is to identify the threats arising from conflicts related to the language standardization process and to propose metacognitive management mechanisms for responding to them. Integration of linguists into peace politics and national cognitive security policies. The foundations of the theory of metacognitive conflict management are used for the methodological support of the study:

- Threat detection using John Flavell's metacognitive monitoring and assessment approach;
- STI-ECA holistic model (research; organization of the technological application of research results and the innovation process; their implementation in the education system (training of specialized personnel); transformation of political culture and transformation of political administration).

- The concept of metadiplomacy, which includes the unified capabilities of scientific and other types of sub-diplomacy;

- Metapeace thesaurus.

Conclusion:

- The process of language standardization can be considered as a mechanism to facilitate peace processes and a resource that has not been used yet.

- The method of the meta-peace thesaurus, which has not been used yet, is considered as one of the products of standardization.

- As a result of the popularization of the sub-direction of scientific diplomacy (“linguo-diplomacy”), linguists will be actively involved in peace processes.

- The “linguo-conflictological audit” of educational programs would increase their quality and contribute to the creation of a new generation of high-level specialists in: cognitive linguistics; linguo-conflictology, political linguistics; political psycholinguistics; political neology; metacognitive management.

დამოკიდებული წინადადების ორაზროვნების ახსნა
ინგლისური ენის სპარსულენოვანი შემსწავლელებისათვის

Ambiguity Resolution of Relative Clause Ambiguity by Persian Learners of English

მოჰამად სალეჰი
Mohammad Salehi

შარიფის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, თეირანი

Sharif University of Technology, Tehran

საკვანძო სიტყვები: რეაქცია, დამოკიდებული წინადადების ორაზროვნების ამოხსნა, დამოუკი-
დებელი მუშაობა კითხვაზე.

Keywords: Reaction time, relative clause ambiguity resolution, self-paced reading.

There is a burgeoning of ambiguity research in the literature. Syntactic type of ambiguity, among other types of ambiguity, has also been researched. Relative clause ambiguity as a particular of syntactic ambiguity is particularly of significance as it lends itself to cross-linguistic variation. While there have been research studies conducted on different languages, Persian has rarely been exposed to scrutiny in terms of ambiguity resolution using online processing. The current study was an attempt to address the gap in the literature and to that end used both offline and online methods to investigate to find out how Persian learners of English resolve relative clause ambiguity. High attachment and low attachment were tested in this research. English native speakers exhibit a preference for low attachment which has also been termed Late Closure. Languages have been classified based on either NP1 preference or NP2 preference. Languages like German, Dutch, French, Persian and Russian are said to have NP1 preference. On the other hand, languages like English, Norwegian, Swedish, and Romanian are said to prefer NP2 attachment. We wanted to test if Persian learners of English transfer L1 strategies to L2 (English) situation. 24 participants took part in the current study. The results of the offline study showed that Persian learners of English transferred their native language strategies to L2 learning situations. However, the results of the online study showed that the participants did not transfer their native language preferences to the L2 situation. Moreover, the lexical properties of words did not influence these learners' ambiguity resolution strategies. Reasons for the findings will be discussed in the presentation.

დიალექტი და სალიტერატურო ენის ნორმა

Dialect and Literary Language Norm

რუსუდან საღინაძე, ციალა ბენდელიანი
Rusudan Saghinadze, Tsiala Bendeliani

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Akaki Tsereteli State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ენა, მეტყველება, ენობრივი ფორმა, ნორმა, დიალექტიზმი.
Keywords: Language, speech, linguistic form, norm, dialectism.

დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის მუდმივად არსებობს ურთიერთშეცვლადი პროცესები. დიალექტური მეტყველების, ანუ, როგორც მას ილია ჭავჭავაძე უწოდებდა, „ხალხის სამუდამო სალაპარაკო ენის“, მიმართება სალიტერატურო ენასთან ინტერესს იწვევდა ყოველთვის და იწვევს დღესაც.

თუ გადავხედავთ მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საფეხურებს, გაჩნდება კითხვა: არის თუ არა ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ძეგლებში დიალექტური ან სასაუბრო ენის ფორმები?

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებულობას განაპირობებდა მწერლობის მისიისადმი, გადმოსაცემი ინფორმაციის, ისტორიული პირების, წმინდანებისადმი დამოკიდებულება. ნორმირებულობის ის დონე, რომელსაც ავლენს ქართული სალიტერატურო ენა მრავალი საუკუნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვლეულია ამ მოვლენის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები, დღეს გაკვირვებას იწვევს. ამასთან, ფაქტია, რომ გვიძნელდება ძველ ქართულ კლასიკურ სამწერლობო ენაში დიალექტური ან სასაუბრო ენის ფორმათა გამოყოფა.

კლასიკური ხანის ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ენა, განსაკუთრებით V-VIII საუკუნეებისა, მკაცრად არის ნორმირებული. მიუხედავად ამისა, მწერალ ნოდარ წულუისკირს შენიშნული აქვს იოანე საბანისძის „აბოს წამების“ სინტაქსის თავისებურება. მისი აზრით, ძეგლის ენა არ არის სახარების ენა, უფრო ხალხური (ქართლ-კახური), „გრძელი მუხლადი მეტყველება“. იგი მოგვითხრობს არა მარტივი, მოკლე წინადადებებით, არამედ იყენებს „რთულ, მაღალფარდოვან, ხატოვან, მოქნულ ნამდვილ ქართულ წინადადებებს“.

როგორც ცნობილია, IX-X საუკუნეებიდან თავი იჩინა ქართულ სალიტერატურო ენაში ისეთმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, როგორებიცაა: მომავალი დროის გამოხატვა, ასპექტის წარმოება... ეს უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ცვლილებები არ შეიძლებოდა მხოლოდ სამწიგნობრო მოვლენა ყოფილიყო. მას უცილოდ უძღოდა წინ განმაპირობებელ ფაქტორთა წყება. მათ შორისაა საგულვეტელი სამეტყველო ენასთან დაახლოება, რაც შემდგომში გენიალურად გამოიხატა ენობრივი ერთიანობისა და ინოვაციების ამსახველ შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“.

ენაში, ზოგადად, ყოველთვის მრავლად არის ისეთი ფორმები, რომლებიც ერთმანეთისგან სხვაობენ მაწარმოებელ აფიქსთა მიხედვით, მაგრამ მნიშვნელობა ერთი და იგივე აქვთ. სალიტერატურო ენა ასეთ ფორმათაგან ირჩევს რომელიმე ერთს ან, ზოგ შემთხვევაში, მათ პარალელურად არსებობის უფლებას ანიჭებს, ზოგჯერ კი მკვეთრად არის გარჩეული სალიტერატურო ენის ფორმები და დიალექტიზმები. ასეთ შემთხვევაში მათი მოხმარება სტრატეგიკაციულსა და სიტუაციურ ვარიანტულობას უკავშირდება, ისინი ნებისმიერად არ ენაცვლებიან ერთმანეთს. მაგალითად, პარალელურ ფორმათაგან აიჩეჩს || აიჩეჩავს (ქეოლი, 1998, 35) მყარ გამოთქმაში არის უთემისნიშნო ფორმა: „აიჩეჩს მხრებს“ (ქეგლი). აიჩეჩს ერთადერთი მართებული ფორმაა ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ 1968 წლის გამოცემის მიხედვით.

არის ისეთი შემთხვევებიც, რომელთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ენობრივ სისტემაში არსებულ დიალექტურ თუ სალიტერატურო ფორმებს აკლიათ სემანტიკური ნიუანსის კონკრეტულობა, მნიშვნელობით ერთნაირები არიან, მაგრამ გრამატიკულად ავსებენ დიალექტური სისტემის ხარვეზს. ასეთია, მაგალითად: სალიტ. ისვრის (ერთგზისი) და დიალექტ. სროლავს (ერთგზისი) და სროულობს (მრავალგზისი); სალიტ. შოულობს (მრავალგზისი) და დიალექტ. შონავს (ერთგზისი) და შოვნილობს (მრავალგზისი).

მოხსენებაში გახილული იქნება დიალექტისა და სალიტერატურო ენის მიმართების ამსახველი ვრცელი მასალა.

There have always been constantly reciprocal processes between dialect and literary language.

The relationship between dialectal speech, or as Ilia Chavchavadze called it, "the eternal spoken language of the people," and the literary language was the subject of people's interest in the past as well as today.

If we look at the stages of development of the centuries-old Georgian literary language, the following question would arise: are there dialectal or colloquial language forms in the monuments of ancient Georgian classical writing?

The normativity of the ancient Georgian literary language was determined by the attitude towards the mission of writing, the information to be conveyed, historical figures, and Saints. The level of normativity that the Georgian literary language has demonstrated for many centuries, despite the fact that the linguistic and extralinguistic factors of this phenomenon have been studied in scientific literature, is surprising today. In addition, it is a fact that it is difficult to distinguish dialectal or colloquial forms of the ancient Georgian classical written language.

The language of Georgian hagiographic writings of the classical period, especially of the 5th-8th centuries, is strictly regulated. Nevertheless, the writer Nodar Tsuleiskiri has noted the peculiarity of the syntax of Ioane Sabanidze's "The Martyrdom of ST.Abo". In his opinion, the language of the monument is not the language of the Gospels, but rather a folk (Kartli-Kakhetian), "long-utterance speech". It tells us not in simple, short sentences, but uses "complex, highly developed, figurative, flexible real Georgian sentences".

As it is known, from the 9th-10th centuries, there were structural changes such as: expressing the future tense, aspect formation... These important structural changes could not have been solely a literary event. They were undoubtedly preceded by a series of determining factors. Among them is the rapprochement with the spoken language, which was later brilliantly expressed in Shota Rustaveli's poem "The Knight in the Leopard Skin", reflecting linguistic unity and innovation.

In general, there are always many forms in a language that differ from each other according to the generating affixes, but have the same meaning. The literary language chooses one of these forms or, in some cases, allows them to exist in parallel, and sometimes the forms of the literary language and dialectisms are clearly distinguished. In such cases, their use is related to stratification and situational variation; they do not replace each other in any way. For example, from the parallel forms **aičečs** || **aičečavs** (Keol, 1998, 35) in a solid expression there is a non-thematic form: "aichechs mkhrebs" (Kegl). The only correct form of **aičečs** is in the 1968 edition of V. Topuria, Iv. Gigineishvili's "Orthographic Dictionary of the Georgian Language".

There are also cases according to which it becomes clear that dialectal or literary forms existing in the language system lack the concreteness of semantic nuance, they are the same in meaning, but grammatically fill the gap of the dialectal system. Such are, for example: Lit. **isvris** (single) and dialect. **srolavs** (single) and **sroulobs** (multiple); Lit. **šoulobs** (multiple) and dialect. **šonavs** (single) and **šovnilobs** (multiple).

The report will present extensive material reflecting the correlation between dialect and literary language.

ერთი ტიპის რთულ სიტყვათა დაწერილობისთვის¹

For Spelling of One Type of Compound Words

თეა ტეტელოშვილი
Tea Teteloshvili

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: კომპოზიტი, მართლწერა, „შორის“ თანდებული.

keywords: Compound noun, spelling, postposition *šoris* (between).

¹ მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია (SL-24-157) – ფარგლებში.

„შორის“ ცალკე მდგომი თანდებულია, თუმცა არცთუ იშვიათად იგი მონაწილეობს ახალი ლექსიკური ერთეულის, კომპოზიტის, შექმნაში; მისი მეორე ნაწილია და პირველთან ერთად უდევსოდ იწერება. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველაფერი გარკვეულია, ასეთი რთული სახელები დაწერილობის მხრივ საინტერესო მრავალფეროვნებას გვიჩვენებენ. საანალიზო მასალისთვის გავითვალისწინეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8-ტომეული), ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ინტერნეტრესურსები და სხვ.

კვლევამ აჩვენა, რომ დაწერილობის მხრივ გვხვდება როგორც მართებული, ერთად დაწერილი (მაგ., უწყებათაშორისი), ფორმები, ასევე დევსით (მაგ., ჯიშთა-შორისი) ან ორ სიტყვად (მაგ., უწყებათა შორისი) წარმოდგენილი ვარიანტებიც.

ერთად დაწერის შემთხვევაში კი ყურადღებას იქცევს კომპოზიტის პირველი ნაწილის სხვადასხვა ფორმა. კერძოდ, მაგალითებში რთული სიტყვის პირველი კომპონენტი დადასტურდა: (1) მხოლოდით რიცხვში, ბრუნვის ნიშნის გარეშე (სართულშორისი, უჯრედშორისი...); (2) ებიან მრავლობითში, ბრუნვის ნიშნის გარეშე (საზღვრებშორისი, ქვეყნებშორისი...); (3) ებიან მრავლობითში, „ს“ ბრუნვის ნიშნის შენარჩუნებით (რეგიონებსშორისი, ტაიმებსშორისი...); (4) თანაინ მრავლობითში, სავრცობი „ა“-ს გარეშე (ბიბლიოთეკათშორისი, ბირჟათშორისი); (5) თანაინ მრავლობითში, სავრცობი „ა“-ს შენარჩუნებით (ბანკათშორისი, ძვალათშორისი...).

რაოდენობრივად ყველაზე ნაკლებია (მხოლოდ რამდენიმე ერთეულია) მესამე ვარიანტი, ასევე ცოტაა პირველ ჯგუფში გათვალისწინებული სიტყვები. დანარჩენები შედარებით ხშირად გვხვდება.

ზემოთ დადასტურებული შემთხვევებიდან, ჩვენი აზრით, მხოლოდით რიცხვში მდგარი პირველკომპონენტის ვარიანტები საერთოდ უგულვებელსაყოფია, რამდენადაც „შორის“ თანდებულის სემანტიკა ორ ან მეტ საგანს მოიაზრებს. ასევე მიუღებლად მიგვაჩნია ისეთი რთული სიტყვები, რომელთა პირველი ნაწილი მიცემითი ბრუნვის სუფიქს „ს“-ს იწარჩუნებს.

რაც შეეხება თანაინ მრავლობითის გავრცობილ და გაუვრცობელ ფორმებს, ვფიქრობთ, ორივე მისაღებია, თუმცა ენა მცირე უპირატესობას ანიჭებს გავრცობილი ვარიანტების გამოყენებას მიღებული რთული სახელის დერივაციისას. მაგ., საეროვნებათაშორისო, სამთავრობათაშორისო, საქალაქთაშორისო...

ლიტერატურა

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ. (1986). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 148-157, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ. (1998). ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8-ტომეული), (1950-1964), <https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>

ქართული ენის ეროვნული კორპუსი, <http://gnc.gov.ge/gnc/page>

šoris (between) is the single-word postposition, but however, as the second part of the word, **šoris** not infrequently participates in composing of a compound noun and is written together with the first one without a hyphen. Despite everything seems to be clear, such compound names show an interesting variety of spelling.

The study revealed that in examples there are both correct forms – written together (e.g., **uq̄gebatašorisi**; inter-organizational), as well as incorrect variants with a hyphen (e.g., **žišta-šorisi**; inter-types) or written separately in two words (e.g., **uq̄gebata šorisi**; inter-organizational).

In the examples while writing together different forms of the first part of composites attract attention. Concretely, there were the first components of the compound words: (1) in the singular, without a case marker (*sartulšorisi*; inter-floors); (2) in the plural (marked with **-eb**), without a case ending (**ḳveḳneḳšorisi**; inter-countries); (3) in the plural (marked with **-eb**), preserving the case marker – "s" (**regioneḳšorisi**; inter-regions); (4) in the plural (marked with **-t**), without the emphatic vowel "a" (**biblioteḳaḳšorisi**; inter-libraries); (5) in the plural (marked with **-t**), preserving the emphatic vowel "a" (**banḳtašorisi**; inter-banks).

In my opinion, from the above-mentioned cases the variant with the first component in the singular is completely unacceptable, since the semantics of a postposition **šoris** (**between**) implies two or more objects. We also consider unacceptable such compound words, the first part of which retains the dative suffix –"s".

As for the plural forms extended by emphatic "a" or without it, both of them have to be allowed, although the language prefers a bit more to use compound names with extended variants for derivation. For example, **saerovneḳbatašoriso** (inter-ethnics), **samtavrobatašoriso** (inter-governmental), **saḳalaḳtašoriso** (inter-cities) ...

References

Topuria V., Gigineishvili iv. (1998). *Kartuli enis ortograpiuli leksikoni*. [Orthographic Dictionary of the Georgian Language]. Tbilisi: Publishing house "Education".

Topuria V., Gigineishvili iv. (1986). *Tanamedrove kartuli saliteraturo enis normeḳi*.

[Norms of the Modern Georgian Literary Language]. 148-157. Tbilisi: publishing house "Science".

Kartuli enis ganmartebiti leḳsikoni [Explanatory dictionary of the Georgian language] (8-volume), (1950-1964), <https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>

Kartuli erovnuli korpusi [The Georgian National Corpus], <http://gnc.gov.ge/gnc/page>

ანტიკური ხანის საკუთარი სახელები თანამედროვე ქართულ
სალიტერატურო ენაში

Ancient Proper Names in Modern Literary Georgian

ნანა ტონია
Nana Tonya

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ანტიკური, მითოლოგიური, ტერმინოლოგიური, ცნობიერება.
Keywords: Ancient, mythological, terminological, consciousness.

უკანასკნელი პერიოდის ლიტერატურულ პროცესებში ანტიკური ხანის მწერლობისადმი განსაკუთრებული ინტერესი შეიმჩნევა. ეს ეხება, ერთი მხრივ, ძველი ბერძნული და რომაული მხატვრული ლიტერატურის, ასევე ისტორიოგრაფიული, ფილოსოფიური, სამართალმცოდნეობითი თუ სხვა ხასიათის ძეგლთა უშუალოდ ორიგინალიდან ქართულ ენაზე თარგმნის ინტენსივობას, რომელშიც ჩართულნი არიან პროფესიონალი მთარგმნელები; მეორე მხრივ, გამომცემლობათა მიერ ლიცენზირებული მითოლოგიური, ლექსიკოგრაფიული თუ ანტიკურობის რეცეფციებით შექმნილი თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ნიმუშთა თარგმანების მოზღვავებას, რაც ევროპული ენებიდან ხორციელდება და რაშიც ნაკლებად არიან ჩართულნი პროფესიონალები კლასიკური განათლებით.

საგულისხმოა, რომ იმ წლებმა, რომლებიც რუსულ შემოქმედებით სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობით ხასიათდებოდა, თავისი გავლენა იქონია ქართულ მენტალიტეტზე. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ რუსულ მხატვრულ თუ ფილოსოფიურ აზროვნებაში დაუხანებელივ არეკლილი ევროპული ლიტერატურული პროცესების თანაზიარი ხდებოდა ქართული განათლებული საზოგადოება. მაგრამ ამ თანაზიარობის გამო დაზარალდა ის ტრადიცია, რომელიც ქართულ სალიტერატურო ცნობიერებას გააჩნდა ბერძნულ და რომაულ საკუთარ სახელთა თუ ტერმინთა გადმოტანის თაობაზე. ამ ტრადიციას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა მე-11 საუკუნე, როდესაც შავ მთაზე ქართველი მოღვაწეები იწყებენ ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურის თარგმნასა და კომენტირებას, რაც შემდგომ ღრმავდება სხვა ქართულ საგანმანათლებლო ცენტრებში.

მე-18 საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში იმდღავრა რა ქართულ-რუსულმა კულტურულმა ურთიერთობებმა, დიდი აღმოჩნდა რუსული ენის გავლენა, რომელმაც თავისი დალი დაასვა ტერმინოლოგიურ მხარესაც. კერძოდ, ქართულ ენაში გაბატონდა რუსულ მთარგმნელობით პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი, რაც საკუთარ სახელთა ფუძისეული ფორმით გადმოტანას გულისხმობდა.

დღეს, როდესაც ანტიკურობისადმი ინტერესმა იმატა არა მხოლოდ მთარგმნელობით, არამედ ორიგინალურ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, აუცილებლობა მოითხოვს საკუთარ სახელთა და ტერმინთა გადმოტანის იმ ნორმათა გათვალისწინებას, რომლებიც ტრადიციულია ქართული მენტალობისთვის.

Recent literary processes have revealed a revived interest towards ancient literature: on the one hand, we have abundant translations of ancient Greek and Roman fiction as well as historiographical, philosophical, jurisprudential and other monuments directly from the original into Georgian carried out with the involvement of professional translators, and, on the other hand, the market has been inundated with translations of contemporary literary works created through mythological, lexicographic or ancient receptions that are licensed by publishing houses and are carried out from European languages with little to no involvement of professionals with the background of classical studies.

Importantly, the years of intense interactions with the Russian creative world had their own impact on the Georgian mentality. This impact is obviously significant considering the fact that through these interactions the Georgian learnt society became participant of the European literary processes that were invariably reflected in Russian artistic and philosophical thought. However, this process had also affected the tradition of rendering Greek and Roman proper names and terms into the Georgian language that had been deeply rooted in the Georgian literary consciousness. The most significant milestone of this centuries-old tradition was the 11th century, when Georgian figures on

the Black Mountain (Syria) began translating and commenting on philosophical and theological works, the process that extended further to other Georgian educational centres.

Starting from the 18th century, the strengthening of Georgian-Russian cultural relations propelled the influence of the Russian language upon Georgian, which impinged negatively the terminological aspect as well. In particular, the rule established among Russian translators to render proper names in their original root form prevailed in the Georgian language as well.

Today, when the interest towards antiquity has grown not only in the translated, but also in the original Georgian fiction, it is necessary to take into account the norms traditional for the Georgian mentality when rendering proper names and terms into Georgian.

რამდენიმე დანართი სახელითა და გვარით წარმოდგენილ
საზღვრულთან

Several Adjuncts with the Head Word Presented as a Full Name

ნათია ტყემალაძე
Natia Tkemaladze

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ქართული ენა, დანართი, საზღვრული.
Keywords: The modern Georgian language, adjunct, head word.

თანამედროვე ქართულში ხშირად დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა სახელითა და გვარით წარმოდგენილ საზღვრულს ახლავს „ბატონი“ ან „ქალბატონი“ და ასევე – პროფესია-საქმიანობის აღმნიშვნელი დანართი თავისი სუბსტანტიური მსაზღვრელითურთ. ვითარება ნაირგვარია როგორც მსაზღვრელ-საზღვრულთა შეთანხმების, ისე პუნქტუაციის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი დანართის ფუძეგაფორმებულად წარმოდგენა სახ., მოთხრ. და წოდ. ბრუნვებში ქართულისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა (შეთანხმების ტიპობრივი ნიმუშია), ხოლო მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ისინი ფუძის სახით უკავშირდებიან თავიანთ საზღვრულებს, „ბატონი“ და „ქალბატონი“ კი საკუთარ სახელებთან ბრუნებისას ინარჩუნებს -ი ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. თუ აღნიშნული წესი ირღვევა და დანართი სრულად ფორმდება შესაბამისი ნიშნებით დასახელებულ ბრუნვებშიც (მიც., ნათ., მოქმ. და ვით.), იგი (დანართი), ბუნებრივია, ტირეთი ან მძიმით გაემიჯნება საზღვრულს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განკერძოებული (მაშასადამე, ტირეთი ან მძიმით გამოყოფილი) დანართი სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითშიც არაერთგზის დასტურდება, მაგ., სახ. განათლების მინისტრი ბატონი გიორგი გიორგობიანი // განათლების მინისტრი, ბატონი გიორგი გიორგობიანი // განათლების მინისტრი – ბატონი გიორგი გიორგობიანი; მოთხრ. განათლების მინისტრმა ბატონმა გიორგი გიორგობიანმა // განათლების მინისტრმა, ბატონმა გიორგი გიორგობიანმა // განათლების მინისტრმა – ბატონმა გიორგი გიორგობიანმა; მიც. განათლების მინისტრ ბატონ გიორგი გიორგობიანს // განათლების მინისტრს, ბატონ გიორგი გიორგობიანს // განათლების მინისტრს – ბატონ გიორგი გიორგობიანს; ნათ. განათლების მინისტრ ბატონი გიორგი გიორგობიანის // განათლების მინისტრის, ბატონი გიორგი გიორგობიანის // განათლების მინისტრის – ბატონი გიორგი გიორგობიანის; მოქმ. განათლების მინისტრ ბატონი გიორგი გიორგობიანით // განათლების მინისტრით, ბატონი გიორგი გიორგობიანით // განათლების მინისტრით – ბატონი გიორგი გიორგობიანით; ვით. განათლების მინისტრ ბატონ გიორგი გიორგობიანად // განათლების მინისტრად, ბატონ გიორგი გიორგობიანად // განათლების მინისტრად – ბატონ გიორგი გიორგობიანად, წოდ. განათლების მინისტრო ბატონო გიორგი გიორგობიანო // განათლების მინისტრო, ბატონო გიორგი გიორგობიანო // განათლების მინისტრო – ბატონო გიორგი გიორგობიანო...

როცა პირველი მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია (მაგ., მეთვალყურე), ის ფორმაუცვლელად შეეწყობა საზღვრულს, თუმცა ბრუნვის ნიშნებით გაფორმებული და, შესაბამისად, განკერძოებული ვარიანტები (მოთხრ. ბრუნვიდან მოყოლებული) ამ შემთხვევაშიც დასტურდება: სახ. გამოცდების მეთვალყურე ქალბატონი თაია ხელაშვილი // გამოცდების მეთვალყურე, ქალბატონი თაია ხელაშვილი // გამოცდების მეთვალყურე – ქალბატონი თაია ხელაშვილი; მოთხრ. გამოცდების მეთვალყურე ქალბატონმა თაია ხელაშვილმა // გამოცდების მეთვალყურემ, ქალბატონმა თაია ხელაშვილმა // გამოცდების მეთვალყურემ – ქალბატონმა თაია ხელაშვილმა; მიც. გამოცდების მეთვალყურე ქალბატონ თაია ხელაშვილს // გამოცდების მეთვალყურეს, ქალბატონ თაია ხელაშვილს // გამოცდების მეთვალყურეს – ქალბატონ თაია ხელაშვილს; ნათ. გამოცდების მეთვალყურე ქალბატონი თაია ხელაშვილის // გამოცდების მეთვალყურის, ქალბატონი თაია ხელაშვილის // გამოცდების მეთვალყურის – ქალბატონი თაია ხელაშვილის; მოქმ. გამოცდების მეთვალყურე ქალბატონი თაია ხელაშვილით // გამოცდების მეთვალყურით, ქალბატონი თაია ხელაშვილით // გამოცდების მეთვალყურით – ქალბატონი თაია ხელაშვილით; ვით. გამოცდების მეთვალყურე ქალბატონ თაია ხელაშვილად // გამოცდების მეთვალყურედ, ქალბატონ თაია ხელაშვილად // გამოცდების მეთვალყურედ – ქალბატონ თაია ხელაშვილად; წოდ. გამოცდების მეთვალყურე ქალბატონო თაია ხელაშვილო // გამოცდების მეთვალყურევ, ქალბატონო თაია ხელაშვილო // გამოცდების მეთვალყურევ – ქალბატონო თაია ხელაშვილო.

მოხსენებაში წარმოვადგენთ აღნიშნული ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულთა შეთანხმების ყველა ვარიანტს შესაბამისი რეკომენდაციებით.

ლიტერატურა

- აფრიდონიძე, შ. (2009). ჩვენი ენა ქართული, თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.
- ვაშაკიძე, თ. (2014). ერთი ტიპის დანართიანი სათაურის მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთოთხმეტე, თბილისი.
- ვაშაკიძე, თ. (2015). დანართიან და უდანართო სათაურ-სახელწოდებათა მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთხუთმეტე, თბილისი.
- კვაჭაძე, ლ. (2018). ქართული ენა, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.

In modern Georgian, the cases where the head words presented as a name and surname accompanied by batoni "Mr." or kalbatoni "Ms.", as well as an adjunct denoting a profession with its substantive attribute are attested quite often. The situation varies both in terms of the agreement of a modifier and the head word and the punctuation.

It is worth noting that the base-affixed presentation of an adjunct denoting a profession or a position is a common occurrence in the nominative, the ergative and the vocative case (it is a typical pattern of agreement), while in the dative, the possessive, the instrumental and the equative case, they are connected to their head words in the form of a base. batoni and kalbatoni retain the vowel case marker element -i in the possessive and the instrumental case when declined with the personal names. If this rule is violated and the adjunct is fully affixed in the mentioned cases (the dative, the possessive, the instrumental and the equative case), it will naturally be separated from the head word by a dash or a comma. However, it should also be noted that a separated (by a dash or a comma) adjunct is also common in the nominative, the ergative and the vocative case, e.g., ganatlebis ministri baṭoni giorgi giorgobiani // ganatlebis ministri, baṭoni giorgi giorgobiani // ganatlebis ministri – baṭoni giorgi giorgobiani “Minister of Education Mr. Giorgi Giorgobiani” (the nominative case); ganatlebis ministirma baṭonma giorgi giorgobianma // ganatlebis ministirma, baṭonma giorgi giorgobianma // ganatlebis ministirma – baṭonma giorgi giorgobianma “Minister of Education Mr. Giorgi Giorgobiani” (the ergative case); ganatlebis ministrs baṭon giorgi giorgobians // ganatlebis ministrs, baṭon giorgi giorgobians // ganatlebis ministrs – baṭon giorgi giorgobians “Minister of Education Mr. Giorgi Giorgobiani” (the dative case); ganatlebis ministris baṭoni giorgi giorgobianis // ganatlebis ministris, batoni giorgi giorgobianis // ganatlebis ministris – batoni giorgi giorgobianis “of Minister of Education Mr. Giorgi Giorgobiani” (the possessive case); ganatlebis ministr baṭoni giorgi giorgobianit // ganatlebis ministrit, baṭoni giorgi giorgobianit // ganatlebis ministrit – baṭoni giorgi giorgobianit “with Minister of Education Mr. Giorgi Giorgobiani” (the instrumental case); ganatlebis ministr baṭon giorgi giorgobianad // ganatlebis ministrad, baṭon giorgi giorgobianad // ganatlebis ministrad – baṭon giorgi giorgobianad “as Minister of Education Mr. Giorgi Giorgobiani” (the equative case); ganatlebis ministro batono giorgi giorgobiano // ganatlebis ministro, batono giorgi giorgobiano // ganatlebis ministro – baṭono giorgi giorgobiano “Minister of Education Mr. Giorgi Giorgobiani” (the vocative case).

When the first modifier has a vowel base (e.g., metvalKure “supervisor”), it will be unchanged in form with the head word, although the affixed and, accordingly, separated variants (from the ergative case) are also attested, e.g., gamotsdebis metvalqure kalbaṭoni taia xelaSvili // gamocdebis metvalqure, kalbaṭoni taia xelašvili // gamocdebis metvalqure – kalbaṭoni taia xelaSvili “Exam supervisor Ms. Taia Khelashvili” (the nominative case); gamocdebis metvalqure kalbaṭonma taia xelašvilma // gamocdebis metvalqurem, kalbaṭonma taia xelašvilma // gamocdebis metvalqurem – kalbaṭonma taia xelašvilma “Exam supervisor Ms. Taia Khelashvili” (the ergative case); gamocdebis metvalqure kalbaton taia xelašvils // gamocdebis metvalqures, kalbaton taia xelašvils // gamocdebis

metvalqures – kalbaton taia xelašvils “Exam supervisor Ms. Taia Khelashvili” (the dative case); gamocdebis metvalqure kalbaṭoni taia xelašvilis // gamocdebis metvalquris, kalbaṭoni taia xelašvilis // gamocdebis metvalquris – kalbaṭoni taia xelašvilis “of exam supervisor Ms. Taia Khelashvili” (the possessive case); gamocdebis metvalqure kalbaṭoni taia xelašvilit // gamocdebis metvalqurit, kalbaṭoni taia xelašvilit // gamocdebis metvalqurit – kalbaṭoni taia xelašvilit “with exam supervisor Ms. Taia Khelashvili” (the instrumental case); gamocdebis metvalqure kalbaṭon taia xelašvilad // gamocdebis metvalqured, kalbaṭon taia xelašvilad // gamocdebis metvalqured – kalbaṭon taia xelašvilad “as exam supervisor Ms. Taia Khelashvili” (the equative case); gamocdebis metvalqure kalbaṭono taia xelašvilo // gamocdebis metvalqurev, kalbaṭono taia xelašvilo // gamocdebis metvalqurev – kalbaṭono taia xelašvilo “Exam supervisor Ms. Taia Khelashvili” (the vocative case).

In the presentation, we will discuss all variants for the agreement of this type of modifier and the head word with relevant recommendations.

References

- Apridonidze, Sh. (2009).** Chveni ena kartuli. [Our Georgian Language]. Tbilisi: “Bakur Sulakauri Publishing House”.
- Vashakidze, T. (2014).** Erti tipis danartiani satauris martltserisatvis. [On the spelling of One Type of Titles with an Adjunct]. Tbilisi: Issues of Georgian Speech Culture, XIV.
- Vashakidze, T. (2015).** Danartian da udanarto sataur-sakheltsodebata martltserisatvis. [On the Spelling of Titles and Names with or without Adjuncts]. Tbilisi: Issues of Georgian Speech Culture, XV.
- Kvachadze, L. (2018).** Kartuli ena. [The Georgian Language]. Tbilisi: “Sakartvelos Matsne”.

ქართული ტერმინთბანკის ტექნიკური ამოცანები და
სამეცნიერო მიზნები

Technical Tasks and Scientific Goals of the Georgian Term Bank

ლია ქაროსანიძე, მაგდა დოლიძე
Lia Karosanidze, Magda Dolidze

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

ბეკა ტოკლიკიშვილი
Beka Toklikishvili

შპს ინტეგრალი

Integral LTD

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიური ბაზები, ქართული ტერმინთბანკი (ქტბ).

Keywords: Terminology, terminological databases, Georgian Term Bank (GTB).

2025 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ქართული ტერმინთბანკის გამოქვეყნების მხარდამჭერი. ქართული ტერმინთბანკის – ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების ელექტრონული ბაზის – კონცეფცია 2014-2015 წლებში შეიქმნა თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში; 2017 წელს გაიმართა მისი წარდგინება.

2023-2024 წლებში შეიქმნა ქართული ტერმინთბანკის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც მომზადდა საერთაშორისო სპეციალისტების კონსულტაციების საფუძველზე, საერთაშორისო ნორმებისა და დაცვითი სისტემების შესწავლისა და დანერგვის მეთოდების გათვალისწინებით. ქართული ტერმინთბანკის ტექნიკური ამოცანა ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს, მაგალითად, ისეთებს, როგორებიცაა: ისო 16642:2003 – *ტერმინოლოგიის კომპიუტერული პროგრამები – ტერმინოლოგიური მარკირების სტრუქტურა*; ISO 30042:2019(E) *ტერმინოლოგიური წყაროების მართვა – ტერმინოლოგიური ბაზების მიმოცვლა* (ტბმ) (TBX).

ქართული ტერმინთბანკის ვებგვერდის მიზანია უზრუნველყოს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების საერთო ბაზის (ქართული ტერმინთბანკის) მთავარი პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს (პროფესორებს, სტუდენტებს, მთარგმნელებს, მასწავლებლებს, მკვლევრებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებს, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს) მისცემს საშუალებას მოიძიოს სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგია ქართულად და მათი შესატყვისები სხვადასხვა ენაზე, ტერმინთა განმარტებები, მათი შექმნის ისტორია, ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული განახლებადი ბიბლიოგრაფია; მომხმარებელს პირველად ეძლევა საშუალება, გაეცნოს და იმუშაოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიური განყოფილების გამოუქვეყნებელ არქივზე, ტერმინოლოგიური მუშაობის ამსახველ მასალებზე, რომლებიც განთავსდება ტერმინთბანკის ერთ-ერთ ველში.

ქართული ტერმინთსაცავის ვებდეველოპერის დახმარებით იქმნება პროგრამული ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ტერმინოლოგიებისა და დარგის სპეციალისტების ეფექტურ, ქსელურ მუშაობას. CMS-ის სამართავი პანელი მოგვცემს საშუალებას, ყველა დარგის სპეციალისტთა ჯგუფს ჰყავდეს თავისი ადმინისტრატორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონკრეტული ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს ტექნიკურ თუ შინაარსობრივ მხარეზე. ამას გარდა, მთელ სამუშაო ჯგუფს ეყოლება მთავარი ადმინისტრატორი (მასალის საბოლოო რედაქციისათვის); იგი პასუხისმგებელი იქნება ინტერნეტსივრცეში გამოსაქვეყნებელ მასალაზე.

ქართული ტერმინთბანკის საცდელი პროგრამა გამოქვეყნდება 2025 წლის მაისში.

In 2025, Tbilisi State University became a supporter of the publication of the Georgian Term Bank. The concept of the Georgian Term Bank – an electronic database of Georgian field-specific terminological dictionaries – was developed between 2014 and 2015 at the Department of Bilingual Dictionaries and Scientific Terminology of the TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics. The presentation of the concept took place in 2017.

In 2023-2024, the technical documentation for the Georgian Term Bank was created. This documentation was developed in consultation with international experts, incorporating international standards and methodologies for studying and implementing security systems. The technical framework of the Georgian Term Bank is aligned with these international standards, namely, ISO 16642:2003 *Computer applications in terminology – Terminological markup framework* and ISO 30042:2019(E) *Management of terminology resources – TermBase eXchange* (TBX).

The goal of the Georgian Term Bank website is to serve as the central platform for the collection of Georgian field-specific terminological dictionaries. It will allow users (such as professors, students, translators, teachers, researchers, doctoral and master's students, as well as anyone interested) to

search for terminology across various fields in Georgian, find their equivalents in different languages, view definitions, learn about their historical development, and access an updated bibliography related to terminology. For the first time, users will also have the opportunity to explore and work with the unpublished archive of the Scientific Terminology Department of the Institute of Linguistics, which contains materials on terminological work. These materials will be included in one of the fields of the GeorgianTerm Bank.

With the help of the Georgian Terminology Web Developer, software tools are being created to ensure the effective, collaborative work of terminologists and field specialists. The CMS control panel will allow each group of field specialists to have its own administrator responsible for the technical or content aspects of their work. Additionally, a main administrator will oversee the entire project, ensuring the final review and publication of content on the platform.

The pilot version of the Georgian Term Bank is scheduled for release in May 2025.

In this report, we will discuss the technical objectives of the Georgian Term Bank and the planning aspects of scientific work.

ქართული გრამატიკული ტერმინების ინგლისურად
გადმოცემასთან დაკავშირებული სირთულეები

The Complexities of Translation of Georgian Grammatical Terms Into
English

რამაზ ქურდაძე
Ramaz Kurdadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული, ინგლისური, საენათმეცნიერო ტერმინოლოგია.
Keywords: Georgian, English, linguistic terminology.

ქართული ენის გრამატიკული თავისებურებების ინგლისურ ენაზე ადეკვატურად გადმოცემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელთათვის ამ თავისებურებების ზუსტი ტერმინებით მიწოდებას. რასაკვირველია, ბევრ შემთხვევაში საქმეს აიოლებს ის გარემოება, რომ ქართული გრამატიკის საკითხების ნაწილი საერთაშორისო ლინგვისტური ტერმინებით აღიწერება, თუმცა სხვაგვარი ვითარება გვაქვს მაშინ, როდესაც საკუთრივ ქართული გრამატიკული ტერმინების თარგმნაა საჭირო, რომელთა ანალოგი ინგლისურ და სხვა უცხო ენაში არა გვაქვს. ასეთ დროს სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა საშუალებას მიმართავს. ამის გამო ზოგ შემთხვევაში ერთი და იმავე ქართული ტერმინის რამდენიმე ვარიანტი გვხვდება ინგლისურში, რომელთაგან გასარკვევია, რომელია უფრო ზუსტი და მორგებული ქართული გრამატიკული მოვლენისათვის; ზოგ შემთხვევაში კი სხვა სახის სირთულეებიც იჩენს თავს, რის გამოც ინგლისურად თარგმნილი ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია ჩასწორებას ან კომენტირებას მოითხოვს.

ამ თვალსაზრისით მოხსენებაში განხილულია შემდეგი ქართული გრამატიკული ტერმინების ინგლისური ვარიანტები: *ოდნაობითი ხარისხი, სააქეთო და საიქეთო მიმართულების მაჩვენებელი ზმნისწინები, ძქვრივი, თემის ნიშანი, პირმიმართი და პირმიუმართავი დამატებანი, უბრალო დამატება, ჩართული.*

In order to adequately express the peculiarities of Georgian grammar in the English language, it is important to provide foreigners with accurate terms regarding these peculiarities. Naturally, in numerous cases, the issue is facilitated by the fact that a large portion of issues related to Georgian grammar are described by means of international linguistic terms. However, the situation is different when there is a need to translate the grammatical terms peculiar of Georgian only. Such terms are not found in English or any other foreign language. In such cases, different scholars apply different means. Therefore, there are several variants of one and the same Georgian term in English, and we should find out which of these variants is more accurate and adjustable to the Georgian grammatical phenomenon. In some cases, there are other difficulties, due to which the English translations of Georgian grammatical terms require corrections or comments.

Taking into account the above-mentioned, the paper analyzes the English variants of the Georgian grammatical terms indicating: *forms of adjective denoting slight similarity, preverbs denoting this way and that way directions, Georgian equivalent of tense, thematic marker, object referring to person and object not referring to person, simple object and parenthesis.*

პარადიგმათა შერევის ერთი შემთხვევისათვის ქართულში

On the Case of Mixing the Paradigms in Georgian

ვაჟა შენგელია
Vazha Shengelia

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: პარადიგმა, მცხოვრები, მაცხოვრებელი.

Keywords: Paradigm, mcxovrebi, macxovrebeli.

სიტყვა მცხოვრებ-ის მრავლობითი რიცხვი მოსალოდნელი მცხოვრებებ-ის ნაცვლად არის მცხოვრებლებ-ი; ლ-ს „გაჩენა“ მრავლობით რიცხვში აიხსნება ამჟამად განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ორი სიტყვის – მცხოვრები და მაცხოვრებელი – პარადიგმათა შერევით.

The plural of the word **mcxovrebi**-i "resident" is **mcxovreblebi**-i instead of the expected **mcxvreb-i**; the "emergence" of **l** in the plural is explained by the paradigm mixing of two words with different meanings (currently) – **mcxovrebi** "resident" and **macxovrebeli** "inhabitant".

მრავლობითობის -ებ ფორმანტი გეოგრაფიულ სახელებთან
თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში

The Plural -eb Formant at the Geographical Names in Modern
Speech

მანანა ჩაჩანიძე
Manana Chachanidze

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: მეტყველება, ენა, სასაუბრო მეტყველება.

Keywords: Speech, language, colloquial language.

მოხსენების საგანია თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში თავჩენილი ტენდენცია – გეოგრაფიულ სახელთა ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება.

როგორც ცნობილია, ადამიანთა თუ გეოგრაფიულ საკუთარ სახელებს მრავლობითის ფორმები არ გააჩნია. ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში არა გვაქვს ასპინძები, ბათუმები, თბილისები და მისთ. თუმცა თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ამ ტიპის წარმოების შემთხვევები – ხაზგასმულად უცხოურ გეოგრაფიულ სახელებთან მიმართებით. მაგ.: ევროპები, დონეცკები, მოსკოვები... (მთელი აფრიკის დიქტატორებს სორბონა-ოქსფორდებში უსწავლიათ და მერე შინ კი გიჟდებოდნენ – აკა მორჩილაძე)...

ამ ფორმების ხელოვნურობა ფაქტია: მრავლობითის ფორმები საკუთარი (გეოგრაფიული) სახელის პრაქტიკულად არარსებული შემთხვევებია ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში; მოდელურ დონეზე ამგვარი წარმოება ხელოვნურია; ფორმალური მრავლობითის წარმოებით ისინი სხვაგვარად, არაპირდაპირი მნიშვნელობით გაიაზრება; ამგვარი სახელები –ებ ფორმანტით უკვე არა საკუთარი, არამედ საზოგადო სახელებია: მოსკოვები ნიშნავს ქალაქებს, უფრო ზუსტად: აღნიშნავს რუსეთის ქალაქებს. –ებ ფორმანტი ასეთ შემთხვევებში (და სხვა ამგვარივე ფორმებშიც) მრავლობითის ნიადაგზე დაფუძნებული განმაზოგადებელი მნიშვნელობის მატარებელია.

რაც შეეხება დასახელებული ტიპის ფორმათა შინაარსობრივ მხარეს: ამ სახელთა ებიანი ფორმები მრავლობითს კი გულისხმობს, მაგრამ არა ძირეული სიტყვით დასახელებული ოდენობისა (მათი მრავლობითი რიცხვი უბრალოდ არ არსებობს!) – აღნიშნულ ფორმათა მრავლობითობაში მოიაზრება შესაბამისი ქვეყნის, მხარის სხვა ანალოგიური პუნქტები. ასე რომ – ევროპები ნიშნავს არა რამდენიმე, ბევრ ევროპას, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყანას, სახელმწიფოს, ევროპის ან ევროპულ ქვეყნებს; მოსკოვები ნიშნავს რუსეთის სხვადასხვა ქალაქს, მოსკოვსა და კიდევ სხვა ქალაქებს.

როგორც უხვი საილუსტრაციო მასალა მოწმობს, აღნიშნული წარმოების ფორმათა გააქტიურების საფუძველი ამჟამად ექსტრალინგვისტურია (და არა – საკუთრივ ლინგვისტური). ენის გამოყენების პრაგმატული ასპექტები – ლინგვომენტალური და ფსიქოლინგვისტური სპეციფიკა, ეკონომიურობის პრინციპი და ირონიული კონოტაცია – ამგვარ ფორმათა სიტუაციურ მიზანშეწონილობას სრულიად გასაგებს ხდის თანამედროვე სამეტყველო კომუნიკაციაში.

The subject of the paper is the emerging trend in modern colloquial speech – the use of geographical names in the plural form.

As is known, people's or geographical proper names do not have plural forms. In ordinary speech, we do not have **aspinzebi** Aspindzas, **batumebi** Batumis, **tbilisebi** Tbilisis, etc. However, in modern colloquial speech, cases of this formation type are quite often observed – especially in relation to foreign geographical names. So, for example: **evropebi** Europes, **doneckebi** Donetsks, **moskovebi** Moscows... (mteli aprikis diktaṭorebs **sorbona-okspordebṣi** usṣavliat da mere ṣin ḳi giṣdebodnen “*All the dictators of Africa studied at the **Sorbonnes-Oxfords** and then went crazy at home*” – Aka Morchiladze)...

The artificial nature of these forms is evident: plural forms of proper (geographical) names practically do not exist in ordinary speech; At the modal level, such formation is artificial; According to the formal plural formation, they are understood in a different, indirect sense; Such names with the **-eb** formant are no longer proper names, but common names: **moskovebi** Moscows implies cities, exactly: it denotes cities of Russia. The **-eb** formant in these cases (and in other similar forms) carries a generalizing meaning based on the plural.

As for the content of the forms of the named type: the forms of these nouns with **-eb** imply the plural, but not the number of the relevant basic word (their plural simply does not exist!). The

plural number of the mentioned forms includes other analogous parts of the corresponding country, region. So – **evropebi** Europes implies not several, many Europes, but various countries, states of Europe, European countries; **moskovebi** Moscows implies various cities of Russia, Moscow and other cities.

As abundant illustrative material testifies, the basis for the activation of the form of mentioned formation is clearly extralinguistic (and not –proper linguistics). The pragmatic aspects of language use – linguamental and psycholinguistic specificity, the principle of economy and ironic connotation make the situational expediency of such forms completely understandable in modern speech communication.

ხარისხის ფორმები უფროსი, უმცროსი
და მათი ვარიანტები ძველი და შუა საუკუნეების ტექსტების
მიხედვით

Degree Forms *uprosi (older)*, *umcrosi (younger)* and Their Variants
in Old and Medieval Texts

ნინო ჭუმბურიძე, მარიამ კიკონიშვილი
Nino Tchumburidze, Mariam Kikonishvili

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ხარისხის ფორმები, ძველი ქართული ტექსტები, შუა საუკუნეების ტექსტები.
Keywords: Forms of degree, old Georgian texts, medieval texts.

ანტონიმური წყვილი უფროსი და უმცროსი უფროობითი ხარისხის ფორმებია, წარმოქმნილი უ- -ოს მაწარმოებელთა დართვით. თანამედროვე მეტყველებაში ეს სახელები გამოიყენება მხოლოდ ადამიანის მიმართ. უფროსი გამოხატავს ასაკით ან თანამდებობით, წოდებით სხვაზე მეტს, უმცროსი – სხვაზე ნაკლებს. უფრო ფართო მნიშვნელობით გვხვდება ეს სახელები ძველსა და საშუალო საუკუნეების ქართულში. როგორც უფროსი, ასევე უმცროსი გვხვდება არამხოლოდ ადამიანის მსაზღვრელად და წლოვანების გარდა გამოხატავს რაოდენობის, ზომის, ღირსების ან მნიშვნელობის თვალსაზრისით მეტობას ან ნაკლებობას.

როგორც ძველ, ისე შუა საუკუნეების ტექსტებში უმცროსის პარალელურად გამოიყენება უმცირესი, რომელიც უფრო ძველი ფორმაა. მან, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, უფროსის გავლენით ი ხმოვანი დაკარგა და უმცროსი მოგვცა. ფორმები – უმცირესი და უმცროსი „დაშორდა ერთმანეთს მნიშვნელობის მხრით: უმცირესი – მცირეზე ნაკლები (საზოგადოდ), უმცროსი – ხნით ნაკლები“ (ა. შანიძე, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, 2024, 193).

რაც შეეხება უფროსს, ა. შანიძის აზრით, ის ფრ ფუძიდანაა ნაწარმოები (ამავე ფუძიდან არის წარმოქმნილი ფრ-იადი – მრავალი, დიდძალი).

ძველ ქართულში უფროსსა და უმცროსთან ერთად ამავე მნიშვნელობით დასტურდება უფროდ, უფროისი, უფროესი, უმცრო, უმცირედ, უმცროისი. მოხსენებაში განხილულია მათი გამოყენების შემთხვევები ძველი და შუა საუკუნეების ტექსტების მიხედვით. საინტერესო სურათს ქმნის უფროსისა და უმცროსის სინონიმური, სხვა ფუძეებით წარმოქმნილი, უფროობითი ხარისხის სახელები: უდიდესი, უზუცესი, უაღრესი, უმრწემესი, უნაკლულესი, უდარესი...

The antonymous pair **uprosi (older)** and **umcrosi (younger)** are forms of comparative degree, derived by means of circumfix **u- -os/u- -os/**. In contemporary Georgian, these adjectives refer solely to human beings. **uprosi (older)** denotes someone who is superior in age, rank or position, whereas **umcrosi** – denotes someone inferior. These nouns had a broader meaning in old and medieval Georgian. Both **uprosi (older)**, and **umcrosi (younger)** referred to human beings as well as inanimate objects. In addition to age, these adjectives expressed superiority or inferiority in quantity, size, dignity or importance.

In old and medieval Georgian texts, we find a parallel form of **umcrosi** – **umciresi (the least)**, which is an older form. Akaki Shanidze notes that this form lost the vowel **o /i/** under the influence of **uprosi** and finally yielded the form **umcrosi (younger)**. The forms **umciresi** and **umcrosi** “became semantically different: **umciresi** – (the least, in general) and **umcrosi** – younger“ (A. Shanidze, “Basics of Georgian Grammar“, 2024, 193).

As for the adjective form **uprosi**, A. Shanidze argues that it is derived from the stem **ფრ /pr/** (another word derived from this stem is **pr-iadi** (numerous)).

Other old Georgian parallel forms of the above-mentioned adjectives are: **uproj**, **uproisi**, **uproesi**, **umcro**, **umcirej**, **umcroisi**. The paper analyzes their usage in old and medieval Georgian texts. Mention should also be made of synonyms of **uprosi** and **umcrosi** that are derived from different stems and represent the superlative degree: **udidesi (largest)**, **uxucesi (oldest)**, **uayresi (most superior)**, **umrçemesi (youngest)**, **unaqlulesi (most perfect)**, **udaresi (most inferior)**...

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა

Electronic Database of Georgian Military Terminology

თამარ ხატიაშვილი
Tamar Khatiashvili

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: სამხედრო ტერმინოლოგია, ქართული ტერმინობანკი, ქვებაზა.

Keywords: Military terminology, Georgian Term Bank, sub-base.

გასული საუკუნის 20-იან წლებში პირველი ქართული სამხედრო ტექნიკური ლექსიკონის შემქმნელი ვლადიმერ ცაგარელი მიიჩნევდა, რომ ქართველი ოფიცრების და არა მარტო ოფიცრების, არამედ მთელი სამეცნიერო საზოგადოების „ქართული ენით ამეტყველებისთვის“ საჭირო იყო სათანადო ქართული ტერმინების, შესატყვისების მიგნება, შესაბამისად, მუშაობდა არა მარტო სიტყვა-ტერმინების შეთხზვაზე, არამედ ტერმინოლოგიური მართვის გზების შერჩევაზეც. დღეს, 100 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, კვლავ დგას ქართული სამხედრო ტერმინების დახვეწისა და შემუშავების საჭიროება.

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შექმნილი ქართული ტერმინთბანკისთვის ბეჭდური სამხედრო ლექსიკონების გაციფრულებისა და ვრცელი თემატური ლექსიკონისთვის სამხედრო ტერმინოლოგიური მასალების მომზადებისას (ხატიაშვილი 2021), ასევე თავდაცვის სამინისტროს დოქტრინების განვითარების ცენტრში სამხედრო სახელმძღვანელოების, დოქტრინული პუბლიკაციებისა და სხვა სახის მასალებზე მუშაობისას (გრამატიკულ-სტილისტიკურად დამუშავებისას, რედაქტირებისას) იკვეთება მნიშვნელოვანი სირთულე: სათანადო ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის მრავალფეროვნება, სიჭრელე, შეუსაბამობა ან ქართული შესატყვისის უქონლობა. ცხადია, არსებული ქართული სამხედრო ტერმინოლოგიური ლექსიკონები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

საბჭოთა სტანდარტებიდან საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე გადასვლა მოითხოვს არსებული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების ნორმირებას საერთო ტერმინოლოგიურ ბაზაზე დაყრდნობით. ქართული ტერმინთბანკის პროგრამით უნდა დამუშავდეს სხვადასხვა წყაროში დადასტურებული სამხედრო ტერმინოლოგია და სამხედრო ლექსიკონებიც, რისთვისაც საჭიროა არსებული ქართული სამხედრო დარგობრივი ლექსიკონების აღწერა და თემატურ ჯგუფებად დაყოფა (ქაროსანიძე, 2022-2023).

ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის სრულყოფილად შესასწავლად მნიშვნელოვანია ქართული ტერმინთბანკის პროგრამით ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის შექმნა, რაზეც უკვე 5 წელია ვმუშაობთ.

ქართულ ტერმინთბანკში სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებთან ერთად გაერთიანებული ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონები სამხედრო ტერმინოლოგიის სრულყოფილად კვლევისა და თითოეული ტერმინის ცვლილების ისტორიის აღდგენის საშუალებას იძლევა.

სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზა შეიქმნა ვლადიმერ ცაგარელის 1920 წლის „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონის“, მისივე 1925 წლის „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონის“, ივანე შაიშმელაშვილის 1987 წლის სამხედრო ტერმინოლოგიის გაციფრულებული ვერსიების საფუძველზე. მოხსენებაში ზოგადად განვიხილავთ ქართული ტერმინთბანკის სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის მუშაობის პრინციპს.

სამხედრო ლექსიკონების თავმოყრა და ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული სამხედრო ტერმინების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ისტორიულ-ეპოქალური ტენდენციები.

ევროპული ტერმინთბანკების გამოცდილება, ასევე პირველი სამხედრო ამერიკული ლექსიკონის მაგალითი ადასტურებს, რომ ტერმინების ჩანაცვლების აღნუსხვა აუცილებელია, შესაბამისად, საბოლოოდ ქართული ტერმინთბანკის სამხედრო ტერმინოლოგიის ქვებაზის შექმნა იქნება ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის, სამომავლო ფუნდამენტური სამხედრო სამეცნიერო კვლევების, ტერმინთშემოქმედების მეთოდოლოგიური მიდგომებისა და ისტორიული გამოცდილების გაზიარების საფუძველი.

ლიტერატურა

- კაროსანიძე, ლ. (2022-2023). ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში, „ტერმინოლოგიის საკითხები“, V, 397, ISBN: 1987-7633. <https://dSPACE.TSU.GE/server/api/core/bitstreams/9bd4de7a-378c-402a-968c-fa3a46d88e89/content>
- ცაგარელი, ლ. (1925). ლექსიკონი სამხედრო-ტექნიკური, ტფილისი.
- ხატიაშვილი, თ. (2021). ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული ტერმინები (მასალები ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონისთვის), VII ადგილობრივი კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“.
- Wicker, E. (2024). A Short History of the U.S. Army’s Dictionary, Harding Project Substack. <https://www.hardingproject.com/p/a-short-history-of-the-us-armys-dictionary>.

In the 1920s, the creator of the first Georgian military dictionary, Vladimer Tsagareli, worked not only on compiling words and terms, but also on selecting ways of terminological management. Today, 100 years later, unfortunately, there is still need to refine and develop Georgian military terms.

In the process of digitizing printed military dictionaries for the Georgian Term Bank and preparing military terminological materials for a multidisciplinary thematic dictionary (khatiashvili 2021), as well as during the work on military manuals, doctrinal publications at the Doctrine Development Center of the Ministry of Defense of Georgia, a significant challenge has emerged: the diversity, inconsistency, absence of appropriate Georgian military terminology. Obviously, the existing Georgian military terminology dictionaries cannot meet modern requirements.

The transition from Soviet to international standards necessitates the normalization of field-specific terminological dictionaries based on an unified terminological database. The Georgian Term Bank program should process military terminology and dictionaries approved in various sources. That requires the description and thematic categorization of existing Georgian military dictionaries (Karosanidze, 2022-2023).

To study Georgian military terminology, it is important to create a sub-base of military terminology using the Term Bank program, which we have been working for 5 years.

The military terminology sub-base was created based on digitized versions of Vladimir Tsagareli’s 1920 “Military-Technical Dictionary”, his 1925 “Military-Technical Dictionary”, and Ivane Shaishmelashvili’s 1987 “Military Terminology”.

The collection and analysis of military dictionaries reveals that the formation of Georgian military terms is influenced by historical trends.

We believe that the experience of European term banks, as well as the example of the first American military dictionary, confirms that it is necessary to record the substitution of terms. The creation of a sub-base of military terminology will ultimately be the basis for the standardization of Georgian military terminology, scientific research, methodological approaches, and sharing historical experience.

References

- Karosanidze, L. (2022-2023).** Kartuli termintbanki da terminologiuri politika sakartveloshi [Georgian Term Bank and Terminological Policy in Georgia], Collection “Terminology Issues”, V, 397, ISBN: 1987-7633. <https://dSPACE.TSU.GE/server/api/core/bitstreams/9bd4de7a-378c-402a-968c-fa3a46d88e89/content>
- Tsagareli, L. (1925).** Leksikoni samkhedro-tekhnikuri [Military-Technical Dictionary], Tbilisi.
- Khatiashvili, T. (2021).** Tsetskhlsasrol iaraghtan dakavshirebuli terminebi (masalebi vrtseli kartul-inglisuri tematuri leksikonistvis). [Terms related to firearms (Materials for an extensive Georgian-English thematic dictionary)]. Tbilisi: VII National Conference “Scientific Terminology”.
- Wicker, E. (2024).** A Short History of the U.S. Army’s Dictionary, Harding Project Substack. <https://www.hardingproject.com/p/a-short-history-of-the-us-armys-dictionary>.

მცირე შენიშვნა ქართულ სინამდვილეში იუბილეს თაობაზე

A Small Note on the *Jubilee* in Georgian Reality

მარიკა ჯიქია

Marika Jikia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იუბილე, ცოცხალი პირის იუბილე, გარდაცვლილის ხსოვნის აღნიშვნა.

Keywords: Jubilee, jubilee of a living person, commemoration of a deceased person.

იუბილე < ლათ. jubilaeus < ძვ. ებრ. /jovel'/.

სიტყვა „იუბილე“ ასე განიმარტება:

1. ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის არსებობის, რაიმე მნიშვნელოვანი ამბის ან მოვლენის წლისთავი, რომელსაც საზეიმოდ აღნიშნავენ;

2. ასეთი წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილი ზეიმი.

განმარტების პირველ პუნქტში ჩამოთვლილთაგან სულიერი მხოლოდ ადამია-ნია, რაც განაპირობებს მისადმი იუბილეს განსხვავებულ მიმართებას.

ესა თუ ის პირი საიუბილეო ხდება 50 წლის გასრულებიდან;

დომინირებს ე. წ. მრგვალი თარიღების აღნიშვნა – 50 (55), 60 (65), 70 (75), 80 (85), 90 (95), 100, 110, 120, 130 და ა. შ.

თუმცა უცილოდ გამოსაკვეთია ასეთი რამ: ცოცხალია თუ არა საიუბილეო ზეიმის ადრესატი. თუ მედლეობე მხნედ არის, მას საზოგადოება აღნიშნავს მრგვალ თარიღს სხვადასხვა ფორმატის იუბილეთი. ხოლო თუ ამქვეყნიდან გარდასულია, მის ხსოვნას მიაგებენ პატივს რიგი ღონისძიებებით, მაგრამ არა იუბილეთი – იუბილე სიცოცხლესთანაა წილნაყარი, იგი ცოცხალთა „ხვედრია“.

ქართულ სინამდვილეში არაერთგზის გავრცელებულა ამ მოვლენის არასწორად კვალიფიცირებული შეტყობინება: ადამიანი გარდაცვლილია და გიწვევენ მისი დაბადების დღის (უპირატესად – მრგვალი თარიღის) აღსანიშნავ იუბილეზე.

შევნიშნავთ კი აი, რას: გარდაცვლილის მრგვალი თარიღის აღნიშვნა მიღებულია სხვადასხვანაირი პუბლიკაციით, მიძღვნილი სესიით, კონფერენციით, სიმპოზიუმით, კონგრესით, (ფოტო)გამოფენის მოწყობით და სხვ., მაგრამ არა – იუბილეთი.

Jubilee < Lat. jubilaeus (annus) < BC Hebr. /jovel'/).

The word ‘jubilee’ is defined as follows:

1. The anniversary of the life and work of a person, institution, organization, or some important event, which is celebrated solemnly;

2. A celebration organized to celebrate such an anniversary.

Of those listed in the first paragraph of the definition, only a spiritual person is human, which determines the different attitude of the jubilee towards him.

A person becomes a jubilee after reaching 50 years of age; the so-called round dates dominate – 50 (55), 60 (65), 70 (75), 80 (85), 90 (95), 100, 110, 120, 130, etc.

However, it is difficult to determine whether the recipient of the jubilee celebration is alive or not. If the person is alive, society celebrates the anniversary on a certain date. If the person has passed away, their memory is honored with a number of events, but not a jubilee – a jubilee is inherent in life, it is the “destiny” of the living.

In Georgian reality an incorrectly qualified message about this event has been spread more than once: a person has died and you are invited to celebrate the jubilee of his birthday (or rather, a round date).

Let's note the following: The celebration of the anniversary of the deceased is accepted through various publications, dedication sessions, conferences, symposiums, congresses, (photo)exhibitions, etc., but not a jubilee.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი, 2025

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>



უნივერსიტეტის
გამომცემლობა